ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

თბილისის უნივერსიტეტი

17 ნოემბერი, ორშაბათი, 2014 წ., №14

ნომერში

■ რას ემსახურება სტუდენტების საპროტესტო კამპანია?

გვ. 4-5

■ უნივერსიტეტში სამეცნიერო განვითარების დინამიკა უმჯობესდება

გვ. 6

■ ჩემი ცხოვრება ყოველთვის უნივერსიტეტთან იყო დაკავშირებული

გვ. 7

■ „სწავლის ხელშეწყობის ფონდის“ პრეზენტაცია

გვ. 14

რექტორის პასუხი სტუდენტური ჯგუფის ბრალდებებზე

13 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ უნივერსიტეტთან დაკავშირებულ საკითხებზე პრესკონფერენცია გამართა. რექტორმა ისაუბრა ბოლო პერიოდში თსუ–ს, მისი ადმინისტრაციის და რექტორის წინააღმდეგ მიმართულ ბრალდებებზე. მან დეტალური განმარტებები გააკეთა ყველა იმ არასწორ ინფორმაციაზე, რომელიც უნივერსიტეტის თაობაზე ბოლო პერიოდში გავრცელდა.

„მაშინ როდესაც უნივერსიტეტის მმართველობითმა ორგანოებმა: რექტორმა, აკადემიურმა საბჭომ და წარმომადგენლობითმა საბჭომ — ერთად გავაკეთეთ განცხადებები, რომლებიც ეხებოდა საბიუჯეტო დაფინანსებას, სასაფლაოს თემას, გაზგასამართი სადგურის მშენებლობის საკითხს, ჩემი გამოცდილებით ვიცოდი, რომ აუცილებლად განხორციელდებოდა შემოტევა და უაზრო ცილისწამებები, მაგრამ ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი იმ ბრალდებებს, რაც პირადად ჩემი და უნივერსიტეტის წინააღმდეგ გავრცელდა. ხაზგასმით ვაცხადებ: მიუხედავად იმისა, რა თანამდებობაზე ვიქნები (ან ვიქნები თუ არა საერთოდ), არასდროს შევურიგდები იმას, რაც უნივერსიტეტის საწინააღმდეგოდ კეთდება, იქნება ეს სასაფლაოს მოწყობა თუ გაზგასამართი სადგურის მშენებლობა უნივერსიტეტის კორპუსებთან. დღევანდელი პრესკონფერენციის მიზანი ნამდვილად არ არის რომელიმე ბრალდებაზე თავის მართლება, რადგან თავი სამართლებელი არ გვაქვს. ჩვენი მიზანია საზოგადოებას მივცეთ განმარტება მცდარი, არაკორექტული და ხანდახან არაზუსტი ინფორმაციის თაობაზე“, — განაცხადა ლადო პაპავამ.

მე-3 გვერდზე

უნდა მოეთხოვოს თუ არა პასუხი უნივერსიტეტის რექტორს კანონის არ დარღვევისთვის?

სიმართლის დამადასტურებელი არგუმენტებით შენს მონინააღმდეგეს ხშირად ვერ შეაჩერებ, როცა მოწინააღმდეგის თვითმიზანი დაპირისპირებაა. ჩვენ ამ კონტექსტშიც განვიხილავთ სტუდენტთა ერთი ჯგუფის მისწრაფებას — უნივერსიტეტის დღევანდელი რექტორის ლადო პაპავას იმიჯი დააკნინოს და საპროტესტო გამოსვლებით საზოგადოებაში მისადმი ნდობა შეარყიოს. სტუდენტები, რომელთაც უნივერსიტეტის წინ აქცია მოაწყვეს, აცხადებენ, რომ უნივერსიტეტის რექტორი და ადმინისტრაცია ვერ ახერხებს ეფექტურად მართვას, რომ სახეზეა კორუფციისა და ნეპოტიზმის ფაქტები, რომ ძველი პრობლემები და კადრები უცვლელად დარჩა და პირიქით, უნივერსიტეტში შეინიშნება ოდიოზური ფიგურების დაბრუნება, ძველი და ახალი კლანების ერთმანეთთან შერწყმა“. სტუდენტების საპროტესტო გამოსვლების ქვეტექსტი უნივერსიტეტიდან პოლიტიკური ნიშნით პროფესორთა დევნის ახალი ტალღის აგორებასაც გულისხმობს, რადგან აქციის მონაწილე სტუდენტები ჯერ კიდევ შევარდნაძისდროინდელი 3 მინისტრის — ავთანდილ სილაგაძის, ვაჟა ლორთქიფანიძისა და ალექსანდრე კარტოზიას უნივერსიტეტში დაბრუნებას და „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერ პროფესორთა შენარჩუნების ტენდენციას აპროტესტებენ (ისინი ფიქრობენ, რომ სააკაშვილის ხელისუფლების

> ერს არ აქვს იმის ფუფუნება, რომ პროფესიონალები სათანადოდ არ დააფასოს, მიუხედავად მათი პოლიტიკური ორიენტაციისა და ასაკისა

რეფორმების შედეგად უნივერსიტეტში ბევრი არაპროფესიონალი მოხვდა „ნაციონალური მოძრაობისადმი“ სიმპათიების გამო და, ამდენად, ამ პროფესორებს, სტუდენტების აზრით, ისინი უნდა ჩაენაცვლონ, ვინც მაშინდელმა რეჟიმმა უნივერსიტეტიდან განდევნა). სტუდენტთა ამ ჯგუფის წარმომადგენლები არ ან ვერ აცნობიერებენ იმას, რომ ერს, ქვეყანაში პროფესიონალი კადრების სიმწირის გამო, არ აქვს იმის ფუფუნება, რომ სასწავლო დაწესებულებიდან პოლიტიკური სარჩულით მოიკვეთოს ის პიროვნებები, რომელთა კვალიფიციურობაც ეჭვს არ იწვევს. მაშ რატომღა ვიბრძვით აკადემიური თავისუფლებისთვის, თუკი ერთნი – წარსული პოლიტიკის მიმდევარნი უნდა აღიგავონ პირისაგან მიწისა და მხოლოდ ახალი ხელისუფლების პოლიტიკის მხარდამჭერებსა თუ მხოლოდ ახალი დროის ადამიანებს უნდა მიეცეთ გზა და გასაქანი... გარდა ამისა, როცა დღევანდელი ხელისუფლება არ ირჩევს პოლიტიკურ ოპონენტებთან ბრძოლის რევოლუციურ გზას, უნდა მოეთხოვოს თუ არა პასუხი უნივერსიტეტის რექტორს ამავე კურსის გატარებისთვის და კანონის არ დარღვევისთვის? საქმე იმაშია, რომ თავად დღევანდელ ხელისუფლებაში არიან (თუმცა არიან უმცირესობაში) ხისტი პოლიტიკის გატარებისა და „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერთა „გადაშენების“ მომხრეები, როგორც ამას შურისძიებით განწყობილი საზოგადოების ნაწილი ითხოვს. სწორედ ამიტომ, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, როდესაც ერთ დროს „გადანაციონალურებული“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეორგანიზაციის საკითხი დაისვა, ახალ ხელისუფლებაში გამოჩნდნენ უნივერსიტეტში რევოლუციური ცვლილებების დაწყების მომხრენი, რაც ითვალისწინებდა რექტორატის გადაყენებას, ყველას მხრიდან აკადემიური თანამდებობების დატოვებას და ნულოვანი წერტილიდან უნივერსიტეტის მოდერნიზაციას, ახალ კონკურსებს, ახალ არჩევნებს... ასეთი ხისტი რეორგანიზაციის ერთ-ერთ ავტორად მაშინ დეპუტატად არჩეული, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, პოლიტოლოგი გია ჟორჟოლიანიც და მისი მეგობარი და თანამებრძოლი, პოლიტოლოგი მარინა მუსხელიშვილიც მოიაზრებოდნენ. 2013 წლის 8 ივნისის ნომერში (გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“) გამოქვეყნდა ინტერვიუ პროფესორ გია ჟორჟოლიანთან, რომელიც აცხადებდა:

მე-3 გვერდზე

თსუ-მ ახალი სენატი აირჩია

15 ნოემბერს თსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს პირველი სხდომა გაიმართა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების თანახმად, სხდომაზე წევრების უფლებამოსილება ძალაში ოფიციალურად შევიდა. სენატის სპიკერის პოსტზე წარმოდგენილი იყო პროფესორ კახაბერ ლორიას (რომელიც წინა წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერიც გახლდათ) და პროფესორ ლევან გორდეზიანის კანდიდატურები. ახალი სენატის პირველ სხდომას 39 წევრი ესწრებოდა. კახაბერ ლორიას სენატის 31-მა წევრმა დაუჭირა მხარი, ლევან გორდეზიანს კი — 2-მა. სენატის 5-მა წევრმა — სტუდენტებმა: ლევან ლორთქიფანიძემ, ირაკლი კუპრაძემ და პროფესორებმა — გიორგი ოთხმეზურმა, აპოლონ თაბუაშვილმა და ნანი გელოვანმა (ასოცირებული პროფესორი) კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს. შესაბამისად, თსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერად კახაბერ ლორია აირჩიეს.

ნატო ოგოლაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნები 12 ნოემბერს გაიმართა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმის მიხედვით, სენატის ახალი შემადგენლობა ასე გამოიყურება: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი — პროფესორი უშანგი გოგინავა და ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი, პროფესორი ბეჟან თუთბერიძე, პროფესორი ლია მაჭავარიანი, პროფესორი არნოლდ გეგეჭკორი, პროფესორი მანანა ხაჩიძე. სტუდენტები — ბექა ბექაური და პაატა ბახტურიძე; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი — ასოცირებული პროფესორი ირაკლი ბრაჭული, პროფესორი კახაბერ ლორია, ასოცირებული პროფესორი თამარ პაიჭაძე, პროფესორი ლევან გორდეზიანი, ასოცირებული პროფესორი გიორგი ოთხმეზური, ასოცირებული პროფესორი აპოლონ თაბუაშვილი, ასოცირებული პროფესორი ნანი გელოვანი. სტუდენტები – თეონა მინდიაშვილი, ლაშა სამხარაძე, ნანა ჯეგბაშვილი; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი — ასოცირებული პროფესორი მარი წერეთელი და ასოცირებული პროფესორი მანანა შამილიშვილი. სტუდენტები — ლევან ლორთქიფანიძე და შალვა საბაური; ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი — ასისტენტ პროფესორი ირინე ჟვანია და ასისტენტ პროფესორი ნინო ჩახუნაშვილი. სტუდენტი — ბექა დადეშქელიანი; ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი — ასოცირებული პროფესორი შოთა შაბურიშვილი, პროფესორი ნუგზარ თოდუა, პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი, ასოცირებული პროფესორი ნინო აბესაძე. სტუდენტები — ლია გოდერძიშვილი, თათია სოსიაშვილი და ანზორ ბერუაშვილი; მედიცინის ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი — პროფესორი ვლადიმერ მარგველაშვილი, პროფესორი პაატა იმნაძე და პროფესორი ნინო ოკრიბელაშვილი. სტუდენტი — გიორგი გიორგაძე; იურიდიული ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი — ასოცირებული პროფესორი გიორგი თუმანიშვილი, ასოცირებული პროფესორი მარიამ ცისკაძე და პროფესორი ნონა თოდუა. სტუდენტები — ბახვა კვირიკაშვილი და ირაკლი კუპრაძე.

თსუ-ის სენატი 4 წლის ვადით აირჩევა. წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში ასევე შედის აკადემიური საბჭოს მიერ არჩეული საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი ზურაბ გაიპარაშვილი.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის ინფორმაციით, არჩევნებმა მშვიდ ვითარებაში ჩაიარა. განმეორებითი ტური მხოლოდ იურიდიულ ფაკულტეტზე აკადემიური პერსონალის არჩევისთვის გახდა აუცილებელი, რადგან სამმა კანდიდატმა ხმების ერთი და იგივე რაოდენობა მიიღო.

„არჩევნებმა ნორმალურ ვითარებაში ჩაიარა. არსებით დარღვევას ადგილი არ ჰქონია. კენჭისყრის დასრულების შემდეგ არ დაფიქსირებულა არც გასაჩივრების ფაქტები, თუმცა გარკვეული გადაცდომები მაინც იყო. მაგალითად სტუდენტები ცდილობდნენ მხარდამჭერების აღრიცხვას საარჩევნო ოთახების გარეთ და კომისიის წევრებმა რამდენჯერმე მისცეს გაფრთხილება“, — აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

სენატის არჩევნებში სულ 54 კანდიდატი მონაწილეობდა. კენჭისყრის შედეგად 42 წევრი აირჩიეს, მათ შორის 14 სტუდენტია. წინასაარჩევნო კამპანია არ მიმდინარეობდა, თუ არ ჩავთვლით სტუდენტების სენატის არჩევნებისთვის დარეგისტრირებული კანდიდატების ნიკოლოზ მეტრეველის, ლევან ლორთქიფანიძის, ირაკლი კუპრაძის და თორნიკე ართქმელაძის სტუდენტებთან შეხვედრას. შეხვედრაზე ამომრჩევლებს მოუწოდეს, მხარი დაეჭირათ მათთვის, როგორც დამოუკიდებელი კანდიდატებისთვის, რადგან სენატის არჩევნებში დარეგისტრირებული ყველა სხვა სტუდენტი იმავდროულად სტუდენტური თვითმმართველობის წევრიც გახლავთ. შეხვედრაზე კანდიდატებმა ასევე ისაუბრეს იმ საკითხებზე, რომელთა წამოჭრასაც წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომებზე გეგმავენ. აღსანიშნავია, რომ იურიდიული ფაკულტეტიდან სენატის წევრობის კანდიდატმა თორნიკე ართქმელაძემ არჩევნების წინა დღეს საკუთარი კანდიდატურა მოხსნა ირაკლი კუპრაძის სასარგებლოდ, თუმცა, რადგან გადაწყვეტილების ოფიციალურად გაფორმება ვერ მოასწრეს, ეს ინფორმაცია ამომრჩევლებს სოციალური ქსელის მეშვეობით მიაწოდეს.

პლაგიატი არ დადასტურდა

2014 წლის 19 სექტემბერს თსუ აკადემიურმა საბჭომ მიიღო №46/2014 დადგენილება „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური ეთიკისა და სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში სამეცნიერო-საგანმანათლებლო ფუნქციის განმახორციელებელი პერსონალის სამსახურებრივი პასუხისმგებლობის შესახებ დებულების მიღების თაობაზე“.

აღნიშნული დადგენილების საფუძველზე თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორმა ნინო კიღურაძემ შემოიტანა განცხადება (№27032/02; 03.09.2014), სადაც იგი ამავე ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორ მერაბ კალანდაძეს პლაგიატში სდებდა ბრალს. აღნიშნული საკითხის შესახებ იმსჯელა თსუ-ის რექტორის 2014 წლის 19 სექტემბრის №163/01-01 ბრძანებით შექმნილმა აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენმა კომისიამ, რომელმაც დაადგინა, რომ პლაგიატი არ დადასტურდა და ნინო კიღურაძის მიერ წარმოდგენილი იყო მცდარი მოსაზრება (03.11.2014. №38068/02).

აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისიის დასკვნა, დარღვევის არარსებობის თაობაზე, ცნობად მიიღო თსუ-ის აკადემიურმა საბჭომ (დადგენილება №112/2014; 10.11.2014).

2014 წელს მსოფლიოს 100 საუკეთესო პროფესორ-პედაგოგი ოქროს მედლით დაჯილდოვდა

ინგლისის საერთაშორისო ბიოგრაფიული ცენტრის, ABC-ის ერთ-ერთმა მოწინავე ორგანიზაციამ, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან წარმატებულ მეცნიერებსა და დამსახურებულ პროფესორ-პედაგოგებს აჯილდოვებს, ნაციონალურ და საერთაშორისო დონეზე მნიშვნელოვანი სამეცნიერო წარმატებებისა და ახალგაზრდა კადრების მომზადების საქმეში შეტანილი წვლილისათვის, მიმდინარე 2014 წელს, ოქროს მედლით დააჯილდოვა მსოფლიოს 100 საუკეთესო პროფესორ-პედაგოგი, მათ შორის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ყოფილი კათედრის გამგე, ამჟამად წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი ნუგზარ ალექსიძე.

მოსკოვში, ბიოტექნოლოგიის მიმართულებით ჩატარებულ მერვე საერთაშორისო ფორუმზე („Росбиотех – 2014“) წარდგენილი იყო წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ბიოლოგიის ლაბორატორიის გამგის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მცენარეთა ანატომიისა და ფიზიოლოგიისა ყოფილი კათედრის გამგის, პროფესორ **გიორგი ალექსიძის** მიერ შექმნილი იმუნოსტიმულაციისა და ანტიკანცეროგენული თვისების მქონე პრეპარატი GA-40, რომელსაც რუსეთის минпромторг-ის დიპლომი და ოქროს მედალი მიენიჭა.

ვულოცავთ პროფესორ ნუგზარ ალექსიძესა და გიორგი ალექსიძეს ოქროს მედლებით დაჯილდოვებას.



შეცდომის გასწორება

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ მე-13 ნომერში (30 ოქტომბერი, 2014 წ.) დაიბეჭდა თსუ-ის სააქტო დარბაზში გამართული საერთაშორისო ინტერდისციპლინარული კონფერენციის შედეგების ამსახველი ანალიტიკური სტატია სათაურით „ევროპული ღირებულებები და იდენტობა“, რომელიც პროფესორ **ნანა გუნცაძისა** და საფრანგეთში მცხოვრებ ქართველთა სათვისტომოს პრეზიდენტ **ოთარ ზურაბიშვილის** მიერ გახლდათ მომზადებული. გაზეთის დამკაბადონებელს სტატიის ბოლოს არ მიუთითებია პუბლიკაციის ავტორთა სახელი და გვარი, ასევე, იმ ფოტოების ნაცვლად, სადაც კონფერენციის ერთ-ერთი ორგანიზატორი ოთარ ზურაბიშვილი და კონფერენციის პრეზიდიუმი: თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, ევროკავშირის ელჩი საქართველოში ფილიპ დიმიტროვი, საფრანგეთის რესპუბლიკის ელჩი საქართველოში რენო სალენსი, სორბონის უნივერსიტეტის პროფესორი ჟერარ დესონი, მისისიპის უნივერსიტეტის პროფესორი ზურაბ გურული იყვნენ აღბეჭდილნი, დაიბეჭდა ამავე კონფერენციის ამსახველი სხვა ფოტო. გაზეთ ,,თბილისის უნიევრსიტეტის” რედაქცია ბოდიშს უხდის კონფერენციის ორგანიზატორებსა და სტატიის ავტორებს — ნანა გუნცაძესა და ოთარ ზურაბიშვილს დაშვებული შეცდომისთვის.

უნდა მოეთხოვოს თუ არა პასუხი უნივერსიტეტის რექტორს კანონის არ დარღვევისთვის?

პირველი გვერდიდან

„ვინც ავტორიტარული სისტემა დაამყარა, ხალხი გაყარა, შექმნა აბსოლუტურად უშინაარსო სწავლება, გაიტანა ყველაფერი დისკუსიის სფეროს გარეთ, შეზღუდა მეცნიერული კვლევის შესაძლებლობები, როგორც ორგანიზაციული, ასევე, ფინანსური თვალსაზრისით, ახლა ჩვენ რეფორმა იმ ადამიანებს უნდა მივანდოთ? ეს იმას ნიშნავს, რომ არაფერი შეიცვალოს, ყველაფერი დარჩეს როგორც არის და ქვეყანა წავიდეს ნგრევისკენ. ჩვენ ვიმყოფებით უმძიმეს მდგომარეობაში და ამის გამოსწორებას სჭირდება რადიკალური ცვლილებები, რომელიც, შესაძლოა, განხორციელდეს მხოლოდ მაშინ, თუ მთელი ინფრასტრუქტურა შეიცვლება. სწორედ ამას უნდა მოჰყვეს უნივერსიტეტის ავტონომია. რას ნიშნავს ავტონომია? — იმას, რომ მეცნიერმა იაზროვნოს თავისუფლად, არ იყოს პოლიტიკური შეზღუდვები ადგილების დაკავებისას, მეცნიერული ნაშრომების და კვლევების ტირაჟირებისას, მათი მოსაზრებების და ექსპერტული ხედვების საზოგადოებაში გავრცელებისას... უვიცი და უწესო ხალხის ავტონომია არ შეიძლება. მაფიას რომ ავტონომია მისცე და უთხრა, არ ჩავერევი შენს საქმეში, ოღონდ შენ გამოსწორდიო, გამოსწორდება? ავტონომია სჭირდება იმ ხალხს, რომელმაც იცის თავისი საქმე, რომლის გარემოცვაშიც არიან მაღალი ხარისხის მკვლევრები და აწვდიან სტუდენტს მაღალი ხარისხის ცოდნას. ის ხელმძღვანელები, რომლებიც დღეს მთელ რიგ უნივერსიტეტებს უდგანან სათავეში და რომლებმაც იგნორირება მოახდინეს იმ ყველაფრისა, რაც აქამდე ვილაპარაკე, ამ რეფორმის გამტარებლები არ არიან. ამიტომ აიღო განათლების რეფორმაზე პასუხისმგებლობა მთავრობამ. 1 ოქტომბერს ხალხმა მხარი დაუჭირა ცვლილებებს, რომელთა გატარებაც მთავრობამ უნდა უზრუნველყოს. რადიკალური რეფორმაა გასატარებელი. რა თქმა უნდა, ეს მტკივნეული იქნება, მაგრამ თუ ჩვენ ეს არ გავაკეთეთ, ჩვენი ქვეყანა დეგრადაციის გზას დაადგება. მე მზად ვარ ამ რეფორმის პროცესში მივიღო მონაწილეობა ნებისმიერი სტატუსით — ლექტორი ვიქნები, მეცნიერ-მკვლევარი, დეპუტატი თუ რექტორი. მთავარია, ის საქმე გაკეთდეს, რაზეც ზემოთ მოგახსენეთ. თუ ეს არ გაკეთდება, აზრი არ აქვს იმ არასერიოზულ პროცესებში ჩართვას, რაც დღეს უნივერსიტეტში მიმდინარეობს“, — ამბობს გია ჟორჟოლიანი. 2013 წლის 17 ივნისის ნომერში კი (გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“) გამოქვეყნდა სტატია, სადაც ქალბატონი მარინა მუსხელიშვილი ამბობს: „უნდა აღდგეს სამართლიანობა და ყველა უნდა ჩადგეს თანასწორ პირობებში. პრემიერ-მინისტრის (მაშინ პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი იყო) მიერ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნა — ეს არის დღეს ერთადერთი გამოსავალი. უნდა გამოცხადდეს გარდამავალი პერიოდი“. ეს ციტატები იმის დამადასტურებელია, რომ ახალ ხელისუფლებაში მაშინაც და დღესაც არსებობენ ადამიანები, ვინც უნივერსიტეტის არა დეპოლიტიზაციას, არამედ პირიქით, უნივერსიტეტში პოლიტიკურ გადატრიალებას ემხრობიან. ამ გზას თავად ხელისუფლება სხვადასხვა მიზეზის გამო არ დაადგა და მაშინაც არ ჩაერია უნივერსიტეტის საქმეში, როდესაც ალექსანდრე კვიტაშვილის რექტორობიდან გადადგომის შემდეგ უნივერსიტეტში ახალი რექტორის არჩევნები დაინიშნა. ამის შემდეგ რექტორად უნივერსიტეტის 12 კაციანმა აკადემიურმა საბჭომ აკადემიკოსი ლადო პაპავა აირჩია. უნივერსიტეტისთვის მაშინ დიდი მიღწევა იყო „არანაციონალი“ რექტორის არჩევა, რომელსაც არც „ოცნებიდან“ დახმარებია ვინმე – პოსტი დაეკავებინა. ლადო პაპავას კანდიდატურას, პირველ რიგში, საზოგადოება რეკომენდირებდა და, ამდენად, აკადემიური საბჭოს წევრებს „თვითგადარჩენის“ მოტივაციაც ამოძრავებდათ — რომ მხარი დაეჭირათ მეცნიერისთვის, აპოლიტიკური ფიგურისთვის, ცნობილი საზოგადო მოღვაწისთვის. ახალი რექტორი მოსვლის დღიდან ცდილობდა სამართლიანობის აღდგენის ტენდენციის დეპოლიტიზებას უნივერსიტეტში და დღესდღეობით სწორედ ასეთმა მიდგომებმა შესძინეს, როგორც ჩანს, მოწინააღმდეგეები მას ხელისუფლების რადიკალურ ფრთაში, რადგან აშკარაა ერთგვარი ზეწოლა — უფრო ხისტი პოლიტიკა გატარდეს თსუ-ში.

„ვერანაირ რევოლუციურ ცვლილებებს ჩვენ ვერ გავატარებთ, თუ რევოლუციური ცვლილებებისთვის საკანონმდებლო ბაზა არ იარსებებს, კანონის დარღვევა ერთხელ და სამუდამოდ უნდა გამოირიცხოს. როდესაც წინა უნივერსიტეტის მმართველობას ვაკრიტიკებდი, ვაკრიტიკებდი სწორედ იმ ზეწოლის გამო, რომელიც არ ეფუძნებოდა კანონს და ცვლილებები აგრესიული, მექანიკური ზეწოლით ხორციელდებოდა. მინდა, რომ უნივერსიტეტში კანონის დარღვევა და აგრესიული ქმედებები ერთხელ და სამუდამოდ დასრულდეს. გავიგე, რომ, ახალგაზრდები განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილეს შეხვდნენ და იგეგმება ახალი წინადადებების პრეზენტაცია 21 ნოემბერს. მეც სულმოუთქმელად ველი ამას“, — ასეთია რექტორის, ლადო პაპავას პოზიცია, რომელიც მან ბოლო პრესკონფერენციისას გააჟღერა. ზეწოლა კი მაინც სახეზეა, რადგან სტუდენტთა ერთი ჯგუფი რადიკალური მოთხოვნებით გააქტიურდა. სტუდენტთა ამ ჯგუფის საპროტესტო კამპანია იკვებება თუ არა პოლიტიკოსის, თსუ-ს პროფესორის გია ჟორჟოლიანის პოზიციებით? — ამ კითხვას არსებობის უფლება აქვს, რადგან სტუდენტთა ის ნაწილი, რომელიც ამჟამად რექტორ ლადო პაპავას რეტროგადობაში დებს ბრალს, გია ჟორჟოლიანთან ასევე მეგობრობს და უნივერსიტეტშიც ღიად აწყობდნენ მასთან შეხვედრებს (გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“ არაერთი სტატია მიეძღვნა ამ სტუდენტების შეხვედრას პროფესორ და უკვე დეპუტატ გია ჟორჟოლიანთან). ასე რომ, იკვეთება ტენდენცია, რომ ის ბრალდებები, რაც უნივერსიტეტის მისამართით ახალი „შავი პიარის“ ელემენტებს მოიცავს, ლადო პაპავას ლიბერალური მიდგომებისა და უნივერსიტეტის დეპოლიტიზაციის მცდელობების წინააღმდეგ არის მიმართული. სტუდენტთა ეს ნაწილი მაშინაც უკმაყოფილო იყო, როდესაც აკადემიურ თანამდებობაზე გია ჟორჟოლიანის თანამოაზრე მარინა მუსხელიშვილი არ აირჩიეს (რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მარინა მუსხელიშვილის კანდიდატურას საკონკურსო კომისიის მხოლოდ ერთი წევრი — იაგო კაჭკაჭიშვილი უჭერდა მხარს). სტუდენტები დღეს უკვე იმასაც აპროტესტებენ, რომ იაგო კაჭკაჭიშვილი არ აირჩიეს აკადემიურ საბჭოში, მაგრამ... შეეძლო თუ არა რექტორ ლადო პაპავას მაშინ კონკურსის შედეგებზე გავლენის მოხდენა? შეეძლო თუ არა მასვე ფაკულტეტის საბჭოსთვის დავალება მიეცა — იაგო კაჭკაჭიშვილი აერჩიათ? — მსგავს კითხვებს პასუხი დღესაც ძველებური მენტალიტეტის კვალობაზე გაეცემა ხოლმე და გამოდის, რომ ყველას მიმართ ბრაზი, აგრესია და პროტესტი ერთი პიროვნების – რექტორის წინააღმდეგ „აკუმულირდება“. ასე რომ, სუბიექტური ფაქტორების, მეგობრული კავშირებისა და თანამოაზრეობის ტყვეობაში იმ ჯგუფის წევრებიც არიან (პროტესტანტი სტუდენტები), რომლებიც დღეს რექტორს კლანურ მმართველობაში ადანაშაულებენ. ამ ვითარებაში ყველაზე ცუდი ის არის, რომ სანამ კანონი შეიცვლება და რექტორს გარკვეული ქმედებებისთვის უფლებები მიენიჭება, უნივერსიტეტის სახელი იბღალება. ამ პასუხისმგებლობას კი, რა ვითარების გამოც მხოლოდ ერთ კაცს თხოვენ პასუხს, იმედია მთელი საუნივერსიტეტო საზოგადოება გაითავისებს. ერს არ აქვს იმის ფუფუნება, რომ პროფესიონალები სათანადოდ არ დააფასოს, მიუხედავად მათი პოლიტიკური ორიენტაციისა და ასაკისა, მაგრამ არც უნივერსიტეტში მოღვაწე პროფესურას აქვს იმის მორალური უფლება, რომ უნივერსიტეტში ცვლილებების საზოგადოებრივ მოთხოვნას ყური არ უგდოს და შიდა კონკურსებისას თუ არჩევნებისას საკუთარი გადაწყვეტილებების გამო რექტორს გაუნაწილოს პასუხისმგებლობა (ასეთი ტენდენციები კი ამ ერთი წლის მანძილზე იკვეთება).

მოამზადა **ნინო კაკულია**

ПРЕСКОНФЕРЕНЦИЯ

რექტორის პასუხი სტუდენტური ჯგუფის ბრალდებებზე

პირველი გვერდიდან

უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დაკავება მხოლოდ აკადემიური კონკურსის საფუძველზე ხდება

პირველი საკითხი, რაზეც აკადემიკოსმა ლადო პაპავამ ყურადღება გაამახვილა, იყო გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე ყოფილი მინისტრები და რექტორის მეგობრები ინიშნებიან. ლადო პაპავამ ჟურნალისტებს გააცნო აკადემიური თანამდებობების დაკავების წესი და ის პროფესორები, რომლებმაც ბოლო პერიოდში ჩატარებულ აკადემიურ კონკურსებში გაიმარჯვეს. „დაისვა საკითხი სამი პროფესორის: ავთანდილ სილაგაძის, ვაჟა ლორთქიფანიძისა და ალექსანდრე კარტოზიას შესახებ, რომლებმაც თითქოს აკადემიური თანამდებობები ჩემი მეგობრობის ნიშნით დაიკავეს. არავითარ მეგობრობაზე არ არის აქ საუბარი — ეს ადამიანები წლების განმავლობაში მოღვაწეობენ საგანმანათლებლო სფეროში, აქვთ შესაბამისი სამეცნიერო ხარისხი, გამოცდილება და აბსოლუტურად დამსახურებულად გაიმარჯვეს კონკურსში. პირადად მე ცხოვრების მანძილზე ბევრ ადამიანთან მქონია ურთიერთობა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა ჩემი მეგობარია. ჩვენ კანონის დაცვით ვმოქმედებდით. ამდენად, არც ერთი ამ სამი ჩამოთვლილი პირიდან რექტორის მიერ თანამდებობაზე დანიშნული არ არის. ეს შეუძლებელია. კანონი ამის უფლებას არ იძლევა“, — განაცხადა ლადო პაპავამ და მოკლედ მიმოიხილა ის მიმართულებები, რომლებზეც ავთანდილ სილაგაძემ, ვაჟა ლორთქიფანიძემ და ალექსანდრე კარტოზიამ დაიკავეს აკადემიური თანამდებობები.

საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა კათედრა თსუ-ში 1991 წელს შეიქმნა და 2005 წელს რეორგანიზაციის შედეგად გაუქმდა. 2013 წელს კი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, მისი აღდგენა მოხდა. ავთანდილ სილაგაძემ, რომელსაც დიდი გამოცდილება აქვს და რეფორმამდე სწორედ ამ მიმართულებით მუშაობდა უნივერსიტეტში, აქ გამოცხადებულ აკადემიურ კონკურსში გაიმარჯვა;

2005 წელს რეორგანიზაციის შედეგად გაუქმდა ასევე დემოგრაფიის კათედრაც, რომელიც უნივერსიტეტში 1999 წლიდან არსებობდა. დემოგრაფიის პროგრამა საზოგადოებრივი გეოგრაფის მიმართულებაზე მიმდინარე წელს აღდგა. შეიქმნა სამაგისტრო პროგრამა დემოგრაფიაში, რომელმაც დიდი დაინტერესება გამოიწვია — ახლად გახსნილ სამაგისტრო პროგრამაზე 19-მა მაგისტრანტმა ისურვა განათლების მიღება. პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა ყველა წესის დაცვით და შემდეგ გამოცხადდა კონკურსი. ბატონი ვაჟა ლორთქიფანიძე ამ ლაბორატორიას დაარსების დღიდან ხელმძღვანელობდა. ის არის ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი და სწორედ დემოგრაფიაში აქვს დისერტაცია დაცული.

რაც შეეხება ალექსანდრე კარტოზიას, ისიც გამოთავისუფლებულ აკადემიურ ვაკანსიაზე არის არჩეული. იგი 1986 წლიდან იყო უნივერსიტეტის თანამშრომელი და გერმანული ფილოლოგიის კათედრაზე მუშაობდა. ის იმ პროფესორთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელსაც 2005 წლიდან უნივერსიტეტის დატოვება მოუწია. ამის შემდეგ ალექსანდრე კარტოზია აგრძელებდა მუშაობას ოდერის ფრანკფურტის უნივერსიტეტში, ბრემენის უნივერსიტეტში, ბრემენის ეკონომიკურ სკოლაში, იყო ფოლკსვაგენის მეცნიერ-კონსულტანტი.

უნივერსიტეტის მიზანია, გახდეს ყველაზე გამჭვირვალე დაწესებულება

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) 2010 წლიდან ატარებს კვლევას საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტებში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ. IDFI-ის 2013-2014 წლების კვლევის მიხედვით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაჩვენებლები, 2012-2013 წლებთან შედარებით, საგრძნობლად გაუმჯობესდა და ბოლო ადგილიდან მესამე ადგილზე გადაინაცვლა.

კვლევის გაშუქებისას განსაკუთრებით გამოიყო პრემიებისა და სახელფასო დანამატების თემა, რომლის შესახებაც ინფორმაცია არასწორი ინტერპრეტაციით გავრცელდა, მიუხედავად იმისა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დეტალური ბიუჯეტი და სხვა ტიპის საჯარო ინფორმაცია ოფიციალურ ვებგვერდზეა განთავსებული. დამატებით ამ თემაზე არა ერთი განმარტება გაკეთდა, მაგრამ პრემიებისა და დანამატების შესახებ დაზუსტებულმა ინფორმაციამ საზოგადოებამდე ვერ მიაღწია, რაც ხმაურიანი განცხადებების მიზეზი გახდა.

„2013 წელს, იმ პერიოდში, როცა მე ამირჩიეს უნივერსიტეტის რექტორად, ჩვენ გადმოგვეცა ერთგვარი „ანტისიგელი“, როგორც ყველაზე გაუმჭვირვალე დაწესებულებას საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. 2014 წელს, იგივე ორგანიზაციის კვლევებით, უნივერსიტეტმა ბოლოდან მესამე ადგილზე გადმოინაცვლა. ვართ თუ არა კმაყოფილი? რა თქმა უნდა, არა! ჩვენი ამბიციაა, რომ ვიყოთ სრულიად გამჭვირვალე ორგანიზაცია. ჩვენ მაქსიმალურად ვასაჯაროებთ ინფორმაციას და ჩვენს საინფორმაციო ვებგვერდზეც დევს ამის ამსახველი მასალები,“ — განაცხადა ლადო პაპავამ.

გაცემული პრემიების ოდენობა, წინა წლებთან შედარებით, შემცირებულია

IDFI-ის 2013-2014 წლების კვლევის მიხედვით, ნაჩვენები იყო, რომ უნივერსიტეტმა პრემიებსა და სახელფასო დანამატებზე 6 მილიონამდე

მე-5 გვერდზე

რას ემსახურება სტუდენტების საპროტესტო კამპანია?

ინტერვიუ აქციის მონაწილეებთან

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების ჯგუფმა საპროტესტო კამპანია დაიწყო. მათ პირველი შეხვედრა 5 ნოემბერს თსუ-ის პირველ კორპუსში გამართეს. სტუდენტური ჯგუფის განცხადებაში აღნიშნულია, რომ „დისკუსიის შედეგად ორი მთავარი პრობლემა გამოიკვეთა: 1. უნივერსიტეტის რექტორი და ადმინისტრაცია ვერ ახერხებს ეფექტურად მართვას, სახე ზეა კორუფციისა და ნეპოტიზმის ფაქტები. ძველი პრობლემები და კადრები უცვლელად დარჩა და პირიქით, უნივერსიტეტში შეინიშნება ოდიოზური ფიგურების დაბრუნება. ძველი და ახალი კლანების ერთმანეთთან შერწყმა. 2. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს არ აქვს რეფორმის გეგმა, უმაღლესი განათლების განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია, რომელიც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის შიგნით თავისუფალი სივრცის შექმნას, აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის უფრო დემოკრატიულ პრინციპს, წარმომადგენლობითობისა და ანგარიშვალდებულების უფრო მაღალ სტანდარტს“. აღნიშნული საკითხები სტუდენტებმა 10 ნოემბრის აქციაზე გაახმიანეს, რომელიც თსუ-ის პირველ კორპუსთან დაიწყო და მსვლელობით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან გაგრძელდა. აქციის მონაწილე სტუდენტებს მეორე დღეს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე გიორგი შერვაშიძე შეხვდა. კონკრეტულად რას ითხოვენ სტუდენტები და რა შედეგებით დასრულდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილესთან შეხვედრა, საპროტესტო კამპანიის ორგანიზატორები — სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტი **ალექსანდრე ცაგარელი** *და იურიდიული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი* **ბათუ კოპალიანი** *გვესაუბრნენ.*

ნატო ოგოლაძე

— ვინ გაუწია თქვენს სტუდენტურ მოძრაობას ორგანიზება? მოთხოვნები, რომლებიც აქციის დროს წამოაყენეთ, უნივერსიტეტის სტუდენტობის თუ კონკრეტული სტუდენტური ჯგუფის სახელით გაახმიანეთ?

ალექსანდრე ცაგარელი: მთავრი ორგანიზატორები მე და ბათუ კოპალიანი ვართ. ჩვენ თავს უფლებას ვერ მივცემთ, რომ თსუ-ის სტუდენტობის სახელით ვისაუბროთ, მაგრამ ჩვენ მიერ გახმიანებულ პრობლემებს სხვა სტუდენტებიც ხედავენ.

ბათუ კოპალიანი: ფაქტობრივად, მე და სანდრო ვუწევთ ჩვენს აქტივობებს ორგანიზებას — ვაკეთებთ „ფეისბუქ-ივენთებს“, ვუკავშირდებით მედიას... ძალიან დიდი სტუდენტური ჯგუფი არ ვართ, რომ ერთმანეთთან კომუნიკაცია გაგვიჭირდეს.

— თქვენ ადრე აქტიურად მონაწილეობდით სხვადასხვა საპროტესტო აქციაში, შემდეგ გქონდათ დიდი პაუზა. რამ გამოიწვია თქვენი ამ ეტაპზე გააქტიურება?

ალექსანდრე ცაგარელი: ჩვენი პასიურობა გამოწვეული იყო მოლოდინით. ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ხელისუფლება შეიცვალა და წელიწადზე მეტი, რაც თსუ-ს ახალი რექტორი მართავს. ველოდით, რომ თსუ-ის რექტორი თავის დანაპირებს შეასრულებდა, რაც არ მოხდა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან კი ველოდით, რომ ამ დროის განმავლობაში მოამზადებდა უმაღლესი განათლების განვითარების კონცეფციას, რაც ასევე არ განხორციელდა. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, აუცილებელია აქტივობა, რათა ისინი გარკვეული ზეწოლის ქვეშ მოვაქციოთ და საკუთარი დაპირებები პინათლად შეასრულონ.

— კონკრეტულად რას აკრიტიკებთ და რას ითხოვთ?

ბათუ კოპალიანი: ვაკრიტიკებთ, ზოგადად, უმაღლეს განათლების სისტემაში არსებულ მდგომარეობას და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებულ ვითარებას. ვაპროტესტებთ, რომ არ მიმდინარეობს კვლევითი პროცესი, პროფესორები ვერ ქმნიან ახალ ცოდნას და შესაბამისად ვერ აწვდიან სტუდენტებს. მოთხოვნები გვაქვს როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, ასევე თსუ-სთან. განათლების სამინისტროს ვთხოვთ, გაატაროს პასუხისმგებლიანი პოლიტიკა, როგორც ეს ხდება ნებისმიერ ევროპულ ქვეყანაში, ასევე, განათლება გახდეს ხელმისაწვდომი და ხარისხიანი. პასუხისმგებლიანი პოლიტიკა, პირველ რიგში, პირდაპირი წესით დაფინანსებაში გამოიხატება. მეორე საკითხია, რომ, როდესაც ეს დაფინანსება მიემართება უნივერსიტეტში, სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს გარანტია, რომ თანხა ადეკვატურად და მიზნობრივად დაიხარჯება. ამიტომ საჭიროა ახალი სამეცნიერო საზოგადოების ჩამოყალიბება. იმისათვის, რომ ახალ მეცნიერებს მიეცეთ საშუალება — უნივერსიტეტში შემოვიდნენ, საჭიროა დამოუკიდებელი არბიტრის ინსტიტუტის ჩამოყალიბება, რასაც გარე რეფერირების გზით მივაღწევთ. ვფიქრობთ, ამის შედეგად საქართველოს სამეცნიერო სივრცე აღარ იქნება ასეთი ჩაკეტილი. ფაქტობრივად, ჩვენი მეცნიერება ვერ გასცდა იმ მიღწევებს, რომელიც საბჭოთა პერიოდში იყო. გარე რეფერირება საჭიროა, რათა სამი ახლობელი პროფესორი ერთმანეთს არ აფასებდეს და პროფესორის ხარისხს არ ანიჭებდეს. მთავარი პრობლემა ის არის, რომ საქართველოს პროფესურას ნაკლებად აქვს სურვილი და უნარი — აწარმოონ კვლევა. მათი პროფესორობის საბჭოთა რეგალიები, რომლითაც ამაყობენ, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში ნაკლებად მოდის.

ალექსანდრე ცაგარელი: პრობლემების სპექტრი დიდია. მათ შორის, აკადემიური საბჭოც. 14-კაციანი ჯგუფი იღებს ძირითად გადაწყვეტილებებს. ამ საბჭოში არ არიან წარმოდგენილი მაღალკვალიფიციური ადამიანები. მათი უმრავლესობა, ჯერ კიდევ წინა პოლიტიკური ვითარების დროს, პარტიული თუ სხვა ნიშნით იყო დაწინაურებული. ამას დაემატა ბატონი რექტორის ძველი მინისტრი მეგობრები. მათ შექმნეს სისტემა, რომელსაც თსუ-ში არ მოაქვს ცვლილებები და პროგრესი. შეიძლება ვისაუბროთ ინფრასტრუქტურულ და სხვადასხვა პრობლემებზე, ცალკეულ დეტალებზე, მაგრამ სათავეს ყველაფერი სწორედ ამ პრობლემიდან იღებს.

— ანუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ თსუ-ში ნაცნობობის ნიშნით დაწინაურების ტენდენციაა?

ალექსანდრე ცაგარელი: კლანური ნიშნით მმართველობა ახასიათებს ყველა ფაკულტეტს. ეს ყველაზე კარგად აკადემიურ კონკურსებში ჩანს. ჩვენ ვხედავთ, რომ ადამიანები, რომლებიც მაღალკვალიფიციურები არიან, ხშირ შემთხვევაში ვერ წინაურდებიან ან საერთოდ ვერ ხვდებიან თსუ-ში. აწინაურებენ იმას, ვინც მათთვის მომგებიანია პირადი ინტერესებიდან გამომდინარე.

— ეს სადავო საკითხია, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ არაერთი აკადემიური კონკურსი ჩატარდა, რის შედეგადაც უნივერსიტეტში დაბუნდნენ პროფესორები, რომელთა კვალიფიკაციაც ეჭვს არ იწვევს...

ალექსანდრე ცაგარელი: გარკვეული ნაწილი დაბრუნდა, მაგრამ დიდი ნაწილი — ვერა. მაღალკვალიფიციური კადრები არიან თსუ-ში, მაგრამ ვერ წინაურდებიან. მაგალითად, რატომ ვერ მოხვდა იაგო კაჭკაჭიშვილი აკადემიურ საბჭოში და რატომ დაიკავეს ამ საბჭოში პოსტები საეჭვო რეპუტაციის მქონე ადამიანებმა? — ეს ბევრ კითხვას ბადებს. მათი არჩევა ხდება ფორმალური კრიტერიუმებით და არა აკადემიურ ნაშრომთა შეფასებით.

— თქვენ ამბობთ, რომ 14 კაციანი აკადემიური საბჭო, რომელიც უნივერსიტეტის სათავეში დგას, არადემოკრატიულია. ალტერნატივა გაქვთ?

ალექსანდრე ცაგარელი: ვფიქრობთ, რომ ძირითადი ორგანო უნდა იყოს სენატი და არა აკადემიური საბჭო, თუმცა აქაც არის საფრთხე, რომ სენატის 42 წევრიც იგივე მეთოდებით იყოს არჩეული, როგორც აკადემიური საბჭო. ამისთვის არის აუცილებელი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან მოხდეს გარე რეფერირება და აკადემიური პერსონალის ასეთი ფორმით შეფასება. ახლა ასეთი სიტუაციაა — აკადემიურ საბჭოში 7 წევრი იგივე დარჩა. მე არ მახსოვს — მათ რაიმე სასიკეთო გაეკეთებინოთ: ყველა რექტორის თანამდებობაზე მოსვლასა და წასვლას მისცეს ხმა. ამას დაემატა ისიც, რომ ალეკო კარტოზია გახდა აკადემიური საბჭოს წევრი, რომელიც კარგი სპეციალისტია, მაგრამ რექტორის მეგობარია... სამაგიეროდ საბჭოში ვერ მოხვდა ასევე კარგი პროფესორი და რექტორის „არა მეგობარი” იაგო კაჭკაჭიშვილი.

— ალეკო კარტოზია თსუ-ის აკადემიური საბჭოს წევრი არ არის. რაც შეეხება უშუალოდ თქვენს აქტივობებს, საინტერესოა, აქციის მოწყობამდე თუ გიცდიათ შეხვედროდით თსუ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს ან რექტორს და გაგეცნოთ თქვენი მოთხოვნები?

ალექსანდრე ცაგარელი: ეს აქცია ჩატარდა ჩვენი კამპანიის ფარგლებში, რომელიც ასევე ითვალისწინებს შეხვედრებს და სხვადასხვა ღონისძიებებს. აქცია იყო საშუალება, რომ საზოგადოების, მედიის ყურადღება მიგვეპყრო საგანმანათლებლო პრობლემებისადმი. თსუ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან იყო გარკვეული გაფართოებული შეხვედრები, სადაც ჩემი მეგობრებიც იმყოფებოდნენ. პრობლემა ის არის, რომ ჩვენი ხედვები ფუნდამენტურად განსხვავდება. ეს ადამიანები არ არიან მოწოდებულები — უნივერსიტეტში დააბრუნონ სამეცნიერო პროცესი.

— და როგორ შეიძლება აკადემიკოს რექტორს არ სურდეს უნივერსიტეტში სამეცნიერო პროცესის დაბრუნება? ამაზე თუ გიფიქრიათ?

ალექსანდრე ცაგარელი: თუ უნივერსიტეტში იქნება მაღალი აკადემიური გარემო, იქნება მეტი დემოკრატიზაცია და ეს მათ პოზიციებს შეარყევს. რეალურად უმრავლესობას არ გააჩნია ხედვა — როგორ უნდა იყოს მოწყობილი უნივერსიტეტი. გადის წლები და სამეცნიერო სტატიები იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალებში ან თითო-თითოა გამოქვეყნებული ან საერთოდ არ არის.

— ყველა მიმართულებას გულისხმობ? რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალებში თსუ-დან 2011 წელს 541 სტატია იყო გამოქვეყნებული, გასულ წელს კი 354...

ალექსანდრე ცაგარელი: ვიცი, რასაც გულისხმობთ, მაგრამ ამ ჟურნალებს შორისაც არის ისეთივე განსხვავება, როგორც სასტუმროებს შორის არსებობს ვარკვლავების მიხედვით. გეტყვით ერთ ფაქტსაც: პროფესორ ლია წულაძის სტატია თსუ-მ მოიპარა იმისთვის, რომ ყოველწლიურად წარსადგენი სამეცნიერო სტატიების რაოდენობა შეევსო. ლია წულაძემ ეს სამეცნიერო სტატია სხვა ბაზაზე მოამზადა და უნივერსიტეტს ამის უფლება არ ჰქონდა. ესეც პრობლემაა, რომ პროფესორებს სხვაგან უწევთ კვლევების წარმოება.

— კვლევების პრობლემა პირდაპირ კავშირშია სახელმწიფოს მხრიდან უმაღლესი განათლებისა და კვლევების დაფინანსების პრობლემასთან...

ალექსანდრე ცაგარელი: გეთანხმებით, მაგრამ კონკრეტულ მაგალითსაც გეტყვით. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილესთან შეხვედრისას, მან მოგვაწოდა ინფორმაცია, რომ სახელმწიფომ გამოყო 20-მილიონიანი გრანტი უმაღლესი სასწავლებლებისთვის. აქედან სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა 5 მილიონი მიიღო და შედეგად თანამედროვე სტანდარტების სამედიცინო დაწესებულება ააშენა. ტექნიკურმა უნივერსიტეტმა 6 მილიონზე მეტი მიიღო. თსუ-მ კი გრანტის მიღება ვერ მოახერხა, რადგან პროექტი ვერ დაწერეს და ვერ წარადგინეს.

— თქვენ შეხვდით განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილეს, კონკრეტულად რა საკითხებზე ისაუბრეთ?

ბათუ კოპალიანი: ვისაუბრეთ იმ მოთხოვნებზე, რომელიც სამინისტროსთან მიმართებით გვაქვს — ეს არის ახალი ტიპის განათლების სისტემა. გავაცანით ჩვენი ხედვები. აღმოჩნდა, რომ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილეს ზუსტად იგივე ხედვა აქვს. არ ვიცი, არის თუ არა ეს მთლიანად სამინისტროს პოზიცია. აქციის დროს ჩვენ ასევე ვითხოვდით, რომ სამინისტროს წარმოედგინა უმაღლესი განათლების განვითარების კონცეფცია, რადგან სახელმწიფოს არ გააჩნია არც ერთი ოფიციალური დოკუმენტი, სადაც განათლების მიმართ მათი დამოკიდებულებაა ასახული. შეხვედრაზე გვითხრეს, რომ კონცეფცია მზად 21 ნოემბერს იქნება და პრეზენტაციაზე ჩვენც დაგვპატიჟეს. ასევე გამოთქვეს ამ პროცესში ჩვენი — სტუდენტების უფრო მეტად ჩართვის სურვილი და სურთ მეტი უფლებამოსილების მოცემა, რათა უმაღლეს განათლებაში განხორციელებული ცვლილებები ვაკონტროლოთ. შეხვედრიდან, ბუნებრივია, კმაყოფილები წამოვედით, თუმცა ჩვენ ვითხოვთ კონკრეტულ ქმედებებს. უმაღლესი განათლების სფეროში თანამდებობებზე დღესაც არიან ადამიანები, რომლებიც აფერხებენ პროგრესს. წლების განმავლობაში სამინისტრომ ვერ გამოიჩინა პოლიტიკური გამბედაობა და ვერ გადადგა რადიკალური ნაბიჯები, რაც ქართულ უმაღლეს განათლებას სჭირდება.

შეხვედრაზე, ასევე, ვისაუბრეთ უნივერსიტეტის დაფინანსების საკითხებზეც. სამინისტროს აქვს განსხვავებული ხედვა დაფინანსებასთან მიმართებაში, რაც კონცეფციის წარდგენისას დეტალურად გახდება ცნობილი. მთავარი, რაც მათ სჭირდებათ, ეს არის პოლიტიკური გამბედაობა, რომ ცვლილებები შემოიტანონ უმაღლესი განათლების სფეროში. დარწმუნებული ვარ, ეს ბევრი საბჭოთა რეგალიის მქონე პროფესორის შეწუხებას გამოიწვევს.

— რაც შეეხება უნივერსიტეტთან გამართულ საპროტესტო აქციას და შეხვედრას თსუ-ის კანცლერთან დავით ჩომახიძესთან?

ბათუ კოპალიანი: არ შეხვედრივართ დავით ჩომახიძეს. მას არ ჰქონია შეხვედრის სურვილი. ჩვენ შევვარდით მის კაბინეტში. სენატის არჩევნების წინ ჩვენ გვჭირდებოდა სრული სურათი, თუ რას აკეთებდა წამომადგენლობითი საბჭო წინა წლებში. გარკვეული ინფორმაცია გვქონდა, გარკვეული ინფორმაცია საჭიროებდა დოკუმენტურ დადასტურებას.

— უკვე გაეცანით ამ საბუთებს?

ბათუ კოპალიანი: ეს არის სამივლინებო ხარჯები ადმინისტრაციული პერსონალისა და რექტორატისა. ვლადიმერ პაპავას რექტორობის პერიოდში ეკონომიკისა და ბიზ-

მე-5 გვერდზე

ПРЕСКОНФЕРЕНЦИЯ

რექტორის პასუხი სტუდენტური ჯგუფის ბრალდებებზე

მესამე გვერდიდან

ლარი დახარჯა. პრესკონფერენციაზე აღინიშნა, რომ აღნიშნული მაჩვენებელი რეალობას სცდება.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის დადგენილებამდე უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ხელფასი თანამდებობრივი სარგოსა და დანატამისგან შედგებოდა, რომლის ოდენობა საათობრივ დატვირთვაზე იყო დამოკიდებული. აღნიშნული დადგენილების მიღების შემდეგ, დანამატი თანამდებობრივ სარგოში აისახა. 2014 წელს დანამატის სახით უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალზე თანხა არ გაცემულა. რაც შეეხება პრემიებს, მისი ოდენობა წინა წლებთან შედარებით შემცირებულია. „უნივერსიტეტში იყო ასეთი სახელფასო სისტემა: პროფესორებს ჰქონდათ გათანაბრებული ხელფასი, რომელსაც ემატებოდა განსხვავებული დანამატები. ეს დანამატები ხანდახან მნიშვნელოვნად აღემატებოდა ხელფასს, ამიტომ წლიურ ბიუჯეტში დანამატები სახელფასო სარგოზე განისაზღვრებოდა: 2012-ის მონაცემებით — 5 მილიონზე მეტი, 2013 წელს კი — 5 მილიონნახევარზე მეტი. 2014 წელს ეს დანამატი არის 0. პროფესორი ხელფასს იღებდა და მისთვის არ იყო მნიშვნელოვანი — ის ერთად ჩაერიცხებოდა თუ ცალკე. ბუღალტრულად ეს იყო — ცალკე ხელფასი და ცალკე — დანამატი. ჩვენ დავარეგულირეთ ეს საკითხი (მით უფრო, რომ კანონი უმაღლესი განათლების შესახებ ამის უფლებას იძლევა) და ხედავთ, რომ 2013 წლის ოქტომბრიდან დანამატები შედის სარგოში. ესეც გამჭვირვალეობისკენ გადადგმული ერთ-ერთი ნაბიჯია“, — აღნიშნა ლადო პაპავამ.

უნივერსიტეტის რექტორი კანონითაა უფლებამოსილი, საერთაშორისო ვიზიტები პარტნიორ უნივერსიტეტებთან ურთიერთობებისთვის გამოიყენოს

ბოლო პერიოდში ასევე გავრცელდა არაობიექტური ინფორმაცია რექტორის სამივლინებო ხარჯებთან დაკავშირებით. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, „რექტორი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლესი აკადემიური თანამდებობის პირი, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე და წარმოადგენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ქვეყნის შიგნით და გარეთ აკადემიურ და სამეცნიერო სფეროებში, რისთვისაც უფლებამოსილია — უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელით დადოს გარიგებები და შეთანხმებები“. აქედან გამომდინარე, უნივერსიტეტის განვითარების, სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, რექტორი მონაწილეობს სამეცნიერო, საგანმანათლებლო პროექტებში, კონფერენციებში, ახორციელებს საერთაშორისო ვიზიტებს პარტნიორ უნივერსიტეტებში.

ბოლო ერთი წლის მანძილზე თსუ-ის რექტორს ჰქონდა 22 მივლინება (8 შიდა და 14 გარე), მათგან რამდენიმე ძველი სამსახურის პროექტის და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო დაფინანსებით განხორციელდა. „მე არ ვარ ის ადამიანი, რომელიც გამოკიდებულია მივლინებებს, მაგრამ, სანამ ეს ფუნქცია რექტორს აკისრია საგარეო ურთიერთობებში, რა მივლინებებიც იქნება საჭირო უნივერსიტეტისთვის, გამოვიყენებ,“ — განაცხადა ლადო პაპავამ.

ინფორმაციისთვის:

- 2013-2014 სასწავლო წელს გაფორმდა და განახლდა თანამშრომლობის 27 ხელშეკრულება უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათან;
- 2013-2014 სასწავლო წელს 126 სტუდენტი და აკადემიური პერსონალი გაიგზავნა ევროპის 19 ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
- 2013 წლიდან დღემდე თსუ-ს გაცვლითი პროგრამებით 80 სტუდენტი, პროფესორი და მკვლევარი ეწვია ევროპის 15 ქვეყნის სხვადასხვა უნივერსიტეტიდან.
  თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების სახელმძღვანელოებით უზრუნველსაყოფად გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები:
- თსუ ბიბლიოთეკა გამდიდრდა 2 949 დასახელების წიგნით (7 310 ერთეული), მათ შორის, 2 347 სახელმძღვანელო;
- შეძენილია და ამოქმედებულია უნიკალური რობოტო-სკანერი (237 000 ლარი);
- შეძენილია ოცამდე სახელმძღვანელოს თარგმნის უფლება და ინტენსიურად მიმდინარეობს მათი ქართულად თარგმნის პროცესი. წლის ბოლომდე დასრულდება 4 სახელმძღვანელოს თარგმნა.

ამის გარდა, რექტორის პირადი ბიბლიოთეკიდან თსუ-ის ბიბლიოთეკას საჩუქრად გადაეცა 631 დასახელების 806 წიგნი.

თსუ-ის ბიუჯეტში მნიშვნელოვანი თანხაა გათვალისწინებული სტუდენტების დასახმარებლად. 2014 წელს, 2013 წლის მსგავსად, 650 ათასი ლარია გამოყოფილი სტუდენტების ფინანსური დახმარების მიზნით. სტუდენტების სამივლინებო თანხამ 2014 წელს 361 850 ლარი შეადგინა, პრაქტიკებისა და ექსპედიციებისთვის გამოყოფილი თანხა კი 2013 წელს 167 400 ლარს შეადგენდა, 2014 წელს – 270 835 ლარს. 2014 წლის 1 მარტიდან ბაკალავრიატის საფეხურის საუკეთესო აკადემიური მოსწრების სტუდენტს სემესტრულად გადაეცემა რექტორის სტიპენდია – 250 ლარი თვეში. 1 ნოემბრის მდგომარეობით გაცემულია 2 000 ლარი. სულ რექტორის ხელფასიდან სტუდენტებზე გაიცა — 5 237,5 ლარი. რექტორის ხელფასიდან დაფინანსდა 3 სოციალურად დაუცველი სტუდენტი — 3 237,5 ლარი.

პრესკონფერენციაზე რექტორმა ასევე ისაუბრა უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან გაცემულ ხარჯზე, რომელიც აკადემიკოს ლადო პაპავას წიგნების შეძენას მოხმარდა. „როდესაც იმართება რექტორების შეხვედრა უმაღლეს დონეზე, ისინი ერთმანეთს საჩუქრებს უცვლიან. ამაში შედის საუნივერსიტეტო ატრიბუტიკა და წიგნები. ასე ჩამოდიან ჩვენთან და ასე მივდივართ ჩვენც. იქ, სადაც რექტორები თვითონ არიან მეცნიერები, გაცვლის დროს გვჩუქნიან პირადად დაწერილ წიგნებსაც. გუშინაც იყო ჩემთან ყაზანის უნივერსიტეტის რექტორი, საკმაოდ ცნობილი საერთაშორისო დონის მეცნიერი და საჩუქრად გადმოგვცა უნივერსიტეტის ატრიბუტიკა და 4 წიგნი, აქედან 2 მისი საავტორო წიგნი გახლდათ. ჩემი წიგნების 40-40 ეგზემპლარი უნივერსიტეტმა შეიძინა წარმომადგენლობითი ხარჯებიდან და ისინი საჩუქრებად გაიცემა 4 წლის განმავლობაში. შეიძლება გაჩნდეს კითხვა — ხომ შეგვეძლო არ გვეყიდა 40 და გვეყიდა 10, ხომ უფრო ნაკლები ხარჯი იქნებოდა? პასუხი მარტივია: გამომცემლობა, თუ მეტი რაოდენობის წიგნს ყიდულობ, გიკეთებს ფასდაკლებას. 40 ცალი წიგნის შეძენაში ჩვენ 40%-იანი ფასდაკლება გვქონდა. ეს დოკუმენტები ჩვენს ფინანსურ დეპარტამენტში ინახება. გარდა ამისა, რაც რექტორი ვარ, ჩემი პირადი ბიბლიოთეკიდან უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას საჩუქრად გადავეცი 631 დასახელების 806 წიგნი, ჟურნალი, მათ შორის ისეთი ჟურნალები, რომელიც საქართველოში, უბრალოდ, არ არსებობს. მათ შორის, ამერიკის ეკონომიკური ჟურნალი, ეკონომიკური ლიტერატურის ჟურნალი და სხვა. ეს ერთჯერადი აქტი არ ყოფილა, პრაქტიკულად, მუდმივი პროცესია და ჩემი ბიბლიოთეკიდან, როგორც კი მოიძიება რაიმე საინტერესო და ჩავთვლი, რომ ის უმჯობესია იყოს უნივერსიტეტში, გადაეცემა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას“, — აღნიშნა ლადო პაპავამ და დასძინა: „გავრცელდა ინფორმაცია, რომ თითქოს უნივერსიტეტში ლექტორები აიძულებენ სტუდენტებს წიგნების შეძენას. მე მქონდა დეკანებთან ორი დღის წინ შეხვედრა და მათაც ვუთხარი — თუკი ერთი ფაქტი მაინც დაფიქსირდება, გვაცნობეთ, ეს არის დასჯადი ქმედება და რა ზომასაც კანონი გაითვალისწინებს, იმის მიხედვით ვიმოქმედებთ. ასეთმა ლექტორმა შესაძლოა თანამდებობაც დატოვოს და კონტრაქტი შეუწყდეს“.

რევოლუცია, კანონის დარღვევით, უნდა გამოირიცხოს

პრესკონფერენციაზე აკადემიკოსმა ლადო პაპავამ ასევე ისაუბრა სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების თაობაზე. მან აღნიშნა, რომ, რადგან კანონი ზოგჯერ არ იძლევა საშუალებას, ყველა ასეთ სტუდენტს დაეხმარონ, რექტორი თავისი ხელფასიდან აფინანსებს რამდენიმე მათგანს. „არ მინდოდა ამ საკითხზე საუბარი, მაგრამ რადგან არასწორი ინფორმაციები ვრცელდება, გეტყვით, რომ იმ დღიდან, რაც რექტორი ვარ, ჩემი უშუალო ხელფასიდან 3 გაჭირვებული სტუდენტი გადავარჩინე სტატუსის შეჩერებას. ეს ჯამურად საკმაოდ დიდი თანხაა. ამ სტუდენტებიდან არც ერთმა არ იცის, რომ ეს თანხა მათ რექტორმა გადაუხადა. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის II კურსის სტუდენტს გადაეხადა 1312,50 ლარი ჩემი ანგარიშიდან, ასევე მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტს, რომლის სწავლის თანხა უშუალოდ ჩემი ხელით არის შეტანილი. ამ თემებზე საუბარი არ მსიამოვნებს, მაგრამ იძულებული გავხდი, ინფორმაცია წარმომედგინა, რომ ყოველგვარი ეჭვები მოიხსნას ჩემი კორუფციაში ან რაღაც გარიგებებში ჩარევასთან დაკავშირებით. ლამის 60 წლის კაცი ვარ და ჯერ არავის არ დავუდანაშაულებივარ კორუფციაში. მე ჩემს თანამდებობაზე მეტად მიღირს ჩემი სახელი და ავტორიტეტი. მეტი შესაძლებლობა რომ იყოს, მეტსაც გავაკეთებდი“, — აღნიშნა ლადო პაპავამ.

პრესკონფერენციის დასასრულ, მან მიმართა ახალგაზრდებს, რომ მეტი გულისხმიერება გამოიჩინონ იმ ადამიანების მიმართ, ვინც უნივერსიტეტს პატიოსანი შრომით ემსახურა და დღეს დახმარებას საჭიროებენ. სწორედ ამ მიზნით მიმართა უნივერსიტეტის რექტორმა საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტს, რომ წამოაყენოს საკანონმდებლო ინიციატივა უმაღლესი განათლების შესახებ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომლითაც უნივერსიტეტს შეეძლება კანონის ფარგლებში, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული ხარჯებიდან გაუწიოს დახმარება დამსახურებულ მეცნიერებს და უნივერსიტეტის ყოფილ თანამშრომლებს, რომლებსაც დახმარება ესაჭიროებათ. ეს საკითხი მოიწონა კომიტეტმა, თუმცა პარლამენტში მისი განხილვა ჯერ კიდევ მიმდინარეობს.

„დღეს მოქმედ პროფესურასაც მივმართავ და ჩვენს სასიქადულო სტუდენტობასაც. გავა დრო და ყველა დავბერდებით, თუმცა ყველა ვერ გავხდებით ემერიტუსები, ეს შეუძლებელია. გარკვეულად, ეს სოლიდარობა ადამიანებისთვის დამახასიათებელია კეთილმოწყალებასთან ერთად. ნამდვილად არ გვაქვს ჩაფიქრებული, რომ სტუდენტს მოვაკლოთ ფული და სტუდენტის გადახდილი თანხიდან გავწიოთ ასეთი დახმარება, მაგრამ იმისთვის, რომ დამსახურებულმა ადამიანმა თავი ღირსეულად იგრძნოს, ეს კარგი ნაბიჯი იქნება. ახალგაზრდების გასაგონად ვაცხადებ, რომ არც ერთი უნივერსიტეტი ისე არ დაზარალებულა ამ წლებში, ამ რეფორმების დროს, როგორც — ჩვენი. უფრო მეტსაც გეტყვით, ჩვენი უნივერსიტეტის პროფესურა, რომელსაც უნივერსიტეტის დატოვება მოუხდა, არანაკლებ წარმატებით მუშაობს საქართველოს სხვა უნივერსიტეტებში. ეს გახლავთ საკმაოდ კარგი რესურსი, რომელიც უნივერსიტეტმა დაკარგა. საკითხი, თუ ვის მიეცეს დახმარება და ვის — არა, ეს იქნება უნივერსიტეტის გადასაწყვეტი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი კანონს ცვლილების სახით მიიღებს“, – აღნიშნა ლადო პაპავამ.

მან კიდევ ერთხელ თანამშრომლობისკენ მოუწოდა ახალგაზრდებს და განაცხადა, რომ თითოეული მათგანის პრეტენზიის მოსმენისა და ადეკვატური გადაწყვეტილების მიღების მომხრეა: „მზად ვარ მოსმენისათვის და მზად ვარ იმისთვის, რომ საკითხები ერთობლივად გადავწყვიტოთ. თუმცა, ვერანაირ რევოლუციურ ცვლილებებს ჩვენ ვერ გავატარებთ, თურევოლუციური ცვლილებებისთვის საკანონმდებლო ბაზა არ იარსებებს, კანონის დარღვევა ერთხელ და სამუდამოდ უნდა გამოირიცხოს. როდესაც წინა უნივერსიტეტის მმართველობას ვაკრიტიკებდი, ვაკრიტიკებდი სწორედ იმ ზეწოლის გამო, რომელიც არ ეფუძნებოდა კანონს და ცვლილებები აგრესიული, მექანიკური ზეწოლით ხორციელდებოდა. მინდა, რომ უნივერსიტეტში კანონის დარღვევა და აგრესიული ქმედებები ერთხელ და სამუდამოდ დასრულდეს. გავიგე, რომ, ახალგაზრდები განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილეს შეხვდნენ და იგეგმება რაღაც ახალი წინადადებების პრეზენტაცია 21 ნოემბერს. მეც სულმოუთქმელად ველი ამას“, — განაცხადა ლადო პაპავამ.

უნივერსიტეტის რექტორმა ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა და კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ პირადად მისი და უნივერსიტეტის წინააღმდეგ აგორებული კამპანია იმ განცხადებებს უკავშირდება, რაც ბოლო პერიოდში მაღლივ კორპუსთან გაზგასამართი სადგურის მშენებლობის და სასაფლაოს მოწყობის წინააღმდეგ გაკეთდა.

ითქვა აგრეთვე იმის შესახებაც, რომ მომავალი წლის ბიუჯეტი დამუშავების პროცესშია და სენატი, რომლის არჩევნებიც 12 ნოემბერს გაიმართა, მას დეკემბრის თვეში დაამტკიცებს.

მოამზადა
მაია ტორაძემ

რას ემსახურება სტუდენტების საპროტესტო კამპანია?

ინტერვიუ აქციის მონაწილეებთან

მეოთხე გვერდიდან

ნესის ფაკულტეტს დაემატა 10 პროფესორი, ამისთვის გამოვითხოვეთ შტატების ცვლილებების დოკუმენტები. ეს ეჭვს იწვევს, რადგან მიღებული პროფესორები კონკურენციას ვერ გაუწევდნენ ვერავის. გვაინტერესებდა, რამდენი ადამიანი მუშაობდა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში. ამაზე ინფორმაცია ვერ მივიღეთ. როგორც ვიცით, 45-მდე ადამიანია იქ დასაქმებული.

— ***ეს ინფორმაცია საიდან გაქვთ?***

ბათუ კოპალიანი: ჩვენ ეს გვითხრა თსუ-ში მომუშავე რამდენიმე ადამიანმა, თუმცა ამის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტაცია არ გვაქვს. ჩვენ ვაპროტესტებთ პრემიების გაცემასაც ადმინისტრაციულ პერსონალზე. კვლევამ აჩვენა, რომ ამ მიმართულებით წელიწადნახევრის განმავლობაში გაიცა 6.5 მილიონი. უნივერსიტეტმა განაცხადა, რომ ეს თანხა გაიცა პროფესორთა ხელფასებზე, დანამატის სახით, მაგრამ ჩვენ ვესაუბრეთ მათ და არავითარი დანამატი არ მიუღიათ.

— ***როგორი იქნება თქვენი შემდგომი ნაბიჯები?***

ბათუ კოპალიანი: მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ გვევალება, მაინც ვგრძნობთ შინაგან ვალდებულებას, რომ გავაგებინოთ სტუდენტებს, ლექტორებს (სამწუხაროდ ამის საჭიროება არსებობს), თუ როგორი უნდა იყოს უმაღლესი განათლება და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. არ გვსურს მხოლოდ აქციებით შემოვიფარგლოთ, გვინდა შემოვიტანოთ უფრო მეტი შინაარსი.

— ***არსებობს მოსაზრება, რომ თქვენი ჯგუფის ზურგს უკან ერთ-ერთი პოლიტიკოსი დგას, რომელსაც თითქოსდა საკუთარი ინტერესები ამოძრავებს და დღევანდელი რექტორის იმიჯის შერყევას ცდილობს. ეს პოლიტიკოსი სტუდენტთა იმ ნაწილს, რომელიც აქციაში მონაწილეობას იღებდა, პარლამენტში შესვლისთანავე, ორი წლის წინ, ღიად ჰპირდებოდა თანამშრომლობას და ომბუდსმენობას. რამდენად აქვს ამ ეჭვს საფუძველი?***

ბათუ კოპალიანი: ჩვენ მხოლოდ საკუთარი ემოციით ვმოქმედებთ და ვიბრძვით. ვიზეა საუბარი კარგად ვიცით. გია ჟორჟოლიანს გულისხმობთ. მან მხოლოდ მეორე დღეს გაიგო ჩვენი აქტიურობის შესახებ და გვირჩია, უფრო არსებით საკითხებზე გავამახვილოთ ყურადღება. იგი ჩვენს აქციებში არ ერევა. ჩვენ არანაირ პოლიტიკურ ძალებთან არ ვთანამშრომლობთ.

უნივერსიტეტში სამეცნიერო განვითარების დინამიკა უმჯობესდება

ქვეყნის უპირველესი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ტრადიციულად ქვეყნის სამეცნიერო განვითარების დონეს ასახავს. ამბიცია — იყოს პირველი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელს რეგიონში, დამყარებულია კონკრეტულ შედეგებზე, რაც მიუთითებს, რომ უნივერსიტეტი არის ლიდერი სამეცნიერო გრანტების მოპოვების თვალსაზრისით და ლიდერი — მაღალრეიტინგულ/იმპაქტ-ფაქტორიან სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობის მიხედვით.

უფრო თვალსაჩინო რომ იყოს, მოვიყვანთ კონკრეტულ მაჩვენებლებს — დღეისათვის უნივერსიტეტში ხორციელდება 200-ზე მეტი სამეცნიერო პროექტი, რომელთაგან ნაწილი დაფინანსებულია რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის, ხოლო ნაწილი — უცხოური სამეცნიერო ცენტრების მიერ.

რაც შეეხება სტატიების გამოქვეყნებას, წლების მიხედვით მაჩვენებლები ასე გამოიყურება: ტომსონის ბაზის მონაცემებით, 2009 წელს უნივერსიტეტიდან იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში გამოქვეყნებულია 109 სტატია, 2010 წელს — 145 სტატია, 2011 წლიდან კი ყოველწლიურად გამოქვეყნებული სტატიების რიცხვი 350-ს აჭარბებს.

ბოლო წლების დინამიკა გვიჩვენებს, რომ თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო დონის სამეცნიერო კვლევები მიმდინარეობს, რასაც მომავალში კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებლები ექნება, რადგან იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების ავტორთა შორის მრავლად არიან თსუ-ის დოქტორანტები (და ზოგჯერ მაგისტრანტებიც).

რა პერსპექტივები აქვს თსუ-ს სამეცნიერო განვითარების თვალსაზრისით და რომელი ფაკულტეტები ლიდერობენ კვლევებში, ამ საკითხებზე გვესაუბრა თსუ-ის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი გიორგი ღვედაშვილი*:*

მაია ტორაძე

— ბატონო გიორგი, იმ მონაცემების მიხედვით, რასაც თსუ-ის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი ასაჯაროებს, თვალნათელია, რომ უნივერსიტეტში სამეცნიერო განვითარების დინამიკა უმჯობესდება. რომელი ფაკულტეტებია ამ მიმართულებით ყველაზე აქტიური?

— დიახ, დინამიკა შეიმჩნევა, თუმცა ისეთი დიდი ინსტიტუციისთვის, როგორიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტია, ცხადია მეტია საჭირო. ამ სტატიების რაოდენობა უნდა გაიზარდოს და არ უნდა შემოვიფარგლოთ იმით, რომ უნივერსიტეტი საქართველოს მასშტაბით ყველაზე მეტ გრანტს ფლობს და ყველაზე მეტი სტატია აქვს გამოქვეყნებული მაღალრეიტინგულ/იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში. შესაბამისად, ადმინისტრაციის საზრუნავია, მეცნიერთა სტიმულირება მაღალრეიტინგულ ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნებისათვის.

რაც შეეხება ლიდერ ფაკულტეტებს, თუ რაოდენობრივად გადავხედავთ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასშტაბით მაღალრეიტინგულ/იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში ყველაზე მეტი გამოქვეყნებული სტატიებით გამოირჩევა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი და მედიცინის ფაკულტეტი, ასევე თსუ-ში ინტეგრირებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, როგორიცაა, მაგალითად, თსუ ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი და თსუ ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ახალგაზრდა მეცნიერებიც ჩართული არიან ამ საქმეში. მაგალითად, დოქტორანტი გიორგი ტეფნაძე, ბაკალავრიატიდან მოყოლებული, აქვეყნებს სტატიებს იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში. ჩვენთან ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტების დოქტორანტი ვერ დაიცავს სადოქტორო დისერტაციას, თუ არ ექნება გამოქვეყნებული სტატიები იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში.

— გასაგებია, რომ სპეციფიკიდან გამომდინარე, ამ მიმართულებით მეტი იმპაქტ-ფაქტორიანი სამეცნიერო ჟურნალი არსებობს, მაგრამ სხვა ფაკულტეტებს რა მონაცემები აქვთ, რა იწვევს იმას, რომ მხოლოდ ამ ორ ფაკულტეტზეა მაღალი მაჩვენებელი?

— დიახ, შეიძლება ითქვას, რომ სხვა მიმართულებებში, მაგალითად, ჰუმანიტარულ და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებში, ნაკლებია იმპაქტ-ფაქტორიანი ჟურნალები, მაგრამ მათაც შეუძლიათ მოიძიონ მაღალი რეიტინგის მქონე სამეცნიერო ჟურნალები და გამოაქვეყნონ სტატიები. უნდა ვთქვათ, რომ დღეს ჩვენ წვდომა გვაქვს ელსევიერის (Elsevier) ელექტრონულ საბიბლიოთეკო (Scopus და ScienceDirect) რესურსზე, სადაც დევს უამრავი მასალა (სტატიები, საკონფერენციო მასალები, წიგნები). მეცნიერებს შეუძლიათ მიიღონ უახლესი სამეცნიერო მასალა და შესაბამისად ააწყონ მთელი ბიბლიოგრაფია კონკრეტული თემატიკის მიხედვით.

ამავე სფეროში მოღვაწე მეცნიერებისთვის არსებობს ე.წ. ERIH-ის (European Reference Index of the Humanities) ბაზა, სადაც შემავალი ჟურნალები ასევე მაღალრეიტინგულია, ვინაიდან აქ სტატიების გამოქვეყნება ხდება საერთაშორისო რეცენზირების (Peer-review) შედეგად. ამ ჟურნალებში გამოქვეყნება არანაკლებ პრესტიჟულია.

აქვე უნდა ვთქვათ, რა მნიშვნელობა აქვს სამეცნიერო სტატიის საერთაშორისო ჟურნალში გამოქვეყნებას. საქმე ისაა, რომ, როცა მეცნიერი მუშაობს და აქვეყნებს თავის სამეცნიერო პროდუქტს, ის უნდა იყოს ხელმისაწვდომი საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისთვის, სადაც უნდა გავიდეს ინფორმაცია ქვეყნისა და აქ მიმდინარე სამეცნიერო კვლევების შესახებ — ეს ავტომატურად ნიშნავს, რომ ეს მეცნიერი გადის საერთაშორისო ასპარეზზე. მან უნდა იზრუნოს, რომ კვლევის შედეგები დაბეჭდოს კარგ სამეცნიერო ჟურნალში და არა ზოგიერთ ისეთ კრებულში, რომელიც საქართველოში გვხვდება და ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს... თუმცა აქაც არის საერთაშორისო კონფერენციები, რომელიც მაღალი დონისაა და ასევე მაღალი დონის სამეცნიერო კრებულს გამოსცემს.

— აქვს თუ არა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მაღალი რეიტინგის მქონე იმპაქტ-ფაქტორიანი ჟურნალი?

— დიახ, აქვს თსუ-ის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტს, რომელიც გერმანიაში გამოსცემს იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალს.

— ხომ არ არის დაგეგმილი თსუ-მ გამოცეს ჟურნალი, სადაც სტატიის გამოქვეყნება პრესტიჟული იქნება და სამომავლოდ იმპაქტ-ფაქტორსაც მოიპოვებს?

— იმპაქტ-ფაქტორი ნიშნავს ჟურნალის მნიშვნელობას და ის წლების მიხედვით იცვლება. ასეთი ჟურნალის მიმართ არსებობს გარკვეული მოთხოვნები, რომელსაც ის უნდა აკმაყოფილებდეს: დაცული უნდა იყოს პერიოდულობა, უნდა ჰყავდეს საერთაშორისო სარედაქციო საბჭო და უნდა ხორციელდებოდეს სტატიების საერთაშორისო რეცენზირება (Peer-review). ბუნებრივია, როცა ჟურნალი ახალი დაარსებულია, მას თავიდანვე იმპაქტ-ფაქტორი არ ექნება. მისი მინიჭება ხდება მასში გამოქვეყნებული სტატიების მნიშვნელობიდან გამომდინარე.

ბუნებრივია, კარგია, რომ ასეთი ჟურნალი იყოს საქართველოში და მას საერთაშორისო აღიარება ჰქონდეს. ეს საკმაოდ შრომატევადი საქმეა და მარტივი არაა, მაგრამ ჩვენ ვცდილობთ მომავალში ეს გავაკეთოთ, რაშიც დახმარება აღგვითქვა ელსევიერის წარმომადგენელმაც.

ლინგვისტური კავკასიოლოგიის მიღწევები ქართველთა ეთნოგენეზის საკითხში

24-26 *ოქტომბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში, კოლუმბიის უნივერსიტეტში გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებმაც მიიღეს მონაწილეობა. კონფერენციის მნიშვნელობასა და ამერიკაში მიღებულ შთაბეჭდილებებზე გვესაუბრება თსუ-ის კავკასიოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პროფესორი* ცირა ბარამიძე*, რომელიც კონფერენციაზე საინტერესო მოხსენებით — „ქართველთა ეთნოგენეზი და იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის საკითხი (შესწავლის მდგომარეობა და პერსპექტივები)“ წარსდგა.*

შურთხია გეროშვილი

— ქალბატონო ცირა, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ქართველი მეცნიერებისთვის ეს სამეცნიერო ფორუმი და რა იყო მისი ძირითადი თემატიკა?

— ამ მნიშვნელოვანი კონფერენციის ჩატარების ინიციატორი ცენტრალური ევრაზიული კვლევების საზოგადოებაა, რომელსაც წელს კოლუმბიის უნივერსიტეტის ჰარიმანის ინსტიტუტმა უმასპინძლა. ამ ინსტიტუტის სასწავლო და სამეცნიერო პროგრამები სწორედ რუსეთის, ევრაზიისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების კვლევებზეა ორიენტირებული. ცენტრალური ევრაზიული კვლევების საზოგადოებისა და კოლუმბიის უნივერსიტეტის ჰარიმანის ინსტიტუტის ერთობლივი ძალისხმევით შედგა ფართო მასშტაბის პროგრამა, რომელშიც წარმოდგენილი იყო მრავალი ქვეყანა, განსაკუთრებით ამ ინსტიტუტების საკვლევი სფეროდან. მათ შორის იყო საქართველოც. კონფერენციის სამეცნიერო კოლეგიამ, მრავალი პრეტენდენტის მიერ წარდგენილი ნაშრომებიდან, ვფიქრობ, თემატიკის აქტუალობიდან გამომდინარე, შეარჩია რამდენიმე ნაშრომი. ჩვენი უნივერსიტეტი ფორუმზე საკმაოდ კარგად იყო წარმოდგენილი სხვადასხვა დარგობრივ სექციაში: ელენე მეძმარიაშვილი, ზაზა ხინთიბიძე, კორნელი კაკაჩია, მარიკა გერსამია, რუსუდან ასათიანი, რევაზ აბაშია, ნინო რუხაძე, ევგენია ქურთიშვილი, სარდიონ ზედელაშვილი და მე. ფორუმში მონაწილეობდა აგრეთვე ახალგაზრდა ქართველი მკვლევარი ნათია დუნდუა, მაინის ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტიდან.

— საინტერესოა თქვენი მოხსენების თემატიკა. რამ განაპირობა ამ საკითხის წამოწევა?

— თემატიკა მისი აქტუალობიდან გამომდინარე და, რაც მთავარია, იმ მკვლევართა მიღწევების ინტენსიფიკაციის მიზნით შევარჩიე, რომლებიც ბოლო წლებში ქართულ კავკასიოლოგიურ სკოლას ეკუთვნის.

ისიც მინდა აღვნიშნო, რომ ეს არ იყო პირველი მცდელობა ამ საკითხის საერთაშორისო სამეცნიერო ასპარეზზე გასატანად.

2012 წელს ანალოგიური საკითხი დავსვი ვროცლავის ლინგვისტური სკოლის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე. მას ესწრებოდნენ პროფესორები სტენფორდის უნივერსიტეტიდანაც, სადაც ამ საკითხების მიმართ ინტერესი ძალზე დიდია. მათი ცოდნა ქართველთა ეთნოგენეზის შესახებ, სამწუხაროდ, იმ ინფორმაციით შემოიფარგლება, რომელსაც რუსული კავკასიოლოგიური სკოლა ავრცელებს ენათა ნათესაობის, კერძოდ, იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის, შესახებ. მაშინ ეს ნაშრომი ვროცლავის ლინგვისტურ ჟურნალში დაიბეჭდა ინგლისურ ენაზე, თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ დიდი გამოხმაურება გამოიწვია; პირიქით, ამ საკითხის მიმართ ლინგვისტებს შორის ამ ორი წლის მანძილზე ერთგვარი სიჩუმე გაჩნდა. აქტიურობას იჩენდნენ მხოლოდ მეცნიერები საქართველოდან, რომელთათვისაც დაუშვებელია ნათესაობა „ველურ“ ჩრდილო კავკასიელებთან.

შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა, რომ ჩემი მონაწილეობა ამ კონფერენციაში იყო სწორედ ქართველთა ეთნოგენეზის საკითხის შესახებ არსებული კვლევების კომპლექსური და პროსპექტული წარდგენა იმ უცხოელ მეცნიერთა წინაშე, რომელთაც, რიგი მიზეზების გამო, დღემდე არ შეეძლოთ დასაბუთებულად განესაზღვრათ ქართველთა ეთნოგენეზის საკითხი; კერძოდ, კავკასიოლოგიის საერთაშორისო ცენტრებში დღემდე „მუშაობს“ ის ორმაგი სტანდარტი, რომელიც რუსულმა კავკასიოლოგიურმა სკოლამ დაამკვიდრა (მათი მიდგომით — ქართველური ენები არ არის მონათესავე ჩრდილო კავკასიური ენებისა) — მათთვის ამის დაშვებაც კი არ შეიძლება, რადგან ეს იქნება კავკასიის ერთიანობის ლინგვისტური მოდელი, რაც მიუღებელია ენათმეცნიერთა იმ ნაწილისათვის, რომელიც აპრიორად იღებს პოლიტიკურ ნებას და არა ლინგვისტურ მასალას.

ჩვენ მიერ წარდგენილი საკითხი განხილულ იქნა კავკასიის ისტორიული ლინგვისტიკის სექციის სხდომაზე. სხდომას ხელმძღვანელობდა ამსტერდამის უნივერსიტეტის პროფესორი ბაბაკ რეზვანი, დისკუსანტი იყო პროფესორი ჯონ კოლარუსო. პროფესორი ჯონ კოლარუსო განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის საკითხისადმი. მოხსენებას თან ახლდა ვრცელი საპრეზენტაციო ემპირიული მასალა ქართველურ და მთის კავკასიურ ენათა შორის დადასტურებული სისტემატური რეგულარული ბგერათშესატყვისობების შესახებ. განვიხილეთ საკითხის ისტორია და ქართული კავკასიოლოგიური სკოლის თანამედროვე მიღწევები კომპარატივისტიკის დარგში: მიხეილ ქურდიანის „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები“, მერაბ ჩუხუას „იბერიულ-იჩქერიულ ენათა შედარებითი გრამატიკა“, რევაზ აბაშიას „სიბილანტურ ფონემათა სისტემა ქართველურ და დაღესტნურ ენებში — ისტორიულ-შედარებითი ანალიზი“ და სხვ. ამავე სხდომაზე სხდომის თავმჯდომარესა და დისკუსანტს წარვუდგინეთ მიხეილ ქურდიანის კაპიტალური მონოგრაფიის თარგმანი რუსულ ენაზე, მერაბ ჩუხუას ნაშრომის ძირითადი შედეგები ინგლისურ, რუსულ და ქართულ ენებზე, რომელიც დაიბეჭდა კავკასიოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო ჟურნალ „კავკასიოლოგიური ძიებების“ მე-4 ნომერში. კონფერენციაზე აღინიშნა, რომ ამ მიმართულებით მასშტაბური კვლევებია ჩატარებული და საჭიროა მათი შესწავლა-გაანალიზება. ჩემი აზრით, ქართველურ და კავკასიურ ენათა ნათესაობის საკითხი გადაწყვეტილია, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ წერტილი დაისვა, პირიქით, კავკასიოლოგიის წინაშე მრავალი პრობლემური საკითხი დგას, რომლებიც გადაჭრას საჭიროებს.

პერსონა

ჩემი ცხოვრება ყოველთვის უნივერსიტეტთან იყო დაკავშირებული

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ავთანდილ სილაგაძე ახლახან უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრად აირჩიეს, თუმცა, სულ რამდენიმე წლის წინ იგი პოლიტიკური ნიშნით დევნილ და უსმართლოდ გათავისუფლებულ პროფესორთა დაცვის ორგანიზაციის საინიციატივო ჯგუფის წევრი იყო და საკუთარი უფლებების დასაცავად იბრძოდა. მიუხედავად იმისა, რომ მისი ცხოვრების მთავარი საქმე ეკონომიკის შესწავლა იყო, ისე მოხდა, რომ ბედმა პოლიტიკამდე მიიყვანა და საქართველოს ისტორიაშიც მიუჩინა ადგილი: ავთანდილ სილაგაძე დამოუკიდებელი საქართველოს კონტროლის პალატის პირველი თავმჯდომარე და სახელმწიფო ქონების მართვის პირველი მინისტრია, შესაბამისად, სწორედ მას და პირველ რეფორმატორებად წოდებულ ეკონომისტთა გუნდს უკავშირდება კერძო საკუთრებაში სახელმწიფო ქონების გადასვლის ინიციატივები, მათი განხორციელება და, ზოგადად, სოციალისტური საქართველოს საბაზრო ეკონომიკის მოდელზე გადაყვანა. ამავე გუნდის ანგარიშზეა დღემდე მოუხსნელი ქართული რეკორდიც — ქვეყნის ეკონომიკის 12 პროცენტიანი ზრდა ერთ წელიწადში. ავთანდილ სილაგაძე დღეს ფიქრობს, რომ მაშინ ბევრი გაკეთდა, მაგრამ შეცდომაც ბევრი იქნა დაშვებული, თუმცა, ფაქტია, რომ სწორედ იმ ურთულეს 90-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი დამოუკიდებელი საქართველოს ფუნდამენტურ ფასეულობებს: ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის, ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გადაყვანის და დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბების პროცესს.

— ჩემი ცხოვრების პირველი ეტაპი მთლიანად უნივერსიტეტს უკავშირდება. ეკონომიკის ფაკულტეტის დასრულების შემდეგ აქვე განვაგრძე ასპირანტურაში სწავლა და დავიცავი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები, უნივერსიტეტშივე დავიწყე მუშაობა და პედაგოგიური საქმიანობა. ვიყავი ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი, უკვე 90-იანი წლებიდან კი მომიხდა სამთავრობო სტრუქტურებში გადასვლა, თუმცა არც მაშინ შემიწყვეტია სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობა. მას შემდეგ კი, რაც საკუთარი სურვილითა და განცხადებით დავტოვე მთავრობა, კვლავ დავუბრუნდი აქტიურ აკადემიურ ცხოვრებას. 2005-2008 წლებში პარლამენტში ცაგერის მაჟორიტარი დეპუტატი ვიყავი. ამ პერიოდს დაემთხვა გარკვეული რეფორმები განათლების სისტემაში, თუმცა, აღებულ კურსს არ ვეთანხმებოდი და მიმაჩნდა, რომ ეს არ იყო სწორი მიმართულება უნივერსიტეტის განსავითარებლად. ამ მიზეზით, მე და რამდენიმე ჩემმა კოლეგამ პროტესტის ნიშნად დავტოვეთ უნივერსიტეტი. ამის შემდეგ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ვთანამშრომლობდი. უნდა ვთქვა, რომ უნივერსიტეტის ყოფილი ადმინისტრაცია ყველაფერს აკეთებდა საიმისოდ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არ დავბრუნებულიყავი: საამისოდ საკონკურსო დოკუმენტაციაც კი გაყალბდა, რაც ექსპერტიზითაც არის დადასტურებული და ამ გაყალბების შესახებ საქმე დღემდე დევს პროკურატურაში. მას შემდეგ, ახლახან მივიღე შეთავაზება — აკადემიურ კონკურსში მიმეღო მონაწილეობა და ამ კონკურსის შედეგად ისევ დავბრუნდი უნივერსიტეტში.

დადის ხმები, რომ არ უნდა დაებრუნებინა რექტორ ლადო პაპავას ყოფილი მინისტრი უნივერსიტეტშიო, თუმცა, მე უნივერსიტეტში დასაბრუნებელი არაფერი მჭირს: მინისტრობამდეც ვიყავი ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფაკულტეტის დეკანი, მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორი და მთელი ჩემი ცხოვრება, ძირითადად, უნივერსიტეტთან იყო დაკავშირებული.

ამჟამად საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკური აზრის ისტორიის კათედრას ვხელმძღვანელობ. ეს კათედრა ადრეც არსებობდა, მაგრამ შემდეგ გააუქმეს, გარკვეულწილად, ალბათ, ჩემს გამოც, დასაბრუნებელი ადგილი რომ არ მქონოდა. აბსურდული გადაწყვეტილება იყო: ქვეყანა საერთაშორისო ინტეგრაციის გზას ადგას და ამ დროს უნივერსიტეტში საერთაშორისო ეკონომიკის კათედრას აუქმებენ. თუმცა, მთავარია, რომ ახლა კათედრა უკვე არსებობს და აქ საკმაოდ საინტერესო მუშაობაც მიმდინარეობს.

— ახლახან დაბრუნდით ლონდონიდან, სადაც საერთაშორისო კონფერენციაზე იმყოფებოდით. რა თემას მიეძღვნა ეს ღონისძიება?

— ლონდონის უნივერსიტეტში ეკონომიკისა და ბიზნესის საკითხებისადმი მიეძღვნილი ამერიკულ-ბრიტანული ძალიან მაღალი დონის კონფერენცია გაიმართა, რომელშიც 30-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა. ჩემი მოხსენება ევროპულ სივრცეში საქართველოს ეკონომიკის ინტეგრაციის პერსპექტივებს და საქართველოს რესურსების გამოყენების შესაძლებლობას მიეძღვნა. კონკრეტულად, საუბარია წყლის რესურსებზე, რომლითაც ჩვენს ქვეყანას შეუძლია უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანოს ევროპის სასმელი წყლით მომარაგების საკითხებში. საქართველოში არის მსოფლიო მნიშვნელობის მიწისქვეშა წყლის რესურსი, რომლის ერთ პროცენტსაც კი ვერ ვიყენებთ, მაშინ, როდესაც ევროპის სასმელი წყლით მომარაგების პრობლემა შეგვიძლია გადავწყვიტოთ ამ მარაგის მხოლოდ 5 პროცენტის გამოყენებით. რა თქმა უნდა, მარტო ამ საკითხით არ ვიყავი დაინტერესებული: ჩემი კვლევის საგანია საშუალოვადიან პერიოდში საქართველოს პერსპექტივები ევროკავშირში ინტეგრაციის თვალსაზრისით, ის, თუ რა დონეს შეგვიძლია მივაღწიოთ საშუალოვადიან პერიოდში, პირობითად 2020 წლისათვის და შევძლებთ თუ არა ამ დროში დავაკმაყოფილოთ ის ეკონომიკური ინდიკატორები, რომელიც აუცილებელია ევროკავშირის წევრობისათვის.

დადის ხმები, რომ არ უნდა დაებრუნებინა რექტორ ლადო პაპავას ყოფილი მინისტრი უნივერსიტეტშიო, თუმცა, მე უნივერსიტეტში დასაბრუნებელი არაფერი მჭირს: მინისტრობამდეც ვიყავი ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფაკულტეტის დეკანი, მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორი და მთელი ჩემი ცხოვრება, ძირითადად, უნივერსიტეტთან იყო დაკავშირებული.

— რა ინდიკატორებზეა საუბარი და როგორია საქართველოს პერსპექტივა?

— ერთია ევროპასთან ასოცირება, მეორეა ევროკავშირის ნამდვილი წევრობა, რისთვისაც ქვეყანა რამდენიმე კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს. მათ შორის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე, რომელიც 10-12 ათას დოლარს უნდა აღწევდეს წელიწადში; ასევე, უმუშევრობის დონე უნდა იყოს ერთნიშნა ციფრის ფარგლებში; ძირითად მაჩვენებელთა შორისაა ბიუჯეტის დეფიციტი, ინფლაციის დონე და მთლიან შიდა პროდუქტთან საგარეო ვალის მიმართება. ამ ეტაპზე იკვეთება, რომ ზოგიერთი მონაცემის დაკმაყოფილებას საქართველო 2020 წლისათვის შეძლებს, მაგრამ ვერ მივაღწევთ მთავარ მაჩვენებლებს, რომელიც ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის ოდენობას და უმუშევრობის დონეს უკავშირდება, თუ არ მოხდა სერიოზული გარღვევა რაღაც რესურსის ხარჯზე.

— როგორი გარღვევაც არაბულმა ქვეყნებმა შეძლეს ნავთობის ხარჯზე?

— ნავთობზე უფრო შემოსავლიანი გახდება წყლის გამოყენება, რადგან წყალი ნავთობზე ძვირი ღირს. ამდენად, ეს თემა ევროპაში ინტეგრაციის ფონზე ძალიან საინტერესოა. ამ საკითხებს შევეხეთ კონფერენციაზე.

— თქვენი მთავრობაში მოღვაწეობა საქართველოს ისტორიის ყველაზე მძიმე პერიოდს უკავშირდება, თუმცა, პირველად სიტყვა — რეფორმატორები, სწორედ თქვენსა და თქვენი თანამოაზრეების მისამართით გამოიყენეს. ამ პერიოდის შესახებ რას გაიხსენებთ?

— 1992 წლიდან მივედი მთავრობაში, თავიდან კონტროლის პალატის თავმჯდომარედ, შემდეგ — სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრად. პირველი ეტაპი ძალიან რთულ დროს დაემთხვა: დანგრეული ქვეყანა, დანგრეული ეკონომიკა, არ არსებობდა ბიუჯეტი და შეგახსენებთ, რომ პირველად ქვეყნის ბიუჯეტი 90-იანი წლების შუა წლებში დამტკიცდა, არ შემოდიოდა ინვესტიციები და დახმარებები, მიმდინარეობდა ომი და ეს არ იყო 4 დღიანი ომი, არამედ გრძელდებოდა წელიწადნახევრის განმავლობაში. ეკონომიკის ვარდნამ წარმოუდგენელ მასშტაბებს მიაღწია და ვარდნის პიკი 1994 წელს დადგა. ასეთ სიტუაციაში სხვა ალტერნატივა არ არსებობდა, გარდა ერთისა — უნდა მომხდარიყო საკუთრების ტრანსფორმაცია. სახელმწიფო ვეღარ მოუვლიდა ქონებას, ან როგორ დააფინანსებდა, როდესაც ბიუჯეტიც არ ჰქონდა?! ამიტომ, ერთ-ერთი მთავარი სტრატეგიული მიმართულება იყო ის, რომ მომხდარიყო სახელმწიფოს გარდაქმნა, მისთვის ფუნქციების ჩამოცილება და კერძო პირებისთვის ამ ფუნქციების გადაცემა. შესაბამისად, შეიქმნებოდა სისტემა, როდესაც ქონება კერძო პირების ხელში იქნებოდა, ეს კი უკვე იმის გარანტია იყო, რომ ძველი სისტემის რესტავრაცია ვეღარ მოხდებოდა. ამ ამოცანის გადაჭრა მე და იმ ჯგუფმა, რომელიც მაშინ ეკონომიკურ მიმართულებას ედგა სათავეში, გარკვეულწილად შევძელით, თუმცა, გამოუცდელობის გამო, შეცდომაც ბევრი იქნა დაშვებული. იყო სუბიექტური შეცდომებიც, მაგრამ სტრატეგიული მიმართულება სწორი იყო და მისი გატანა შევძელით. ამ ყველაფერს თითქმის ცარიელ ნიადაგზე ვაკეთებდით, შემდეგ უკვე ჩვენთან ერთად მსოფლიო ბანკი და სავალუტო ფონდიც მუშაობდა და გამოცდილებას გვიზიარებდა. საბოლოო ჯამში, საკმაოდ სწრაფად, უკვე 1995 წელს დამტკიცდა ბიუჯეტი, შემოღებული იქნა ეროვნული ვალუტა და 1996-97 წლებში, უმოკლეს პერიოდში, საქართველოს ეკონომიკის ზრდის ტემპმა 12 პროცენტი შეადგინა, ასეთი მაჩვენებელი მას შემდეგ საქართველოში აღარ ყოფილა. 1998 წლიდან ჩვენი გუნდის წევრებს მთავრობიდან წამოსვლა მოუხდათ. ამ პერიოდიდან, 1998-2001 წლებში, გარკვეული ვარდნა დაიწყო ეკონომიკაში. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ 90-იანი წლების რეფორმები, მიუხედავად ბევრი ნაკლისა, მნიშვნელოვანი რეფორმები იყო. მის შედეგად შეიქმნა მესაკუთრეთა ფენა და ბიუჯეტში კერძო სექტორიდან შემოსავლებმა 1996-97 წლებში 80 პროცენტი შეადგინა.

— პრინციპში, ეს იყო უნიკალური გამოცდილების მიღების შესაძლებლობა თქვენთვის, როგორც ეკონომიკის მკვლევარისთვის.

— მთავრობაში მისვლამდე ეკონომიკის დოქტორი ვიყავი, მაგრამ მარტო წიგნებით და პუბლიკაციებით შეუძლებელი იყო იმ ცოდნის მიღება, რომელიც მე ამ საქმიანობის დროს შევიძინე. ამ გამოცდილებამ დიდი როლი შეასრულა ჩემს ჩამოყალიბებაში. მაშინ, როდესაც მე მივედი ქონების მართვის მინისტრად და მანამდე კიდევ კონტროლის პალატის თავმჯდომარედ, არ იყო ასეთი მზა კაბინეტები და შენობაც კი არ გვქონდა, ძლივს მოვიპოვე შენობა და მაგიდებიც კი ჩვენი ხელით შევიტანეთ იქ. ხალხმა არ იცოდა, რას ნიშნავდა საერთოდ პრივატიზება, და სიმართლე გითხრათ, ბევრი რამ მეც არ ვიცოდი, პრაქტიკაში ხდებოდა ჩვენი იდეების შემოწმება. ახლა კი ახალგაზრდა თაობას შეიძლება ასწავლო ის, თუ რის გაკეთება როგორ სჯობს და ამ ცოდნას ვიყენებ ჩემს სტუდენტებთან.

სტუდენტებთან მუშაობა დღეს ჩემი მთავარი მიმართულებაა. ძალიან მოტივირებულები არიან და თუ შეძლებ მათ დაინტერესებას, ლაკმუსის ქაღალდივით იწოვენ ყველაფერს. მათ მხოლოდ თეორია, როგორც ასეთი, ნაკლებად აინტერესებთ, თუმცა, ის ფაქტი, რომ ეკონომიკის ფაკულტეტზე ფილოსოფიის სწავლება არ ხდება, გაუმართლებლად მიმჩნია, რადგან ამის გარეშე ეკონომიკური პროცესების გააზრება შეუძლებელია. იანვრიდან ვხელმძღვანელობ ახალ კათედრას და უკვე ვთარგმნეთ სახელმძღვანელო ძირითად საგანში — ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია. ასევე, ითარგმნა და გამოიცა მსოფლიო ეკონომიკა და ახლა ვმუშაობთ ნობელის პრემიის ლაურეატის, პაულ კრუგმანის სახელმძღვანელოს თარგმანზე, რომელიც საერთაშორისო ეკონომიკას შეეხება. ეს თარგმანები მთლიანად ჩვენი კათედრის პროფესორ-მასწავლებლების მიერ მზადდება. ჩვენ უკვე შევქმენით სპეციალური მოდული ეკონომიკის მიმართულებაში, ეს არის ეკონომიკისა და ეკონომიკური აზრის ისტორია. საერთაშორისო ეკონომიკის კუთხით თავისთავად არის ჩამოყალიბებული მოდული. ვფიქრობ, ჩვენი კონტაქტებით საუკეთესო სტუდენტებს, დოქტორანტებს საშუალებას მივცემთ უცხოეთში აიმაღლონ კვალიფიკაცია და ამავე დროს, ვფიქრობ, რომ უფრო აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი სამეცნიერო კვლევებში. ეს არის მიმართულება, რომელიც ძალიან სუსტად გვაქვს წარმოდგენილი კათედრაზე და ფაკულტეტზე. ვფიქრობ, უნივერსიტეტმაც უნდა გამოყოს გარკვეული თანხა კვლევებისათვის, გარდა იმისა, რასაც მკვლევრები გრანტების სახით მოიპოვებენ. კონკურსების საფუძვლზე უნდა შეირჩეს თემატიკა, რომლითაც კათედრები იქნებიან დაკავებულნი. მხედველობაში მაქვს შიდა საუნივერსიტეტო კვლევები, რომლებშიც ჩაერთვებიან სტუდენტებიც.

— როგორც აკადემიური საბჭოს წევრი, რა პრობლემებს ხედავთ უნივერსიტეტში?

— რაც შეეხება უნივერსიტეტის ზოგად პრობლემებს, ბუნებრივია, ბევრი დადებითი გაკეთდა ამ წლებში, მაგრამ ძალიან სერიოზული და მწვავე პრობლემებიც დაგროვდა: ბევრმა ღირსეულმა პროფესორმა დაუმსახურებლად დატოვა უნივერსიტეტი და ამიტომ, ეს საკითხები სამართლიანობის კუთხით მოსაგვარებელია. ამ მიმართულებით ლადო პაპავას რექტორობის დროს უკვე გადაიდგა ნაბიჯები და არაერთი პროფესორი დაბრუნდა კონკურსის წესით. ცხადია, წლობით დაგროვილი ეს პრობლემები ერთბაშად ვერ გადაწყდება, მაგრამ ეტაპობრივად ამის დაძლევა მოხდება. ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ ის, რომ, რექტორისა და ჩემი კოლეგების ნაწილის ინიციატივით, უშუალოდ უნივერსიტეტიდან პარლამენტში მოხდა კანონპროექტის ინიცირება სოციალური ფონდის შექმნის შესახებ. ეს ნიშნავს იმას, რომ უნივერსიტეტებს მიეცემათ უფლება, გამოყონ გარკვეული თანხები საკუთარი ბიუჯეტიდან და დაეხმარონ იმ პროფესურას, რომლებმაც მთელი ცხოვრება შეწირეს მეცნიერებას, მაგრამ, გარკვეული მიზეზებით, დღეს შეიძლება ვერც კი შეძლონ აქტიური პედაგოგიური მოღვაწეობა. ამიტომ მათ უნდა მიეცეთ კომპენსაცია, რომ ღირსეულად შეძლონ არსებობა.

მოამზადა
ლელა კურდღელაშვილმა

სტუდ-ეტიკეტი

№9

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ სტუდენტური ჩანართი

„ᲑᲔᲡᲢᲡᲔᲚᲔᲠᲘ“ — ᲬᲘᲒᲜᲘ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲖᲔ

როცა ლიტერატურის არსებობა საუკუნეებს ითვლის, როცა ყველაფერი უკვე დაწერილია და ნათქვამი, მით უმეტეს, აღარაფერი დაგრჩენია გარდა იმისა, რომ დაწერო წიგნი წიგნებზე, თანაც — იუმორით.

ასე მოიქცა ბექა ადამაშვილი. 24 წლის მწერალი საზოგადოებამ ჯერ ბლოგით — doin.ge — გაიცნო, შემდეგ კი — გამარჯვებით, ლიტერატურულ კონკურსში — „შემოდგომის ლეგენდა“. „ბესტსელერი“ — ასე უწოდა ავტორმა პირველ წიგნს, რომელიც მაღაზიების თაროებიდან ისეთი სისწრაფით ქრება, სახელს თუ არა, ბექას მოლოდინს მაინც გაამართლებს.

ყველა მკითხველისთვის ნაცნობია სახარებისეული, ყურანის და სხვა ცნობილ ავტორთა (ხშირად, უკონტექსტო) ციტატები, ლათინური (გაუგებარი) ფრაზები, აუხსნელი ილუზიები და პეიზაჟების, გარეგნობისა თუ არქიტექტურის ისეთი დეტალური აღწერა, რამდენიმე ფურცლის თვალგადაუვლებლად გადაშლას რომ გაიძულებს. თუმცა, „კლასიკოსზე ან კარგი უნდა თქვა, ან არაფერი“.

დუმილი „ბესტსელერმა“ დაარღვია.

წიგნის მთავარი პერსონაჟი სიტყვების მარტივი თამაშისას გაჩნდა. პიერ სონაჟი — ასე ჰქვია მწერალს, რომელსაც 33 წლის ასაკში 12 მკითხველზე მეტი არ ჰყავს და რომელიც საკუთარი თავისა და წიგნების პიარისთვის მსოფლიოს უმაღლესი შენობიდან ხტება. ბურჯ–ხალიფადან მინას დანარცხებულ ადამიანს ჰოლივუდის ყველაზე ოპტიმისტი რეჟისორიც ვერ გააცოცხლებს, ამიტომ, ბუნებრივია, პიერი მოკვდა, მაგრამ მოხვდა არაბუნებრივ, ლიტერატურულ ჯოჯოხეთში... ადგილზე, სადაც მწერლები ისევე იტანჯებიან, როგორც მათი წიგნები ტანჯავდნენ მკითხველებს.

თუმცა, როგორც ბექა ამბობს, „ყველაფერს ანოტაციაში ვერ მოყვები“. სხვა დანარჩენისთვის არსებობს „ბესტსელერი“ და ინტერვიუ მის ავტორთან:

მაია ჭანტურიძე

— ბექა, „წინასიტყვაობის მაგიერ“-ის მაგიერ“-ში წერ, რომ შენი წიგნი არანაირი ღრმა და ყოვლისმომცველი აზრის მატარებელი არ არის. მაშინ რატომ დაწერე? და საერთოდ, რისთვის იწერება წიგნები?

— ჩემი მიზანი იყო ღრმა და ყოვლისმომცველაზრიანი ნაწარმოებების შარჟი. რთულია ეძებო რამე კონკრეტული აზრი წიგნში, იმიტომ, რომ რასაც იპოვი, მაინც სუბიექტური შეხედულება იქნება. როგორც ვაჟას არწივზე არ იცის კაცისშვილმა „საქართველო“ იგულისხმებოდა, თვითონ „ვაჟა“ თუ უბრალოდ პოეტის ორნიტოლოგიური ექსკურსი იყო ბუნებაში, ისევეა წიგნების უმეტესობის აზრიც. ამიტომ, ვინც რას დაინახავს, თავად განსაზღვრავს, რამდენად ღრმა და ყოვლისმომცველია.

მგონია, რომ წიგნები იწერება სიამოვნების მისაღებად, მაგრამ სიამოვნების მიღებას თან მოჰყვება განათლება, შემეცნება, „თვალსაწიერის ზრდა“ და მათი თანმდევი დადებითი სახელზმნები.

— როგორ გაჩნდა იდეა დაგეწერა „სატირულ-პაროდიულ-დეტექტიურ-თავსატეხ-ფენტეზ-დაკიდევ რაც გამოგვრჩა“ ჟანრის რომანი?

— იდეა გაჩნდა ერთი ჩვეულებრივი ფეისბუკ–საუბრიდან, როდესაც მოსაუბრემ აღნიშნა, რომ ძალიან ცუდად იმახსოვრებდა მწერლების გვარებს და თუ ოდესმე ჯოჯოხეთში მოხვდებოდა, მისი სასჯელი იქნებოდა ის, რომ მწერლები მივიდოდნენ მასთან, ის კი ვერაფრით შეძლებდა მათ გახსენებას. მაშინ მივხვდი, რომ მწერლებზე შეიძლებოდა საინტერესო ამბავი გამოსულიყო მწერლების ჯოჯოხეთზე.

— რომელმა მწერალმა დაგტანჯა? ვის დაუწესებდი ხანგრძლივ სასჯელს ლიტერატურულ ჯოჯოხეთში?

— მე „ულისემ“ დამტანჯა და თან ისე, რომ თავის გადადებას წიგნის გადადება ვამჯობინე. რა სასჯელიც დაიმსახურა ამისთვის პატივცემულმა ჯოისმა, კი არის მოთხრობილი წიგნში. პრინციპში, ეს უფრო ჩემი ბრალია, ვიდრე ჯოისის, ჰიუგოს ან თომას მანის. იმიტომ, რომ შეიძლება უასაკო ასაკში წავიკითხე ეგ წიგნები და ვერაფერი დავიჭირე მათში, კარგი ჩიტის გარდა.

— პიერ სონაჟი „ბესტსელერის“ მთავარი გმირის სახელია. აქამდე როგორ ვერავინ დაიჭირა ეს სიტყვების მარტივი თამაში?

— მეც ეგ მიკვირს, სხვათა შორის და თან იმდენად გამიკვირდა, რომ „გუგლს“ ჩავეძიე. მაგრამ „გუგლმაც“ საძიებო ველი აიჩეჩა: არ გამიგიაო. ალბათ, იმიტომ, რომ „სონაჟი“ როგორც გვარი, მაინცდამაინც, არც ქართულ რეალობაში არსებობს და მით უმეტეს, არც ფრანგულში.

— რომელიმე მწერლის გავლენა გიგრძვნია?

— იმდენად ხშირად არ ვწერ, გავლენებზე რომ ვიფიქრო. რაც იმ მომენტში მომადგება კლავიატურაზე, იმას ვკრეფ. ჯერჯერობით, არ ყოფილა შემთხვევა, გავჩერებულიყავი და „უი, ახლა ფოლკნერი ვიგრძენი ჩემში“ მეთქვას.

— პიერ სონაჟი და ოქტავი, „99 ფრანკიდან“ 33 წლის ასაკში აპირებენ თვითმკვლელობას, რადგან როგორც ბეგბედერი ამბობს, „ეს საუკეთესო ასაკია აღდგომისთვის“. წერის მანერითაც თითქოს გავხარ ფრანგ მწერალს. ფრედერიკ ბეგბედერთან შენს მსგავსებაზე რას იტყვი?

— ბეგბედერთან, ალბათ, უფრო სტილური მსგავსება შეიძლება იყოს — ვგულისხმობ ირონიას, თვითკრიტიკას, იუმორს.

— „ბესტსელერი“ — რამდენად ამბიციური ნაბიჯი და განაცხადია ეს სახელი ლიტერატურაში? უწინასწარმეტყველებ თუ არა ბესტსელერობას?

— ამბიციური განაცხადია კი, მაგრამ მარკეტინგულად კარგი სახელია. „ბესტსელერი“ რომ აწერია წიგნს, სულაც ჯოკრის სათამაშო ფურცლების ნაკრები რომ იყოს, მაინც მიმზიდველად გხვდება თვალში. ბესტსელერობას რაც შეეხება, ცოტა კომიკურია ქართულ ბაზარზე ამის წინასწარმეტყველება, როცა ტირაჟი ხუთასია. ანუ, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის იმდენად მიზერული პროცენტი, რომ ყველას გაყიდვის შემთხვევაშიც კი, „ისერასელერი“ გამოდის.

— შენი აზრით, რა არის მთავარი, რაც უნდა ჰქონდეს ჩვენს საუკუნეში დაწერილ კარგ წიგნს?

— მარტივად გადმოცემული აზრი, 21–ე საუკუნის შესაბამისი ზომა, თხრობის განსხვავებული სტილი და ეფექტური ფინალი.

— რეცეპტი მარტივია და ლაკონიური. ამის ფონზე, ბევრი კარგი წიგნი იწერება?

— შეიძლება ბევრი კარგი წიგნი იწერება, მაგრამ მე იმდენად ცუდი ინტუიცია მაქვს, რომ მათ პოვნას იშვიათად ვახერხებ.

— რომელია შენი საყვარელი ავტორი და წიგნი?

— საყვარელი წიგნი არ მაქვს, მაქვს წიგნები, რომლებიც შემიძლია წავიკითხო რამდენჯერმე. მაგალითად, „პატარა პრინცი“ და ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობების კრებული. საყვარელი მწერლის დასახელება კი მარტო მაშინაა ადვილი, როცა ერთი მწერალი გაქვს წაკითხული.

— და ბოლოს, რის თქმა გინდოდა წიგნით და რამდენად გამოგივიდა სათქმელის მკითხველამდე მიტანა?

— მაგის ჩამოყალიბებას ვეცადე ექვსიშვიდი თვე და ექვს–შვიდ წუთში გამიჭირდება ცოტა. პრინციპში, რის თქმაც მინდოდა, წიგნშია ნათქვამი და თუ არ ჩანს, ესე იგი, მაინცდამაინც სათქმელიც არ მქონია.

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲐᲗᲕᲘᲡ — COURSERA-Ს ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ

„უნივერსიტეტში ბევრი მხოლოდ დიპლომისთვის აბარებს“- ხშირად გვსმენია ეს სიტყვები. შეიძლება მართლა არიან ასეთებიც, მაგრამ ისინი უმრავლესობას არ წარმოადგენენ. ახალგაზრდები უნივერსიტეტში იმიტომ აბარებენ, რომ მათ მიერ არჩეული პროფესიისთვის საჭირო ცოდნას, უნარებსა და პრაქტიკას დაეუფლონ. თავიდან ყველა ენთუზიაზმით არის განწყობილი ცხოვრების ამ ახალი ეტაპისთვის, მაგრამ როდესაც მოლოდინები არ უმართლდებათ, იმედი უცრუვდებათ და სწავლას ნაკლები გულისყურით ეკიდებიან.

სალომე ფხალაძე

თსუ-ის ბევრი სტუდენტი უკმაყოფილებას გამოთქვამს სწავლის დაბალ ხარისხზე, მაღალ გადასახადზე, მცირე სტიპენდიებზე, არაკეთილმოწყობილ აუდიტორიებსა და ინფრასტრუქტურაზე... ეს ყველაფერი მათი სწავლის მოტივაციას ადაბლებს, რაც აკადემიურ მოსწრებაზეც აისახება.

სინამდვილეში სტუდენტებს სწავლა სურთ. მთავარია მათი დაინტერესება, შთაგონება... ნებისმიერი სტუდენტი რომ გააჩერო და ჰკითხო, ისწავლიდნენ თუ არა პრისტონის, კოლუმბიის, სტენფორდის, ბერკლის ან მსოფლიოს სხვა წამყვან უნივერსიტეტებში, დიდი უმრავლესობა იმწამსვე გეტყვის — „რა თქმა უნდა“, მაგრამ იქვე დასძენს რომ ეს ძვირი სიამოვნება და მიუწვდომელი ოცნებაა.

რა არის გამოსავალი? — მსოფლიოს სწავლულმა ფილანტროპებმა ამაზე იფიქრეს და იმისთვის, რომ განათლება ყველასთვის ხელმისაწვდომი გაეხადათ, უფასო მასობრივი ონლაინ კურსები შექმნეს (Massive Online Courses).

უფასო მასობრივი ონლაინ კურსები ნებისმიერ მსურველს საშუალებას აძლევს უფასოდ მოუსმინოს მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების პროფესორების ვიდეო-ლექციებს და კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ, სერტიფიკატიც მიიღოს. კურსები ძირითადად ინგლისურენოვანია.

დღესდღეობით მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარული მასობრივი ონლაინ კურსების ვებ-გვერდი სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორების მიერ დაარსებული Coursera.org-ია რომლის დევიზია — „განათლება ყველასთვის“.

უკანასკნელი მონაცემებით, Coursera ნებისმიერ დაინტერესებულს სრულიად უფასოდ სთავაზობს სხვადასხვა დისციპლინის 868 კურსს 115 პარტნიორი უნივერსიტეტისგან. მის ვებ-გვერდზე სულ 10 მილიონზე მეტი მომხმარებელია დარეგისტრირებული.

Coursera-ს კურსების გასავლელად, მის ვებ-გვერდს უნდა ეწვიოთ (*www.coursera.org*); უფასოდ გაიაროთ რეგისტრაცია (მხოლოდ სახელის, გვარის და ელექტრონული ფოსტის შეყვანით); აირჩიოთ თქვენთვის სასურველი ნებისმიერი კურსი და სწავლას შეუდგეთ.

მაგალითად, აირჩიეთ კოლუმბიის უნივერსიტეტის კურსი, „ეკონომიკა, ფული და საბანკო საქმე“, რომელსაც პროფესორი პერი მერლინგი კითხულობს. თქვენ შეიძლიათ ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ადგილას მოუსმინოთ ვიდეო-ლექციებს, თუ რამე ვერ გაიგეთ, გადაახვიოთ, თუ საქმე გამოგიჩნდათ, შეწყვიტოთ მოსმენა და როცა გეცლებათ მაშინ გააგრძელოთ. თქვენ საშუალება გექნებათ, დამატებით საკითხავ მასალას გაეცნოთ, მონაწილეობა მიიღოთ სადისკუსიო ფორუმებში და ქვიზებისა და ტესტების წარმატებით ჩაბარების შემდეგ, სერტიფიკატიც მიიღოთ (Statement of accomplishement).

Coursera-ს კურსების ვიდეო-ლექციები საშუალოდ 10-12 წუთიანია და 4-6 კვირა გრძელდება. 868 კურსიდან აბსოლუტური უმრავლესობა ინგლისურენოვანია, თუმცა მათი სხვადასხვა ენაზე თარგმნაც მიმდინარეობს. ყველას აქვს შანსი Coursera-ს თარჯიმანთა გლობალური გუნდის წევრი გახდეს და ვიდეო-ლექციები სხვადასხვა ენაზე ხელმისაწვდომი გახადოს. თარჯიმანთა გუნდის მუშაობის შედეგად კურსებიდან 112 ჩინურად, 37 ესპანურად, 39 ფრანგულად, 28 კი რუსულად არის ნათარგმნი.... ჯერჯერობით, Coursera-ს არც ერთი კურსი არ არის ქართულ ენაზე.

ᲑᲚᲝᲒᲘ

ᲙᲔᲓᲔᲑᲘᲗ ᲝᲞᲔᲠᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ...

„Ბუძილნიკმა“ დარეკა და გავიღვიძე... მაგრამ ეს ძალიან ბანალური დაწყებაა ისტორიის მოსაყოლად... მოდით შუა დღიდან დავიწყოთ.

მოკლედ, 3-ის ნახევარზე ავტობუსის ბოლო მარჯვენა სავარძელზე ვიჯექი. გოგი გვახარიას საჯარო ლექციაზე მივდიოდი მწერალთა სახლში და ეს მახარებდა. ვნახე, ფეხზე „შნუროკი“ გახსნილი მქონდა. შევიკარი. კედები მეცვა, ჩემი ცისფერი კედები, რომლებიც ხმარებისგან გაცვეთილია, ძირი კი გახეული აქვს, მაგრამ ეს ჩემი გამოსასვლელი ფეხსაცმელია. ჩვენ ბევრი რამ გვაქვს ერთად გამოვლილი: ბოლო ზარი, ეროვნული გამოცდები, დედის ოპერაცია... მარის რომ სიყვარული ავუხსენი, მაშინაც ეს მეცვა, შემდეგ პირველად რომ ვაკოცე და მან ხელი გამარტყა, მაშინაც. მას „made in china“ აწერია და ვაგზლის ბაზრობაზე ვიყიდე, მაგრამ ამაზე ძვირადღირებული და ძვირფასი ნივთი მე არ მაქვს.

გზას დაახლოებით 50 წუთი სჭირდება და ამ მარშრუტს ყოველ დღე გავდივარ უნივერსიტეტამდე. ეს კი ყოველთვის ის პერიოდია, როცა ვფიქრობ. დანარჩენ დროს, უბრალოდ, ინსტიქტებით ვმოქმედებ. ეს ცხოვრების წესად მექცა. ჩვენი მშობლების თაობას, ჩვენგან გასხვავებით, ფანტაზიის უნარი განვითარებული აქვს იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირში ყველაფერზე დეფიციტი იყო. დეფიციტი არა მარტო ჯინსებსა და პროდუქტებზე, არამედ ადამიანურ გრძნობებზეც. ერთადერთი, რაც ბლომად ჰქონდათ, ეს იყო ოცნება, ფანტაზია. ხო, კიდევ „სპიჩკაც“ ბლომად იყო... ჩვენს დროში კი, ყველაფერი ხელმისაწვდომია, ამიტომ თანამედროვე ადამიანს წარმოსახვის უნარი არ აქვს.

ფიქრებში წავედი...

ავტობუსიდან ჩანს ქალაქი. ქალაქი მთელი თავისი სიბინძურით, გარემოვაჭრეებით, ბაზრობებით, ნაგვიანი ქუჩებით, მანქანების ხმაურით, მეძავებით, სუნიანი მეტროთი, ადამიანებით, რომლებიც სავსე არიან ტყუილით, ვერ იტევენ ორპირობას, სიძულვილს, ეჭვიანობას, ღალატს. ეს ხალხი კი ირევა ქალაქში — ყოველ ფეხის ნაბიჯზე მხვდებიან, მესალმებიან, მკოცნიან. ქალაქში ეკლესიის უკან ბორდელებია, სკოლებთან – კაზინოები, ბაზარში – ტუალეტები. სული მეხუთება, ეს ყოველივე კი მეც მსვრის.

ჩავუარეთ თეატრალურ უნივერსიტეტს, შემდეგ ამოვუხვიეთ და გავცდით სამხატვრო აკადემიას. ფანჯრიდან ჩანდნენ სტუდენტები, რომლებსაც ჩაცმულობით ადვილად გამოარჩევდით. რატომაც არა, ისინი ხომ ხელოვანი ადამიანები არიან. მათ ბორდოსფერი შარვლები აცვიათ, ჭრელი კედები და ნაქსოვი პიჯაკები, მაგრამ ნამდვილ ხელოვნებას ის ქმნის, ვისაც ჯინსი და დუტის „კურტკა“ აცვია; ნამდვილ ინფორმაციას არა ტლიკინა ჟურნალისტები, არამედ კამერის უკან მომუშავე დინჯი პროფესიონალები გადმოსცემენ; ნამდვილ კანონებს არა ჰალსტუხიანი პოლიტიკოსები, არამედ უდიპლომო ჭკვიანები ადგენენ. ღმერთო, რატომაა ასე ფარისევლობით სავსე ეს ქვეყანა?!

ფანჯრიდან ეკლესია გამოჩნდა. ავტობუსში პირჯვარი გადაიწერეს. გამახსენდა, რომ მარხვა იწყება. იწყება მარხვა და სალონებსაც მოაკლდება კლიენტები, საშაურმეებთან აღარ იქნება რიგები, ხორცის მაღაზიებს, საკონდიტროებს, რესტორნებს, სახინკლეებს დააკლდება მუშტარი, მაგრამ გაგრძელდება შური, ერთმანეთის ჩაგვრა, დამცირება. გაგრძელდება მეძავობა, ამპარტავნობა, ღალატი. ისევ გავყიდით ოჯახის წევრებს, არ შევიწყნარებთ მეგობრებს, ვიქნებით ისეთივე არატოლერანტული საზოგადოება, როგორიც ვიყავით. სამაგიეროდ, უკვე — „მარხული“. ერთმანეთს თავს ისევ მოვაჩვენებთ უკეთეს მმარხველებად, ერთმანეთის ჯიბრზე მოვიქცევით მორწმუნეებივით და არა ჭეშმარიტად ქრისტეს სიყვარულის გამო. ყოველ სამ სიტყვაში ერთხელ ღმერთს ვახსენებთ, ვადიდებთ და ერთხელაც არ მოგვაფიქრდება საქმითაც იგივეს გაკეთება. ფარისეველნო, უპირველესი თქვენს შორის მე ვარ. როდის გვეღირსება გამოსწორება?!

ამასობაში ავტობუსიდან ჩამოვედი. მიწისქვეშა გადასასვლელის კიბეებს დავუყევი. ამ გადასვლელში ჩასვლას მერჩივნა, პირდაპირ ქუჩა გადამეკვეთა. მიზეზი არც ისე მარტივია, მაგრამ შევეცდები აგიხსნათ: ამ გადასასვლელის ერთ ბოლოს ახალგაზრდა ყმაწვილი დგას. რამდენჯერაც მინახავს, სულ ერთი და იგივე გაცრეცილი ტანსაცმელი აცვია, ხელში კი ნახევრად დამტვრეული გიტარა უჭირავს და მთელი დღის განმავლობაში მღერის. მეორე ბოლოს კი დგას, უფრო სწორად, გდია ერთი ჯარისკაცის ფორმაში გამოწყობილი შუახნის კაცი, დილით რომ გამოთვრება არყით და მას შემდეგ ამ გადასასვლელში სძინავს. მე კი გული მიკვდება – ამ ლოთის წინ სამათხოვრო თასი მუდამ სავსეა ხურდებით, იმ ყმაწვილის წინ კი, მხოლოდ რამდენიმე რკინის მონეტა ჩანს...

ამასობაში მიწისქვეშა გადასასვლის კიბეები ჩავიარე. გამიკვირდა, რომ მუსიკოსი ბიჭის სიმღერა არ ისმოდა. შემდეგ კი, იმან, რაც ვნახე, საბოლოოდ დამაკარგვინა ადამიანებისადმი რწმენა! ბიჭს გიტარა გვერდით ჰქონდა გადადებული, ხელი წინ გამოეწია და მათხოვრობდა...

შემეშინდა. ის ხომ ჩვენ ვაქციეთ ასეთად! ვიცი, რომ ერთ დღეს მეც ასე მომექცევით, მეგობარს დამიძახებთ, მომესალმებით ღიმილით, ლოყაზე მეამბორებით, მაგრამ გამწირავთ ამ საბრალო ბიჭივით...

რამდენიმე წუთში მწერალთა სახლში ვიყავი, საჯარო ლექციაზე. გოგი გვახარია ჯერ მოსული არ იყო, აუდიტორია კი ნელ–ნელა ივსებოდა. ხალხს დავაკვირდი. ეს ჩემი ჰობია. დარბაზი როკოკოს სტილში იყო მოწყობილი – ბევრი ჩუქურთმა, სარკეები და ნათელი ფერები. აქ დამსწრე საზოგადოებაც ისეთივე ცივი და ცარიელი იყო, როგორც ეს ოთახი, მათი ჩაცმულობა კი – მეტად პედანტური. ვხედავდი მხოლოდ ისეთ პოეტურ პალტოებს, ამერიკელ მწერლებს რომ აცვიათ. მათი პერანგები ჰემინგუეის გარდერობიდან ჩამოხსნილს ჰგავდა. იტალიური, ყავისფერი ტყავისგან შეკერილი ფეხსაცმელი მათ ხორბლისფერ კაშნეებს უხდებოდა. მე კი ჩემი კედებით ვიყავი, ცოტა შემრცხვა. მოკლედ, აქ ბოდიში მომიხადეთ, „პეროგაყრილ“ საზოგადოებას მოეყარა თავი. დიხ, დიახ, ბოდიში თქვენ უნდა მომიხადოთ, რადგან თქვენ მაქციეთ ასეთად! ღმერთო ჩემო, როგორ მომინდა სიგარეტის მოწევა...

დარბაზის შემოსასვლელში ჩოჩქოლი ატყდა. ხალხმა კორიდორი გააკეთა. შორიდან ვხედავდი, რომ გოგი გვახარია მოდიოდა. შემდეგ დაჯდა, ქურთუკი სკამზე გადაკიდა, აუდიტორიას მიესალმა, მიკროფონი გაასწორა და საუბარი დაიწყო.

მას ფეხზე კედები ეცვა...

ᲑᲐᲓᲠᲘ ᲪᲮᲝᲛᲐᲠᲘᲐ

ᲒᲝᲒᲝᲜᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲖᲣᲠᲒᲩᲐᲜᲗᲘᲗ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲧᲝᲤᲘᲗ

დილით 7-ზე დგება, ვარჯიშობს, კაკაოს თერმოსში ასხამს, კონტეინერში სადილს იმზადებს, დიდ ზურგჩანთაში ქსეროქსებს, რვეულებს, საღებავებს სამსახურისთვის საჭირო მასალებს აწყობს და 8-ზე სახლიდან გადის.

ქეთი დავითაშვილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების მე-4 კურსის სტუდენტია, რომელიც ამავდროულად სამხატვრო აკადემიაში სწავლობს. ის, სწავლის გარდა, საერთაშორისო ორგანიზაცია ჰილელში მუშაობს და ინგლისურში მოსწავლესაც ამზადებს.

ქეთი უნივერსიტეტს მალე დაამთავრებს, ამიტომ ვკითხეთ, თუ რა მოეწონა და რა — არა ამ 4 წლის განმავლობაში:

ᲛᲝᲡᲬᲝᲜᲡ

... თსუ-ის მე-6 კორპუსის აურა. აქ ყოველთვის დაგხვდებიან ჯგუფელები, ლექტორები, ნაცნობი „ფაკულტეტელები“, ადმინისტრაციის და დაცვის თანამშრომლები.

„მომწონს განსაკუთრებული დამოკიდებულება სტუდენტებს შორის. ექსტრემალურ სიტუაციაში შეგიძლია ნებისმიერ მათგანთან „მივარდე“ და დარეკვა, ქსეროქსი ან ქსეროქსის ფული სთხოვო, მას კი ეს სულაც არ გაუკვირდება.

როდესაც კომპიუტერების ოთახში შეხვალ სასწრაფო საქმეზე და ყველა კომპიუტერი დაკავებული დაგხვდება, შეგიძლია შუა ოთახში დადგე ხმამაღლა თქვა: „სასწრაფო საქმე მაქვს და ვინმე ვერ დამსვამთ?“ და რამდენიმე იმწამსვე დაგითმობს ადგილს.

მომწონს ლექტორები, რომლებიც დილიდან „უფანჯროდ“ ჩატარებული ლექციების შემდეგ უპრობლემოდ რჩებიან სტუდენტთან სასაუბროდ და გაურკვეველი თემების ასახსნელად“.

ᲐᲠ ᲛᲝᲡᲬᲝᲜᲡ

... საათობით ბაზების გასხნის ლოდინი, სასურველი საგნის გარეშე დარჩენა, კოლოკვიუმების თარიღების გაუფრთხილებლად დანიშვნა, სტუდენტურ სასადილოში საკუთარი საჭმლის შეტანის აკრძალვა.

„არ მომწონს მერხები გადაბმული სკამებით, დაფები, რომლებზეც მარკერები წესიერად არ იშლება.

მიუხედავად ყველაფრისა, მე-4 კურსის გადმოსახედიდან მაინც მინდა ვთქვა, რომ უნივერსიტეტმა ბევრი სასარგებლო რამ შემმატა“.

* * *

ეს ქეთის აზრებია... თუმცა დიდად ამ პრობლემებზე არ სწუხს. დილით ისევ 7-ზე ადგება, ივარჯიშებს, თერმოსში კაკაოს ჩაასხამს, კონტეინერში სადილს გაიმზადებს, დიდ ზურგჩანთაში ქსეროქსებს, რვეულებს, საღებავებს, სამსახურისთვის საჭირო მასალებს ჩააწყობს და 8 საათზე სახლიდან გავა.

ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲤᲮᲐᲚᲐᲫᲔ

ᲒᲐᲜᲐ ᲠᲐ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲞᲐᲜᲓᲣᲡᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲐ?

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წლებია ტარდება თურქული ენის შემსწავლელი უფასო გაკვეთილები, რომელსაც თურქეთის საელჩო აფინანსებს. სწორედ თურქულის გაკვეთილებზე დასასწრებად დადის კვირაში სამი დღე უნივერსიტეტის მეორე კორპუსში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ციცი ბაღდავაძე. ყოველ გაკვეთილზე მისვლისას ერთი და იგივე მეორდება: ციცის ეტლი, მეორე კორპუსის შესასვლელში პანდუსის არარსებობის გამო, დაცვის თანამშრომლებს ხელით ააქვთ კიბეზე.

„ზოგადად ქვეყანაში და ქალაქში შეზღუდული გარემოა, მაგრამ სახელმწიფო უნივერსიტეტში დაუშვებელია ადამიანებს მსგავსი პრობლემები ექმნებოდეს. მე არ ვსწავლობ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ალბათ ხვდებით, რომ შეუძლებელიცაა ვსწავლობდე. აქ თურქულის გაკვეთილებზე დავდივარ და იმისთვის, რომ შენობაში შევაღწიო, სამი ადამიანის დახმარება მჭირდება“, — ამბობს ციცი ბაღდავაძე.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ყველა მოქალაქე თანასწორუფლებიანია და სურვილის შემთხვევაში, ყველა მოქალაქეს თანაბრად აქვს უფლება მიიღოს უმაღლესი განათლება. თუმცა ციცი ამას სკეპტიკურად უყურებს: „განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირებს მხოლოდ ფორმალურად აქვთ უფლება მიიღონ უმაღლესი განათლება. ეს კიდევ უფრო გამაღიზიანებელია. ყველა უნივერსიტეტში, მეტ-ნაკლებად, ერთნაირი შეზღუდული გარემოა, სადაც არ არის არანაირი პირობა განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისთვის. საინტერესოა, ასეთ ადამიანებს პირდაპირ რატომ არ ეუბნება უნივერსიტეტი, რომ მათი ადგილი უნივერსიტეტში არ არის. წინასწარ რატომ არ მეუბნება უნივერსიტეტი, რომ რეალურად ვერ მიმიღებს? არადა ნათელია, რომ ვერ მიმიღებს“.

ციცემ მეორე კორპუსის ადმინისტრაციას განცხადებით მიმართა კორპუსის შესასვლელში პანდუსის გაკეთების თაობაზე, თუმცა, ჯერჯერობით, მის განცხადებას არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია.

ᲐᲜᲐ ᲚᲝᲛᲗᲐᲫᲔ

საერთაშორისო სამედიცინო ფორუმ „მედეა 2014“-ის პრიზის მფლობელი

ბატონ „თბილისის უნივერსიტეტს” მედიცინის ფაკულტეტის ქირურგიის დეპარტამენტის ბოლოდროინდელი სიახლეების შესახებ დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **მერაბ კილაძე** *ესაუბრა, რომელსაც ახლახან საერთაშორისო სამედიცინო ფორუმ „მედეა 2014“-ის პრიზი მიენიჭა, რადგან სტუდენტების მიერ ერთხმად დასახელდა თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის საუკეთესო პედაგოგად.*

ექნება თუ არა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს საკუთარი საუნივერსიტეტო კლინიკა — ეს საკითხი დაარსების დღიდან მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური თემაა, თუმცა, მას შემდეგ, რაც თსუ-ს თბილისში, კონსტიტუციის ქუჩაზე მდებარე ყოფილი მე-7 საავადმყოფოს შენობა გადაეცა, გაჩნდა იმედი, რომ სასწავლო პროცესი მოწესრიგდება და სტუდენტებს საშუალება მიეცემათ ერთ სივრცეში დაეუფლონ როგორც პროფესიულ უნარებს, ისე თეორიულ ცოდნას. მართალია, ეს ჯერ მხოლოდ შენობაა, რომელსაც რემონტთან ერთად შესაბამისი ტექნიკური ბაზაც ესაჭიროება, მაგრამ თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის ქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, პროფესორ მერაბ კილაძეს სრულფასოვანი სასწავლო პროცესისათვის კლინიკის არსებობა აუცილებელ პირობად მიაჩნია.

სტუდენტთა მომზადების სრულყოფისათვის წელს ფაკულტეტზე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა: ქართულ ენაზე მომზადდა და გამოიცა ცნობილი ამერიკელი პრაქტიკოსისა და ავტორის ასევე ცნობილი ბეტსელერი „მოშე შაინის საღი აზრი გადაუდებელ აბდომინურ ქირურგიაში”. წიგნი მედიცინის დოქტორ თემურ ქემოკლიძის თარგმნილია, სამეცნიერო რედაქტორი კი ბატონი მერაბ კილაძე გახლავთ. რამდენადაც თანამედროვე ტიპის სახელმძღვანელოები ზოგადად ნებისმიერ მიმართულებაში დეფიციტია, ასეთი დონის სახელმძღვანელოს გამოცემა სერიოზული შენაძენია, როგორც ფაკულტეტის, ისე ზოგადად ქართველი ქირურგებისათვის.

მერაბ კილაძე:

— რექტორის, ბატონ ლადო პაპავას ინიციატივა იყო, რომ დაგვწყო უცხოური სახელმძღვანელოების თარგმნა, რადგან, სანამ ჩვენ ჩვენსას შევქმნით, აუცილებელია არსებობდეს თანამედროვე ტიპის ქართულენოვანი სახელმძღვანელო. ამიტომ თანამედროვე მეცნიერისა და ამერიკელი ქირურგის მოშე შაინის სახელმძღვანელოს გამოცემა გადავწყვიტეთ.

გარდა ამისა, ერთი წლის უკან დავასრულე პროექტი ქიმიკოსებთან — დავით ტულუშთან და რამაზ ქაცარავასთან ერთად, რომელიც ითვალისწინებდა ქართველი მეცნიერების მიერ პოლიმერების ინსტიტუტში შექმნილი ახალი პოლიმერის — კოლადერმის სადრენაჟე მილებში გამოყენების შესაძლებლობას. პროექტი საერთაშორისო გრანტით დაფინანსდა და სამ წელს გრძელდებოდა. ქართველი ქიმიკოსების მიერ შექმნილ პრეპარატს ვხმარობდით დრენაჟებში ოპერაციის შემდეგ, სადრენაჟე მილებს ამოვავლებდით ამ პრეპარატში და შემდეგ შეგვყავდა მუცლის ღრუში. თავდაპირველად ექსპერიმენტული კვლევები ჩატარდა, შემდეგ კი კლინიკური, რომელსაც უკვე მე ვხელმძღვანელობდი. ძალიან კარგი შედეგები მივიღეთ და ნაშრომი მალე დაიბეჭდება იტალიის ქირურგთა ასოციაციის ჟურნალში.

ამას გარდა, მნიშვნელვანი და საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ქართველი ექიმების გამოცდილებით დაინტერესდნენ ევროპის გაერთიანებულ ქირურგთა კონგრესზე, რომელიც გერმანიაში ჩატარდა, სადაც ჩვენ მოხსენება გავაკეთეთ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შედეგების შესახებ. ჩავიტანეთ უნიკალური მასალა, რომელიც არც ინტერნეტშია და არც წიგნებში წერია ამის შესახებ: ომის პერიოდში ღუდუშაურის ცენტრში ვიყავი და ხუთი დღის განმავლობაში 800-მდე დაჭრილი მივიღეთ. ამ დღეების განმავლობაში არაერთი ახალი სახის ჭრილობა და დაზიანება შეგვხვდა და ევროპელებს აინტერესებდათ ქირურგიული მიდგომები, ის, თუ როგორ ხდებოდა დახარისხება, მკურნალობის რა ტაქტიკა გამოიყენებოდა, რა ოპერაციები კეთდებოდა და რა გართულებები გვქონდა. ამის გამო კონფერენციაზე მოხსენების გასაკეთებლად სპეციალურად დაგვპატიჟეს და მთელი ხარჯები საკუთარ თავზე აიღეს. სამწუხაროდ, ჩვენში ეს არავის აინტერესებს, იქ კი დიდი ინტერესი გამოიჩინეს. ჩამოსული იყვნენ გერმანიის თავდაცვის სამინისტროს მთავარი ქირურგები და სათითაოდ იღებდნენ ფოტოაპარატით ჩვენ მიერ ნაჩვენებ სლაიდებს, რომ შემდეგ ეს მასალა შესაბამისად გადაემუშავებინათ.

უნდა ითქვას, რომ ჩვენს ფაკულტეტზე ინტელექტუალური რესურსი ნამდვილად არის და საკმაოდ საინტერესო ნაშრომები მომზადდა ჩემი დოქტორანტების მიერ, მათ შორის გერმანელი პროფესორების მონაწილეობით. არის შესაბამისი საერთაშორისო კავშირებიც და ყველანაირად ვცდილობთ, არ ჩამოვრჩეთ ტენდენციებს, თუმცა, ეს ზღვაში წვეთია თანამედროვე სტანდარტებიდან და მოთხოვნებიდან გამომდინარე. ქირურგიის შესასწავლად, სასურველია უკეთესი ბაზების არსებობა. იმედია, ახლა მაინც გაკეთდება დიდი საუნივერსიტეტო კლინიკა და შეიქმნება ის, რასაც ჰქვია სასწავლო ჰოსპიტალი, სადაც სტუდენტები ერთ სივრცეში გაივლიან ქირურგიას, თერაპიას, გინეკოლოგიას, ნეიროუროლოგიას და ა.შ. დღეს კი ჩვენი სტუდენტები მოდებული არიან მთელ ქალაქს, ლექციიდან კლინიკამდე გადაადგილებას ვერ ასწრებენ და ასე წვალობენ. რეალობა ჯერ-ჯერობით ასეთია და ძალიან ბევრია დამოკიდებული იმაზე, რომ კლინიკის შექმნა მოხერხდეს.

მოამზადა
ლელა კურდღელაშვილმა

გზავნილი ადმინისტრაციას

რექტორთან შეხვედრის შემთხვევაში რა საკითხს წამოწევთ?

ომარ მუკბანიანი,
თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მაკრომოლეკულების ქიმიის მიმართულების პროფესორი:

— ბოლო დროს უნივერსიტეტში ბევრი რამ უკეთესობისკენ შეიცვალა, მაგრამ არის პრობლემები, რომლებიც საერთო ძალისხმევით უნდა გადაიჭრას. ჩემი აზრით, სახელმწიფოებრივი აზროვნების გაღრმავებაა საჭირო, განსაკუთრებით იმ საკითხებზე საუბრისას, როდესაც საქმე ეხება ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვან პრობლემას — ახალგაზრდა კადრების მომზადებას.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტს, ჩემი აზრით, მეტი ხელშეწყობა სჭირდება, ვინაიდან უფრო ძვირადღირებულია. დღეს სტუდენტის მომზადების ღირებულება ამ დარგში და სხვა დარგებში ერთნაირად არის შეფასებული, რაც არასწორია. რეალურად, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები უმეტესად სამეცნიერო კვლევებთან არის დაკავშირებული, რაც გულისხმობს სხვადასხვა დანადგარისა თუ რეაქტივების შეძენას. ეს ხელსაწყოები, თავის მხრივ, დროთა განმავლობაში ძველდება და მუდმივ განახლებას საჭიროებს. ამიტომ მიმაჩნია, რომ პირველ რიგში, ექსპერიმენტალურ დარგებში სტუდენტის მომზადების თანხა უნდა გაიზარდოს სახელმწიფოს მხრიდან დოტაციით ან უნივერსიტეტის მხრიდან შიგა რეგულაციებით და ეს თანხა მოხმარდეს სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიების განახლება-მოდერნიზაციას. მნიშვნელოვანი და გადასაჭრელია ასევე სასწავლო აუდიტორიების პრობლემაც, რომლებიც მოუწყობელია, რაც გარკვეულ დაბრკოლებას გვიქმნის სწავლების პროცესში. საჭიროა გაკეთდეს სალექციო ლაბორატორიები. სტუდენტს, რომელიც ფულს იხდის, უფლება აქვს მოითხოვოს შესაბამისი პირობები, ამიტომ ეს პრობლემაც მოსაგვარებელია.

აუცილებელია სტუდენტების უზრუნველყოფა თანამედროვე სასწავლო ლიტერატურით და ეს უნდა იყოს მიმართულებების ნომერ პირველი ამოცანა.

ქიმიის მიმართულებას თავის დროზე ჰქონდა თავისი სასწავლო და კვლევითი ლაბორატორიები. პირველ კორპუსში მიმდინარე რემონტის დროს ეს აუდიტორიები და ლაბორატორიები ჩამოგვართვეს. დღეს ამ ოთახებს ქიმიის დეპარტამენტს აღარავინ უბრუნებს, არადა სტუდენტების რაოდენობა უკვე გაიზარდა.

დღეისათვის სტუდენტის კვირეული სამუშაო დატვირთვის ბადე 20 საათს შეადგენს. დანარჩენი დრო მან უნდა „მოანდომოს“ საკუთარ თავზე სახლში მუშაობას. ექსპერიმენტული მიმართულებების სტუდენტები კომპიუტერში ვერ შეასრულებენ ლაბორატორიულ სამუშაოებს. საჭიროა 20-საათიანი ბადის გაზრდა, რათა ლაბორატორიული სამუშაოების შესრულება მოესწროს. 1 და 2 საათიანი ლაბორატორიული დატვირთვა არ არის საკმარისი ლაბორატორიული სამუშაოების დასამთავრებლად.

2006 წლიდან საკურსო, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა საათობრივ დატვირთვაში არ ითვლება. არადა ეს სამუშაოები საბუნებისმეტყველო მეცნიერებების განხრით დიდ ძალისხმევას მოითხოვს. მიმაჩნია, რომ დოქტურანტურაში მისაღები გამოცდა უნდა ბარდებოდეს სპეციალობაში და ის უნდა იყოს განმსაზღვრელი. გარდა ამისა დოქტურანტურაში უნდა ისწავლებოდეს სპეციალობის საგნები, რომლებიც საგამოცდო უნდა იყოს.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის სასწავლო-სამეცნიერო უნივერსიტეტი, ამიტომ სამეცნიერო კვლევით სამუშაოებს დიდი მნიშვნელობა უნდა ექცეოდეს. მიზანშეწონილად მიმაჩნია გამოიყოს საბაზო დაფინანსება უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევებისათვის. დღეს დეკანატის მიერ გამოყოფილი თანხა საკმარისია მხოლოდ და მხოლოდ სასწავლო ლაბორატორიების ფუნქციონირებისათვის და არა სამეცნიერო კვლევებისათვის. ამიტომ, თუ მეცნიერმა გრანტი არ მოიპოვა, მას სამეცნიერო კვლევების ჩატარების საშუალება არ აქვს. ჩემი აზრით, სამეცნიერო კვლევების დაფინანსება უნივერსიტეტში უნდა აღდგეს, როგორც სხვა უნივერსიტეტებშია, შიდა საუნივერსიუტეტო კონკურსებით.

ქიმიის მიმართულებით უკვე მერამდენედ დაიწერა გრანტი ხელსაწყოებზე გამოცხადებულ კონკურსზე, მაგრამ ბირთვული მაგნიტური რეზონანსის ხელსაწყოს ღირებულება იმდენად დიდია, რომ ასეთი დიდი თანხის გაცემა, არსებული პრობლემების გამო, რუსთაველის სამეცნიერო ფონდმა დადებითად არ გადაწყვიტა. არადა, ნებისმიერი კვლევა ქიმიის მეცნიერების მიმართულებით აღნიშნული ხელსაწყოს გამოყენების გარეშე შეუძლებელია. ასეთი ხელსაწყო საქართველოში არ არსებობს და ქართველ მეცნიერებს უხდებათ დასავლეთის და მეზობელი სახელმწიფოების (აზერბაიჯანი, სომხეთი) სამეცნიერო ცენტრებში ჩაატარონ გამოკვლევები. იმედია, რომ ბატონი რექტორი აღძრავს საკითხს განათლების სამინისტოს და მთავრობის წინაშე, რომ შეგვიძინონ აღნიშნული ხელსაწყო.

მიმაჩნია, რომ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები შედარებით არასასურველ მდგომარეობაში არიან. ჩემი აზრით, უნივერსიტეტის ყველა პროფესორის ხელფასი თანაბარი უნდა იყოს. დღეს იურისტები და ეკონომისტები გაცილებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში არიან. ეს უნდა გაითვალისწინოს ადმინისტრაციამ, მითუმეტეს, რომ უნივერსიტეტის რანჟირებას (რეიტინგს და იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში შრომების გამოქვეყნების მაჩვენებელს) საბუნებისმეტყველო მეცნიერებები განაპირობებს.

მიზანშეუწონლად მიმაჩნია სახელფასო დანამატების კატეგორიებად დაყოფა. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე უმაღლესი კატეგორიის სახელფასო დანამატის მისაღებად პროფესორ-მასწავლებლებმა უნდა შეასრულონ დამატებით 6-8-12 საათი დატვირთვა, ან გამოაქვეყნონ 3 სტატია იმპაქტფაქტორიან ჟურნალში, მაშინ როდესაც უნივერსიტეტი არ აფინანსებს სამეცნიერო სამუშაოებს. 3 იმპაქტფაქტორიანი სტატია უცხოურ ენაზე აღნიშნული მატერიალ-ტექნიკური ბაზის პირობებში არ არის მარტივი. გარდა ამისა, ექსპერიმენტალური დარგები: ქიმია, ფიზიკა და ბიოლოგია გუნდურ პრინციპზე აგებული მეცნიერებებია და, ამდენად, გამოქვეყნებული შრომების წილის გადანაწილებას აქვს ადგილი, რაც დაუშვებელია. თუ ეკონომიკურად ძლიერი ფაკულტეტებისათვის კონსულტაციები შეტანილია საათობრივ დატვირთვაში, საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე ის არსად ფიგურირებს.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მოწვეული პროფესორ-მასწავლებლების ანაზღაურება არ არის დამოკიდებული კვალიფიკაციაზე, ხოლო თავად ანაზღაურება სხვა ფაკულტეტებთან შედარებით არის მცირე, რაც დაუშვებელად მიმაჩნია. ვფიქრობ, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა იყოს ერთიანი საუნივერსიტეტო მიდგომა.

ჩვენს მიმართულებაზე კიდევ ერთი პრობლემაა: როდესაც სილაბუსს ვადგენთ, მასში გათვალისწინებულია ასევე ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარება, რომელიც ხორციელდება ლაბორანტებთან ერთად. დღეს ეს ადამიანები ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში არიან, როგორც ადმინისტრაციის დამხმარე პერსონალი, რაც არასწორია. აუცილებელია და მათი სურვილიც არის, რომ მოხდეს მათი დაბრუნება ფაკულტეტებზე, მიმართულებაზე და კათედრებზე, როგორც სასწავლო პროცესის შემადგენელი ნაწილის. ამის თაობაზე მათ რექტორსაც მიმართეს და რექტორი დაპირდა აღნიშნული საკითხის დადებით გადაწყვეტას. იმედია მომავალში დანაპირები შესრულდება. გარდა ამისა, ფაკულტეტზე გვყავს ლაბორანტები, რომლებსაც აკადემიური დოქტორის ხარისხი აქვთ, სასურველია ამ ლაბორანტებს მივცეთ პროფესორის ასისტენტის სტატუსი, როგორც ეს სხვა ფაკულტეტებზეა.

გარდა ამისა, დღეს ბევრ ახალგაზრდას, რომელიც აქ სწავლობდა და შემდეგ უცხოეთში განაგრძო სწავლა, დაიცვეს ხარისხები, საქართველოში ჩამოსვლის საშუალება არ აქვს, რადგან სამუშაო ადგილები არ არის. მათაც ხელშეწყობა სჭირდებათ, რადგან უწყვეტად მოხდეს თაობათა ცვლა. ამ მიზნით ყველაზე ოპტიმალურია სამეცნიერო ლაბორატორიების სტატუსის აღდგენა.

საერთაშორისო კონფერენცია

კავკასიის სიძველეები მსოფლიოს მუზეუმებში

„კავკასია მხოლოდ ლამაზი და მდიდარი რეგიონი არ არის, ევროპამ უპირველეს ყოვლისა, ინტერესი უნდა გამოხატოს კავკასიის რეგიონის მოსახლეობის მიმართ, რომელმაც ათასწლოვანი ღვაწლის შედეგად სრულიად ორიგინალური კულტურული სამყარო შექმნა“, — წერდა ქართული ემიგრაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე მიხაკო წერეთელი. მსოფლიოს სხვადასხვა სიძველეთა საცავებში დაცული სიძველეები დღესაც აღაფრთოვანებს მნახველს, კავკასიური კულტურისადმი ინტერესი დღესაც არ შენელებულა. სწორედ ამ მნიშვნელოვან საკითხს მიეძღვნა საერთაშორისო კონფერენცია — „კავკასიის სიძველეები მსოფლიოს მუზეუმებში", რომელიც თბილისში, 31 ოქტომბრიდან 3 ნოემბრის ჩათვლით, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ზურაბ წერეთლის ფონდის ორგანიზებით გაიმართა.

შურთხია ბეროშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში გამართულ ღონისძიებებს დაესწრნენ მეცნიერები გერმანიიდან, რუსეთიდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან. (მოსკოვიდან, სანკტ-პეტერბურგიდან, ბაქოდან, სოჭიდან, ერევნიდან). მოწვეულმა სტუმრებმა საერთაშორისო კონფერენციის მნიშვნელობაზე გაამახვილეს ყურადღება.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო კონფერენციის დაწყებამდე ქართველი და უცხოელი მეცნიერები უწმინდესმა და უნეტარესმა, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ილია მეორემ მიიღო, რომელმაც ღონისძიების მონაწილეები დალოცა და წარმატებები უსურვა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ შეხვედრას დაესწრო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე, რომელმაც ფორუმის მნიშვნელობაზე ისაუბრა: „კავკასია თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობით ყოველთვის იყო მსოფლიო ცივილიზაციის ცენტრში და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ევროპისა და აზიის გასაყარზე. სწორედ ამიტომ არის კავკასიური კულტურა ასეთი განსხვავებული და თავისებური. კავკასიის სიძველეები მართლაც უზარმაზარი საკვლევი მასალაა მეცნერებისთვის. კონფერენციაზე ძალიან საინტერესო თემატიკა წამოიჭრა, ეს სფერო ყველა ჩვენგანისთვის საინტერესოა. კონფერენციის მნიშვნელობაზე მიუთითებს სწორედ ის წარმომადგენლობითობაც, რომელიც აქ ესწრება“, — აღნიშნა თამარ სანიკიძემ.

კონფერენციის ჩატარების მნიშვნელობაზე ვრცლად ისაუბრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ლადო პაპავამ. „ყოველი ერისთვის სიძველეები მისი სიამაყეა, ისტორიის გარეშე მომავალიც არ არსებობს. დღეს, გლობალიზაციის ეპოქაში, მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმში დაცული კავკასიის სიძველეების შესწავლას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიული მეცნიერებისათვის და, ამავე დროს, ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის უკეთ გაცნობისათვის. ამ თვალსაზრისით, ეს კონფერენცია, რომელზეც მსოფლიოს წამყვანი მუზეუმების წარმომადგენლები შეიკრიბნენ, საეტაპო ნაბიჯია“, — აღნიშნა ლადო პაპავამ.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მონაწილეებს მიმართა აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა, რომელმაც მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებსა და მეცნიერებს ამ საკითხებით დაინტერესებისა და კვლევებში ჩართულობისათვის. „კავკასიის სიძველეები, მათ შორის, ქართული ხელოვნების ნიმუშები, განთავსებულია მსოფლიოს სხვადასხვა სამუზეუმო საცავებში. ეს არის აქტუალური პრობლემა დღევანდელი საქართველოსთვის. ამიტომ საჭიროდ მივიჩნიეთ, ამ საკითხებზე ყურადღება გაგვემახვილებინა. ეს სამეცნიერო საერთაშორისო კონფერენცია გარკვეულწილად, ერთგვარი აქციის სახესაც ატარებს, რადგან დადგა დრო, სიძველეების მიმართ მეტი ყურადღება გამოვიჩინოთ. აღსანიშნავია, რომ ამ სიძველეებიდან ბევრი მათგანი არ არის გამოფენილი და უცნობია ფართო საზოგადოებისათვის. ყოველივე ამის გამო საჭიროა მსოფლიოს მეცნიერთა ყურადღება მივაპყროთ კავკასიური, მათ შორის, ქართული სიძველეებისაკენ, რათა ეს მნიშვნელოვანი კულტურული მემკვიდრეობა უკეთესად იყოს დაცული და ამასთან, უფრო მეტმა ადამიანმა მიიღოს ინფორმაცია. ამისთვის, კონფერენცია, ჩვენი აზრით, საუკეთესო საშუალებაა. იმედი გვაქვს, ამგვარი ღონისძიებები ერთჯერადი არ იქნება და კავკასიის სიძველეთა კვლევა და პოპულარიზაცია მომავალშიც გაგრძელდება“, — აღნიშნა როინ მეტრეველმა.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი უცხოელი მკვლევარებიც, რომლებმაც საინტერესო მოხსენებები წარმოადგინეს. მათ შორის იყო: ალექსანდრე მოშინსკი (მოსკოვი) ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, მოსკოვის სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის სექტორის გამგე („არქეოლოგიური სიძველეები მოსკოვის სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში"), ვლადიმერ დმიტრიევი (სანკტ-პეტერბურგი) — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, რუსეთის ეთნოგრაფიული მუზეუმის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი („ქართული კოლექციები რუსეთის ეთნოგრაფიულ მუზეუმში"), ალექსანდრე სედოვი (მოსკოვი) — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის გენერალური დირექტორი („კავკასიის სიძველეები მოსკოვის აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში"), ელენე გალიშჩევა (სოჭი) — ქ. სოჭის ისტორიული მუზეუმის დირექტორის მოადგილე (კავკასიის სიძველეები ქალაქ სოჭის ისტორიის მუზეუმში) და სხვა.

როგორ უნდა დაიცვათ მსოფლიო სიძველეები და რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას მომავალში? — კონფერენციაზე წამოჭრილ ამ კითხვას მოსკოვის რუსული მუზეუმის დირექტორმა, პროფესორმა ვლადიმერ გუსევმა ასე უპასუხა: „ჩვენი აზრით, დროა, მეცნიერები დავუბრუნდეთ ნორმალურ ცხოვრებას და ხელი შევუწყოთ იმ კონტაქტების განახლებას, რომელიც ყოველთვის არსებობდა, თუმცა, გარკვეული მიზეზების გამო შეწყდა და გაცივდა. სიძველეების დაცვა ყველა ჩვენგანის ვალია. ეს ჩვენი ისტორიაა. დიდი რუსი სწავლული, კლუჩევსკი ამბობდა: მან, ვინც თავისი ისტორია არ იცის, მაიმუნად გადაიქცევა“. სიძველეებით უნდა ვიამაყოთ და მათ უნდა გავუფრთხილდეთ. მოსკოვში, კერძოდ, ჩვენს მუზეუმში დაცულია კავკასიური, მათ შორის, ქართული ისტორიული და თანამედროვე ნიმუშები, მე-19 და მე-20 საუკუნის ქართველი მხატვრების არაჩვეულებრივი ნამუშევრები. ამასთან, ჩვენთან მუდმივად ეწყობა ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი მხატვრების ნამუშევრების გამოფენები. იმედი გვაქვს, სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები და კულტურის მუშაკები კვლავ აღვადგენთ კონტაქტებს ერთმანეთთან“, — აღნიშნა ვლადიმერ გუსევმა.

მსოფლიოს მუზეუმებში ქართული სიძველეების დაცვის აქტუალობაზე გაამახვილა ყურადღება პროფესორმა გურამ ლორთქიფანიძემ, რომელმაც კონფერენციაზე თავის მოხსენებაში, „ქართული სიძველეები მოსკოვის სახელმწიფო მუზეუმში", იქ დაცულ საგანძურზე ისაუბრა. „ჩემი აზრით, დადგა დრო, მოხდეს მსოფლიოს მუზეუმებში დაცული ეროვნული განძის კატალოგიზაცია, რათა ვიცოდეთ თუ სად, რომელ ქვეყანაში, რა და როგორ არის დაცული. ამაზე სახელმწიფომაც სერიოზულად უნდა იზრუნოს. მოსკოვის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცულ საგანძურს დღესაც უამრავი მნახველი ჰყავს. მათ შორის მნიშვნელოვანია ე.წ. ყაზბეგის განძი, რომელიც მე-6 მე-4 საუკუნის ცნობილი არქეოლოგიური კომპლექსია. ამ მუზეუმშია დაცული ქართული ნუმიზმატიკის ფუძემდებლის მიხეილ ბარათაშვილის პირადი ალბომი. ჩვენი სიძველეები ასევე ინახება ბერლინის, ლუვრის, ვენის, ლონდონის, ამერიკის მუზეუმებში, ამ სიძველეების პოპულარიზაცია მნიშვნელოვანია," — აღნიშნა გურამ ლორთქიფანიძემ.

ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის სახელით კონფერენციის მონაწილეებს სასულიერო აკადემიის რექტორი მამა გიორგი ზვიადაძე მიესალმა: „კონფერენციის თემა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ არავინ დარჩება გულგრილი მის მიმართ. საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა გზით, საშუალებითა და მიზეზით, კავკასიის ხალხთა ძეგლები უცხოეთში მოხვდა. არაერთი ძვირფასი რელიქვია უკვალოდ გაქრა, მაგრამ, საბედნიეროდ, მათი დიდი ნაწილი გადარჩა, რომელიც ბიბლიოთეკებში, მუზეუმებში და საცავებშია დაცული და ხელმისაწვდომია კავკასიის ხალხების კულტურით დაინტერესებული მოწინავე ქვეყნების სამეცნიერო წრეებისათვის. სწორედ მათმა გამოკვლევებმა შეასრულეს ერთგვარი მეგზურის როლი მეცნიერებისთვის. ამ მიმართულებით საკვლევი ჯერ კიდევ ბევრია. ეს საერთაშორისო კონფერენციაც სწორედ ამის გამოხატულებაა. დიდად შთამბეჭდავია კონფერენციის შინაარსი. სასიამოვნოა ის ფაქტიც, რომ კავკასიის სიძველეებმა კიდევ ერთხელ შეკრიბა იმ ქვეყნის მკვლევრები, რომელთა პოლიტიკურ ურთიერთობებში სასურველი მდგომარეობის მიღწევა ჯერ კიდევ დიდ ძალისხმევას მოითხოვს. ფორუმი ამ რთულ, მაგრამ ერთადერთ სწორ გზაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯია. ეს კონფერენცია სცილდება მეცნიერული მიზანდასახულობის ფარგლებს და ფართო საზოგადოებრივ რეზონანსს იძენს. მინდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სახელით მადლობა გამოვხატო ყველა იმ ადამიანის მიმართ, რომელმაც ორგანიზება გაუწია ამ შეხვედრას და მოწვეულ სტუმრებს“, — აღნიშნა მამა გიორგი ზვიადაძემ.

კონფერენციას დაესწრნენ ასევე რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში პრემიერის სპეციალური წარმომადგენელი, ზურაბ აბაშიძე, ხელნაწერთა ცენტრის დირექტორი, ბუბა კუდავა, საქართველოს ეროვნული მუზეუმის დრექტორი დავით ლორთქიფანიძე და დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ზაალ სარაჯიშვილი.

აღსანიშნავია, რომ ფორუმზე მოწვეულმა უცხოელმა სტუმრებმა ქართველ კოლეგებთან ერთად სიამოვნებით დაათვალიერეს თბილისის ღირშესანიშნაობები, მათ შორის, სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. კონფერენციის დასრულების შემდეგ კი სტუმრები მცხეთასა და გორს ეწვივნენ.

კურსდამთავრებულებმა თსუ-ის რექტორს მადლობის სიგელი გადასცეს

ნატო ოგოლაძე

იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულები თსუ-ის რექტორს ლადო პაპავას შეხვდნენ. ახალგაზრდებმა რექტორს მადლობის სიგელი გადასცეს. სტუდენტების განცხადებით, ეს სიგელი არ არის უბრალოდ ფურცელი და ფორმალობა, რადგან იგი 300 სტუდენტის სახელით მომზადდა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 4 წლის განმავლობაში მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გამო მადლიერებას გამოხატავს. ასევე აღნიშნავს მათ იმედსაც, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მომავალში კიდევ უფრო მეტად განვითარდება.

„ამ ჟესტით ჩვენი მადლიერება და პატივისცემა გამოვხატეთ. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში ბევრი კარგი რამ მოხდა, იყო პრობლემებიც, თუმცა ამ ყველაფერმა ჩვენ საშუალება მოგვცა განვითარების და წინსვლის. შესაბამისად, გადავდგით ეს ნაბიჯი, რომ მათ დაენახათ — მადლიერები ვართ იმისთვის, რაც მათ ჩვენთვის გააკეთეს," — განაცხადა თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა, მაგისტრანტმა სალომე ებანოიძემ.

იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულებმა თსუ-ის რექტორთან შეხვედრაზე „სურვილების წიგნი" მიიტანეს, რომელიც სპეციალურად ბაკალავრიატის კურსის დასრულებასთან დაკავშირებით დამზდდა. მასში უკვე ჩაწერილია ათობით სტუდენტისა თუ პროფესორის სურვილი, ფრაზა... პირველი ფურცელი კი ახალგაზრდებმა სპეციალურად რექტორის კომენტარისთვის შემოინახეს. შესაბამისად, კურსდამთავრებულებს „სურვილები წიგნში" ჩანაწერი ლადო პაპავამაც დაუტოვა.

„პირველ რიგში, ვუსურვე წარმატება ცხოვრების რთულ გზაზე. ვუსურვე, არ დაივიწყონ უნივერსიტეტი. ის უნივერსიტეტი, სადაც მათ მიიღეს ცოდნა და ცოდნაზე მეტიც, რადგან ის სულისკვეთება, რაც ამ თეთრ ტაძარში სუფევს, ყველა თაობას გადაეცემა. დარწმუნებული ვარ, ეს ახალგაზრდები თავის ცხოვრების გზაზე წარმატებულები იქნებიან, უნივერსიტეტის სითბო, თაობებს შორის თანამშრომლობის საუნივერსიტეტო გამოცდილება მუდმივად თან გაჰყვებათ და შეეცდებიან — ეს გამოცდილება გამოიყენონ იქ, სადაც იქნებიან", — განაცხადა თსუ-ის რექტორმა ლადო პაპავამ.

„ამ წიგნის იდეა იყო ის, რომ მაქსიმალურად ბევრი ისეთი ადამიანის კომენტარი, ფრაზა მოგვეგროვებინა, რომელსაც თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები წაიკითხავენ და მოტივაცია მიეცემათ. ეს წიგნი იქნება პატარა არქივი იმისა, თუ როგორ უყვართ ჩვენი უნივერსიტეტი. იქნება მოტივაციის მიმცემი მომავალი თაობებისთვის და მომავალში ჩვენთვისაც. როდესაც რაღაცას მივაღწევთ ცხოვრებაში, ხელახლა გადავხედავთ აქ ჩაწერილ სურვილებს და ბევრი რამ გაგვახსენდება", — გვითხრა თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა ტატო ოქრუაშვილმა.

თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულებმა მადლობის სიგელი, ასევე, გადასცეს მათ ლექტორებს და იურიდიული ფაკულტეტის დეკანს ირაკლი ბურდულს.

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტმა მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა

მიმდინარე წლის 25 ოქტომბერს მესტიაში ხელი მოეწერა თანამშრომლობის მემორანდუმს თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტსა და მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობას შორის.

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტმა ინტენსიური საქმიანი და შემოქმედებითი ურთიერთობა ზემო სვანეთის რეგიონთან დაიწყო 2008 წელს, როდესაც მესტიაში გაიმართა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“. კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ: საქართველოს საპატრიარქო, საქართველოს საპატრიარქოს მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქია, თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარია, მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობა, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი და ამავე ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“.

2013 წლის 13-18 მაისს მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქიას შემოქმედებითი მივლინებით ეწვივნენ ცენტრ „იდეა“-ს მენეჯერი, მესამე კურსის სტუდენტი ირაკლი სვანიძე და ცენტრის კოსტა-რიკელი სტუმარი, პროფესორი ნორმან ვილალობოსი.

მიმდინარე წლის 14-17 ივლისს მესტიაში გაიმართა საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: მწვანე ეკონომიკის მართვა“, რომელიც მოეწყო თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, ამავე ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრ „იდეა“-ს, საქართველოში ისრაელის საელჩოს, საქართველოს საპატრიარქოს მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქიისა და მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ორგანიზებით.

სწორედ ასეთმა თანამშრომლობამ ჩაუყარა საფუძველი მიმდინარე წლის 25 ოქტომბერს მესტიაში ზემოაღნიშნული მემორანდუმის გაფორმებას.

მემორანდუმის ხელმოსაწერად და მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს თანამშრომლებისათვის ტრენინგის ჩასატარებლად, მესტიას 24 ოქტომბერს ეწვია სამუშაო-სატრენინგო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: თეიმურაზ ბერიძე — ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი (სატრენინგო კურსი „საქართველოს ეკონომიკის ეროვნული მოდელი“); გიორგი შიხაშვილი — ტრენინგის კოორდინატორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ცენტრ „იდეა“-ს დირექტორი (სატრენინგო კურსი „პროექტების შედგენის მეთოდიკა“); ვახტანგ ჭარაია — თსუ-ის რექტორის მრჩეველი (სატრენინგო კურსი „საქართველოს ეკონომიკის რეალიები და სამომავლო გამოწვევები“); ტარიელ ზარანდია — თსუ-ის ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფისა და ოპერაციების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი (სატრენინგო კურსი „ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის ორგანიზება ადმინისტრაციული მართვის სფეროში“); ეკა ჩოხელი — ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (სატრენინგო კურსი „მენეჯერული უნარ-ჩვევები“); შოთა შაბურიშვილი — ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (სატრენინგო კურსი „მცირე ბიზნესის ხელშემწყობი პოლიტიკა საქართველოში“); დავით ნიჟარაძე — ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მოწვეული პროფესორი, თბილისის განვითარების ფონდის დირექტორის თანაშემწე (სატრენინგო კურსი „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაციული ასპექტები“).

მემორანდუმის მიხედვით, მხარეები მიზნად ისახავენ, ხელი შუწყონ საქართველოში სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებსა და ადგილობრივი მართვის ორგანოებს შორის საქმიანი ურთიერთობების გაღრმავებას, რისთვისაც მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობა და თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი თანამშრომლობენ შემდეგი მიმართულებებით: ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი, საგანმანათლებლო, ეკონომიკური, მმართველობითი, საექსპერტო პროექტებისა და პროგრამების განხორციელება; კადრების მოსამზადებელი, სატრენინგო პროგრამების და ლექცია-სემინარების ჩატარება მესტიის მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისათვის, აგრეთვე, ყველა დაინტერესებული მხარეების/ჯგუფების/ინდივიდების, მათ შორის, ბიზნესსუბიექტების და არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, სტუდენტების, საშუალო სკოლების და გიმნაზიის მოსწავლეებისათვის; დონორების მოზიდვა ერთობლივი ეკონომიკური პროექტებისა და პროგრამების განსახორციელებლად; მემორანდუმის მხარეთა საერთაშორისო პროექტებში ერთობლივი მონაწილეობა.

ტრენინგი საერთო სახელწოდებით — „მუნიციპალური მართვის ორგანიზაციული ასპექტები“ — 25 და 26 ოქტომბერს საინტერესოდ და შემოქმედებითად მიმდინარეობდა. მსმენელები აქტიურად ერთვებოდნენ ინტერაქტიურ მუშაობაში. თითოეული მოხსენების შემდეგ იმართებოდა დისკუსიები, სრულდებოდა პრაქტიკული სავარჯიშოები, მიკროპროექტები, ხდებოდა ქეისების გარჩევა, ტესტების შევსება და სხვ. ტრენინგის დასასრულ, თითოეულ მონაწილეს გადაეცა სერტიფიკატი.

ასეთი ტიპის ტრენინგები სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისათვის დაგეგმილია მომავალშიც, რაც უთუოდ ხელს უწყობს მესტიის მუნიციპალიტეტში კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას.

აღსანიშნავია, რომ მემორანდუმის ხელმოწერას და ტრენინგს ესწრებოდა და ლოცვა-კურთხევით შეეწეოდა მესტიისა და ზემო სვანეთის მიტროპოლიტი ილარიონი.

მთლიანობაში, სტუმრები და მასპინძლები დიდი კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ განხორციელებული ღონისძიების ფარგლებში მოხდა მხარეების შემოქმედებითი და მეგობრული დაახლოება, რაც მომავალი მჭიდრო ურთიერთობების საწინდარს წარმოადგენს.

გიორგი შიხაშვილი,
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

„ხალხთა თვითგამორკვევის უფლება“

სამეცნიერო ფორუმი

ქართულ-აფხაზური ურთიერთობების აქტუალიზაცია და აფხაზ საზოგადოებასთან დიალოგის დაწყების აუცილებლობა — ასეთი შინაარსის იყო სამეცნიერო ფორუმის „ხალხთა თვითგამორკვევის უფლება“ მთავარი გზავნილი. ფორუმზე პროფესორმა გიორგი ხუბუამ წარმოადგინა მოხსენება, რომელიც საქართველოს ფარგლებში აფხაზი ხალხის თვითგამორკვევის საკითხებზე იყო საუბარი. გიორგი ხუბუას განცხადებით, ამ დროისთვის ქართულ საზოგადოებაში არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული, თუ რისი შეთავაზება შეგვიძლია აფხაზებისთვის. მისივე თქმით, ნაადრევია აფხაზებთან კონკრეტული პოლიტიკური სტატუსის საკითხზე მსჯელობის დაწყება, თუმცა აუცილებელია არსებული ვითარებიდან გამომდინარე ადექვატური თემების მოძიება და მათთან საუბრის დაწყება.

„ჯერჯერობით აფხაზები არ ამჟღავნებენ ქართველებთან ცხოვრების სურვილს, მაგრამ, ჩვენ უნდა შევთავაზოთ მათ ისეთი თემები, რომელიც გარკვეული ურთიერთობის დაწყებას შეუწყობს ხელს. ასევე აუცილებელია ქართული საზოგადოებრივი აზრის შემზადებაც. უკეთ უნდა გავარკვიოთ, თუ რას ნიშნავს თვითგამორკვევა, ავტონომია, ფედერალიზმი, რადგან ამ საკითხების მიმართ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი და არასწორი დამოკიდებულებაა და ეს გამოწვეულია ხშირ შემთხვევაში არცოდნით ან ინფორმაციის ნაკლებობით. შესაბამისად, სამწუხაროდ, ქართველები აფხაზებთან დიალოგისთვის ბოლომდე მზად არ არიან. თუმცა მთავარია, აფხაზებს მუდმივად შევახსენოთ, რომ თბილისთან ალიანსის შეკვრა შესაძლებელია.

რაც შეეხება აფხაზი ხალხის თვითგამორკვევის უფლებას, ეს არ ნიშნავს გამოყოფის უფლებას და ასევე არც ქართველებს არ გვათავისუფლებს აფხაზთა ეთნოსის მიმართ პასუხისმგებლობისგან. ჩვენთვის გასაგები უნდა იყოს ის შიში, რომელიც მათ აქვთ თავისი დემოგრაფიული თუ სხვა სიტუაციიდან გამომდინარე. ამიტომ თბილისის მოვალეობაა ინიციატივის აღება და მათთვის ინფორმაციის მიწოდება, რომ ჩვენ ვფიქრობთ საქართველოს ფარგლებში აფხაზეთის თვითგამორკვევის ფორმებზე, არ გვეშინია აფხაზი ეთნოსის თვითგამორკვევისა და რომ მხოლოდდამხოლოდ ქართველების დახმარებით შეძლებენ აფხაზები თვითგამორკვევის რეალიზაციას,“ — განაცხადა სამეცნიერო ფორუმზე პროფესორმა გიორგი ხუბუამ.

სამეცნიერო ფორუმი „ხალხთა თვითგამორკვევის უფლება“ თსუ ადმინისტრაციული მეცნიერებათა ინსტიტუტის ორგანიზებით 6 ნოემბერს ჩატარდა. აფხაზებთან ურთიერთობის თემაზე ინსტიტუტი მუშაობას მომავალშიც გააგრძელებს.

***მოამზადა* ნატო ოგოლაძემ**

უპრეცედენტო შემთხვევა თსუ-ში

მათემატიკის დოქტორმა მაია სვანაძემ თბილისში დისერტაციის დაცვის შემდეგ გერმანიის გოტინგენის უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორის ხარისხიც მიიღო. გოტინგენის უნივერსიტეტი გერმანიის უმაღლესი სასწავლებლების რეიტინგის პირველ ხუთეულში შედის და მათემატიკის მიმართულებით დიდი ისტორია და ძლიერი სამეცნიერო სკოლა აქვს. მაია სვანაძეს დოქტორის ხარისხი 16 ოქტომბერს მიენიჭა.

ნატო ოგოლაძე

„თავდაპირველად ჩავაბარე თსუ-ის დოქტორანტურაში, შემდეგ გოტინგენის უნივერსიტეტში ორწელიწადნახევარი ვსწავლობდი, ამ პერიოდში თსუ-სა და გოტინგენის უნივერსიტეტს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რის მიხედვითაც, თუ მე ყველა წამოყენებულ მოთხოვნას შევასრულებდი, ორივე უმაღლესი სასწავლებლის დოქტორის ხარისხი მომენიჭებოდა. ჩემი სადოქტორო თემა იყო „მიკროსტრუქტურის მქონე ბლანტი დრეკადი სხეულების არაკლასიკური ამოცანები“. ბლანტი დრეკადი სხეულები ბოლო წლებში მნიშვნელოვანი გახდა. მათი შესწავლა XIX საუკუნიდან დაიწყო, მაგრამ ბოლო წლებში აიგო თანამედროვე მოდელები და ამ მოდელებში მათემატიკური საკითხები შესწავლილი არ იყო. როდესაც ეს მოდელები აიგო, სწორედ იმ წელს ჩავაბარე დოქტორანტურაში და ამ საკითხების მათემატიკური შესწავლა გადავწყვიტე. ამ მასალებში მათემატიკური საკითხების შესწავლა მნიშვნელოვანი ნაბიჯია ინჟინერიაშიც,“ — განაცხადა მაია სვანაძემ.

მაია სვანაძე კვლევითი საქმიანობის გაგრძელებას სხვა მიმართულებებითაც აპირებს. გეგმავს, რომ სადოქტორო ნაშრომში მიღებული თეორიების გამოყენება, რომელიც წრფივი დრეკადობის თეორიაში იყო განხილული, არაწრფივი დრეკადობის თეორიაშიც სცადოს. „როდესაც დოქტორანტურაში სწავლობ, დროში შეზღუდული ხარ, გეგმაც წინასწარ გაქვს გაწერილი, არადა ათასი საინტერესო მიმართულებაა. დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში ხვდები ბევრ საინტერესო მეცნიერს, ეცნობი სიახლეებს. ახლა სრულიად თავისუფალი ვარ, მაქვს ბევრი იდეა, თუმცა მათემატიკა ძალიან ფართო სფეროა და ჯერ მის ფარგლებში ვგეგმავ მუშაობას“, — აღნიშნა ახალგაზრდა მკვლევარმა.

მიგრაციის მართვა

2014 წელს ჩვენ მაგისტრანტების პირველი ნაკადი მივიღეთ

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კვალდაკვალ, საქართველო მიმზიდველი ქვეყანა ხდება ტურისტებისა და ინვესტორებისთვის, რაც ხელს უწყობს ქვეყანაში მეტი კაპიტალის შემოდინებას და ცხოვრების დონის ამაღლებას. ეს კი მიგრანტთა ნაკადების მოსალოდნელი ზრდისა და ქვეყნის წინაშე ახალი გამოწვევების წარმოშობის წინაპირობაა. იმისათვის, რომ საქართველო მზად დახვდეს ახალ გამოწვევებს, საჭიროა კვალიფიციური კონკურენტუნარიანი კადრების ინტეგრირება შესაბამის უწყებებში. სწორედ ამ მიზანს ემსახურება მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამის შექმნა და მის ფარგლებში ახალგაზრდა პროფესიონალების მომზადება.

დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გამორჩეულია იმითაც, რომ მიგრაციის მართვის სამაგისტრო ინოვაციური პროგრამა პირველად სწორედ უნივერსიტეტში დაინერგა. ის შემუშავდა ტემპუსის პროექტის: „მიგრაცია და უმაღლესი განათლება უნარებისა და შესაძლებლობების განვითარებისათვის" ფარგლებში. საყურადღებოა ისიც, რომ უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტი გახდა კონსორციუმის კოორდინატორი, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 16 პარტნიორ უნივერსიტეტსა და საერთაშორისო ორგანიზაციას აერთიანებს.

ინტერდისციპლინური სამაგისტრო პროგრამის — „მიგრაციის მართვა", უპირატესობებსა და მიზნებზე გვესაუბრება თსუ-ის მიგრაციის კომპეტენციის ცენტრის ხელმძღვანელი ნინო ფარსადანიშვილი*:*

ნინო ფარსადანიშვილი

თამარ დადიანი

— სამაგისტრო პროგრამა „მიგრაციის მართვა" შემუშავდა ტემპუსის პროექტის: „მიგრაცია და უმაღლესი განათლება უნარებისა და შესაძლებლობის განვითარებისათვის" ფარგლებში. ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი ამ პროექტისა არის ის, რომ განვითარდა სამი სამაგისტრო პროგრამა სამხრეთ კავკასიის რეგიონში: საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში.

საქართველოში მოქმედი პროგრამა იმით გამოირჩევა, რომ იგი საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტთან — „GIPA"-სთან ერთად შემუშავდა. სამხრეთ კავკასიის რეგიონში ეს არის პირველი ინტერდისციპლინური პროგრამა მიგრაციის მართვაში. სომხეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედ პროგრამაში უფრო მეტად ეკონომიკურ-სოციალური ასპექტებია გათვალისწინებული, ხოლო აზერბაიჯანელებს, ძირითადად, სამართლებრივ-ეკონომიკური ასპექტები აინტერესებთ. ჩვენ კი, ოთხი მთავარი დისციპლინა გავაერთიანეთ: სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და სამართლებრივი — ქვეყნის წინაშე მდგომი გამოწვევების შესაბამისად. ამ კომპონენტების გარეშე წარმოუდგენელია მიგრაციის შესახებ კომპლექსური შთაბეჭდილების შექმნა და პრობლემის სრულყოფილი ანალიზი.

მიგრაციის მართვის ორწლიანი ინტერდისციპლინური სამაგისტრო პროგრამის მიზანია მიგრაციის კვლევისადმი ღრმა და ყოვლისმომცველი მიდგომის ჩამოყალიბება და პრობლემის ანალიზი სფეროში არსებული ძირითადი დისციპლინების შესწავლის მეშვეობით, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ქვეყნის მიგრაციული პოლიტიკის დახვეწა-განვითარებას. სწორედ ამიტომ, პროგრამა მოიცავს ისეთ უმნიშვნელოვანეს საგნებს როგორიცაა: საერთაშორისო სამართალი, ადამიანის უფლებები, ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვა, ევროკავშირის საგარეო სამიგრაციო პოლიტიკა და ა.შ.

სამაგისტრო პროგრამის მთავარი უპირატესობებია: ევროკავშირის წამყვანი პროფესორებისა და უნივერსიტეტების ჩართულობა სასწავლო პროცესში, სტუდენტების სტაჟირების უზრუნველყოფა მიგრაციაზე მომუშავე სახელმწიფო სტრუქტურებში (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიასა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე), სტუდენტების მობილობა სამხრეთ კავკასიის რეგიონისა და ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში და ბოლოს, — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მიერ გაცემული ერთობლივი დიპლომი.

გარდა ქართველი პროფესორებისა, პროგრამაში ჩართულნი არიან უცხოელი პროფესორები ევროკავშირის სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან, რაც კიდევ მეტ წონას სძენს აღნიშნულ პროგრამას: ერთია, როცა საქართველოდან იკვლევ მიგრაციულ პროცესებს და მეორეა, როცა ევროკავშირიდან ჩამოსული ექსპერტი თავის გამოცდილებასა და ცოდნას გიზიარებს აღნიშნულ სფეროში. მიგრაციული პროცესების შესწავლის და მიგრაციის მართვის თვალსაზრისით, ამას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

— ქალბატონო ნინო, რომელი წლიდან ხორციელდება ეს პროგრამა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში?

— 2014 წელს ჩვენ მაგისტრანტების პირველი ნაკადი მივიღეთ, შესაბამისად, ყოველწლიურად თითო ნაკადის მიღება იგეგმება.

— საინტერესოა, რამდენად მაღალია პროგრამით სტუდენტების დაინტერესება?

— დაინტერესება მართლაც საკმაოდ მაღალია. ჩვენ მივიღეთ საკმაოდ დიდი რაოდენობა აპლიკაციებისა, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის წარმოჩენისთვის საკმაოდ ცოტა დრო გვქონდა დარჩენილი — პროგრამამ აკრედიტაცია თებერვალში გაიარა.

— სხვა ქვეყნის სტუდენტები თუ დაინტერესდნენ ამ პროგრამით?

— ამ ეტაპზე უცხოელი სტუდენტები არ გვყავს. პირველ რიგში, გათვლა საქართველოს ბაზარსა და მის მოთხოვნილებებზე გავაკეთეთ. შესაბამისად, ეს პროგრამა არის ქართულენოვანი, ინგლისურენოვანი კომპონენტებით. პროგრამაზე სწავლის ერთ ერთი მთავარი კრიტერიუმია ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე.

— დასაქმების მხრივ რამდენად მიმზიდველია პროგრამის გავლა?

— მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს განუვითარდებათ, როგორც საჯარო და კერძო სექტორში მუშაობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები, ასევე წარმატებით გაართმევენ თავს საერთაშორისო ორგანიზაციების სივრცეში მუშაობის პროცესსაც. ამ პროგრამის კურსდამთავრებული დასაქმდება ყველა იმ დაწესებულებაში, რომელიც მიგრაციის საკითხებზე მუშაობს. ეს იქნება ლტოლვილთა სამინისტრო თუ დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, ასევე საგარეო საქმეთა სამინისტრო... ყველა ეს უწყება დაინტერესებულია მაღალკვალიფიციური კადრების მიღებით. ჩვენს პროგრამაში გაერთიანდნენ თსუ-სა და „GIPA"-ს ის პროფესორები, ვინც მიგრაციის სწავლების თვალსაზრისით წამყვან ექსპერტებად ითვლებიან ქვეყნის მასშტაბით. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია აქტიურად არის ჩართული პროგრამის წარმატებით განხორციელებაში. ეს პროგრამა პირველია საქართველოში, რომელიც კომპლექსურად მოიცავს მიგრაციის სწავლებას. შესაბამისად, ინოვაციურია და კურსდამთავრებულთა დასაქმებაც, გარკვეულწილად, უკვე გარანტირებულია.

— პროგრამის მიხედვით გათვალისწინებული სწავლის საფასური რამდენია?

— სახელმწიფოებრივი მნიშვნელობიდან და პროგრამის ინოვაციურობიდან გამომდინარე, თსუ-მ და „GIPA"-მ მიიღეს გადაწყვეტილება სწავლის საფასური იგივე ყოფილიყო, რაც დანარჩენ სამაგისტრო პროგრამებზეა. სწავლის საფასური სემესტრულად შეადგენს 1125 ლარს, რომლის გადახდა შესაძლებელია ორ ეტაპად (ყოველი სემესტრის დასაწყისში და ბოლოს); ამას გარდა, სწავლის საფასურზე ვრცელდება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგად მოპოვებული გრანტი.

— და ბოლოს: ვის შეუძლია, სწავლა გააგრძელოს აღნიშნულ პროგრამაზე?

— სამაგისტრო პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც აქვს ბაკალავრის ხარისხი შემდეგ სპეციალობებში: ჰუმანიტარული მეცნიერებები; სამართალი; ეკონომიკა, სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებები, და რომელიც წარმატებით გადალახავს საერთო სამაგისტრო გამოცდების ზღვარს, ჩააბარებს წერით გამოცდას სპეციალობაში (ზოგადი ცოდნა მიგრაციის შესახებ) და გამოცდას — ინგლისურ ენაში.

გაცვლითი პროგრამები

ევროკომისიის პროგრამა ERASMUS MUNDUS-ის ფარგლებში

თუ გსურს უცხოელი კოლეგების გამოცდილების გაზიარება, უცხო ქვეყნის კულტურის გაცნობა და ენის ცოდნის განმტკიცება, თუ როდისმე გიფიქრია პროფესიული ცოდნის გაღრმავებაზე, რომელიც სამომავლოდ დასაქმების საუკეთესო შესაძლებლობას გაძლევს — პროგრამა ERASMUS MUNDUS-ი იდეალური არჩევანია!

ERASMUS MUNDUS გაძლევთ საშუალებას, 3-12 თვე რომელიმე ევროპულ ქვეყანაში გაატაროთ, გაზარდოთ პროფესიული ცოდნის ხარისხი, ისწავლოთ მოვლენების ახლებური ხედვა და გაიაროთ პიროვნული განვითარების საინტერესო გზა, შეიძინოთ ახალი მეგობრები და საქმიანი ურთიერთობები დაამყაროთ უცხოელ კოლეგებთან.

ევროკომისიის ზემოაღნიშნული პროგრამა მიზნად ისახავს ევროპული საუნივერსიტეტო სისტემის ხარისხის გაუმჯობესებას და, მესამე ქვეყნებთან თანამშრომლობით, ხელს უწყობს დიალოგს ხალხსა და კულტურებს შორის. პროგრამა სრულად არის დაფინანსებული ევროკავშირის მიერ.

თამარ დადიანი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ევროკავშირის საგანმანათლებლო პროექტ ERASMUS MUNDUS-ში 2006 წლიდან მონაწილეობს. პროგრამის ფარგლებში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის ათეულობით სტუდენტს, მკვლევარსა და აკადემიურ პერსონალს საშუალება მიეცა, საგანმანათლებლო, კვლევითი და კულტურული გამოცდილება აემაღლებინა ევროპის სხვადასხვა უმაღლეს დაწესებულებაში. ის მიმდინარე წელსაც განაახლებს გაცვლით პროგრამებს ევროპის რამდენიმე წამყვან უმაღლეს სასწავლებელში.

სწორედ ამ მიზნით, 6 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ყველა საფეხურის სტუდენტების, ახალგაზრდა მკვლევრებისა და აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ERASMUS MUNDUS-ის პროექტების BACKIS, HERMES, EMBER, INFINITI კოორდინატორებთან და 4 ევროპული უნივერსიტეტის (სევილიის, ათენის, სოფიას, ლისაბონის და ვიადრინას) წარმომადგენლებთან.

„პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იყო ევროკავშირის მიერ დაფინანსებული მობილობის პროგრამები, რომელშიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, როგორც პარტნიორი, 2011 წლიდან მონაწილეობს. შეხვედრაზე კოორდინატორებმა წარმოადგინეს ის პროგრამებიც, რომელშიც საქართველო მონაწილეობს როგორც ქვეყანა, სადაც თსუ-ს სტუდენტებს, პროფესორებსა და ადმინისტრაციის თანამშრომლებს განაცხადების გაკეთება შეუძლიათ. ERASMUS MUNDUS-ის პროექტები ეხება როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან მობილობას.

ევროკავშირი მთლიანად ანაზღაურებს მობილობის ხარჯებს, კერძოდ, თვიურ სტიპენდიას, გადაადგილებასა და დაზღვევას. სტუდენტებისთვის ყოველთვიურად გაიცემა სტიპენდია 1000 ევროს ოდენობით, დოქტორანტებისათვის — 1500 ევრო, პოსტდოქტორანტებისთვის — 1800 ევრო და ადმინისტრაციის თანამშრომლებისა და პროფესორებისთვის — 2500 ევრო. მობილობის პერიოდი 6-დან 24 თვემდე გრძელდება.

ამავე პროგრამით, პოსტდოქტორანტის მობილობის ხანგრძლივობა 6 თვეა, ადმინისტრაციის წარმომადგენლებისა და პროფესორებისთვის კი ეს ვადა 1-დან 3 თვით განისაზღვრება", — განაცხადა თსუ-ს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსმა თეა გერგედავამ.

შეხვედრაზე სხვადასხვა კონსორციუმის კოორდინატორებმა თვითონ წარმოადგინეს პროგრამის დეტალები და გააკეთეს პრეზენტაცია, თუ როგორ უნდა გახდეს პროგრამის მონაწილე ERASMUS MUNDUS-ის წარმატებული აპლიკანტი.

მსურველებმა აპლიკაცია ელექტრონული ფორმით უნდა შეავსონ. ყველა პროექტს თავისი ვებ-გვერდი აქვს, სადაც დაწვრილებით არის ჩამოთვლილი, თუ რა ტიპის დოკუმენტაციის ატვირთვა უნდა მოხდეს აპლიკანტის მიერ. ყველა კონკურსანტს მოეთხოვება რეზიუმე, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ნიშნების ფურცელი სწავლების მიმდინარე ეტაპიდან, მოტივაციისა და რეკომენდაციების წერილები, ასევე ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი.

აპლიკანტის შერჩევა მოხდება რამდენიმე ეტაპად. პირველი ეტაპი არის უნივერსიტეტის მიერ აპლიკაციის ტექნიკური შემოწმება, მეორე ეტაპზე, მიმღები უნივერსიტეტი შეაფასებს აპლიკანტებს, ხოლო დასკვნით ეტაპზე, რომელიც მომავალი წლის გაზაფხულზე გაიმართება, შესარჩევი კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს და მოახდენს გრანტების განაწილებას.

„ასეთი პროექტების განხორციელება საშუალებას აძლევს ქართველ სტუდენტებს, დამოუკიდებლად იცხოვრონ, იმუშაონ და ისწავლონ საზღვარგარეთ. გაიჩინონ ახალი მეგობრები, იცხოვრონ იმ ენობრივ გარემოში, რომელ ენაზეც სურთ გამართულად ისაუბრონ. პროექტში მონაწილეობა სტუდენტს არამარტო აკადემიურად, პიროვნულადაც გაზრდის", — აღნიშნა თეა გერგედავამ.

შეხვედრაზე საინტერესოდ ისაუბრა საქართველოში ტემპუსის ეროვნული ოფისის კოორდინატორმა ლიკა ღლონტმა, რომელმაც მოუწოდა სტუდენტებს — აქტიური მონაწილეობა მიიღონ ERASMUS MUNDUS-ის პროგრამებში: „საგრძნობლად გაიზარდა ევროკავშირის დაფინანსება სტუდენტებისა და პერსონალის მობილობისთვის, რაც ნიშნავს, რომ ჩვენ გვაქვს უპრეცენდენტო შესაძლებლობა, რაც შეიძლება მეტი სტუდენტი და აკადემიური პერსონალი გავგზავნოთ ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში. დეტალური ინფორმაცია ამ პროგრამების შესახებ შეგიძლიათ ნახოთ ვებ-გვერდზე: tempus.ge. გასულ წელს ასობით ქართველმა სტუდენტმა ისარგებლა ამ მობილობით, წელსაც საკმაოდ ბევრი ადგილი გვაქვს", — აღნიშნა ლიკა ღლონტმა.

ERASMUS MUNDUS-ის პროგრამის კოორდინატორის, პროფესორ ამალია მოსერის თქმით, პროგრამა HERMES-ში ევროპის 6 ქვეყნის 7 უნივერსიტეტია ჩართული.

„ჩვენ ვთანამშრომლობთ საბერძნეთის, ბულგარეთის, ესტონეთის, იტალიის, გერმანიისა და შვედეთის უნივერსიტეტებთან. მიუხედავად იმისა, რომ ადგილები შეზღუდულია, ვფიქრობ, HERMES-ის პროგრამა არის ძალიან კარგი შესაძლებლობა იმ ადამიანებისთვის, რომლებმაც საქართველოში დაამთავრეს ბაკალავრიატი, სურთ მიიღონ მაგისტრის ხარისხი და სწავლის გარკვეული პერიოდი გაატარონ ევროკავშირის იმ უნივერსიტეტებში, რომელიც ჩვენს პროექტშია ჩართული", — დასძინა ამალია მოსერიმ.

აღნიშნული პროექტების ფარგლებში 2014 წლიდან გაცვლითი პროგრამები ევროპის 36 უნივერსიტეტში განხორციელდება.



იცვლება თუ არა უნივერსიტეტის სიმბოლიკა?!

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიმბოლიკის საკითხი ბოლო დროს განსაკუთრებით აქტუალური გახდა — სოციალურ ქსელში არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა ახალ ინფორმაციას, რის მიხედვითაც უნივერსიტეტის სიმბოლიკაზე ჰერალდიკოსებმა დაიწყეს მუშაობა. იმის შესახებ თუ კონკრეტულად რა მიმართულებით მუშაობენ ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს სპეციალისტები — თსუ-ის ბიბლიოთეკის დირექტორმა, პროფესორმა ზურაბ გაიაპარაშვილმა *სპეციალური მოხსენება წარმოადგინა და საზოგადოებას განუმარტა, რომ უნივერსიტეტის სიმბოლიკა კი არ იცვლება, არამედ ზუსტდება. აღდგება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიმიტრი შევარდნაძისეული გერბის პირვანდელი სახე და მის მიხედვით ჩამოყალიბდება დროშაც.*

ნატო ოგოლაძე

„ცნობილია, რომ ექვთიმე თაყაიშვილმა თურქეთის საქართველოში სამი ექსპედიცია (1902, 1907 და 1917 წლებში) მოაწყო. 1917 წელს მას თან ახლდა დიმიტრი შევარდნაძეც. მათ მოიარეს იშხანი, ოშკი, ხახული, ოთხთა ეკლესია, პარხალი და კიდევ რამდენიმე ისტორიული ძეგლი აღწერეს. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ დიმიტრი შევარდნაძე აკეთებდა ჩანახატებს და სწორედ ამ დროს გაეცნო იშხნის ულამაზეს ჩუქურთმებს, მათ შორის, იშხნის მცირე ეკლესიის ჩუქურთმას, რომელიც უნივერსიტეტის გერბის შექმნისას გამოიყენა. სამწუხაროდ, ჩვენ ამ ჩუქურთმის ზუსტი გამოსახულება არ გვქონდა და შემონახული არ გვაქვს არც დიმიტრი შევარდნაძისეული გერბის ესკიზი, ამიტომ გადავწყვიტეთ, გვეთხოვა სპეციალისტებისთვის, რომ მათ უშეცდომოდ აღედგინათ გერბის მოხაზულობა. ჩვენ უკვე მოვაწყვეთ ექსპედიცია თურქეთის საქართველოში, წამოვიღეთ იშხნის მცირე ეკლესიის ჩუქურთმების ფოტოები, რაც ჰერალდიკოსებს ეხმარება და ისინი უკვე ამთავრებენ გერბის ზუსტი გამოსახულების დამზადებას. სპეციალისტებმა, ასევე, შემოგვთავაზეს მცირე ნიუანსების შეტანა, რაც ჰერალდიკური პრინციპების დაცვით მოხდება. მიიღებს თუ არა ამ წინადადებას საუნივერსიტეტო საზოგადოება, მისი გადასაწყვეტია. უფრო კონკრეტულად კი, გვთავაზობენ ფერების შემოტანას, მაგალითად ლურჯი ლაჟვარდზე, ან ვერცხლისფერზე ლაჟვარდი. გვთავაზობენ კიდევ ერთს — ოქროსფერის შემოტანას. მოგეხსენებათ, რომ გერბის რთულ კომპოზიციაზე - დედა-შვილი ირმების უკან არის სიცოცხლის ხე, რომელზეც, სამწუხაროდ, ამბობენ, რომ არის ირმის რქები, რაც, რა თქმა უნდა, სიმართლეს არ შეესაბამება. ჰერალდიკოსები გვთავაზობენ, რომ ოქროსფერის შემოტანის შემთხვევაში სიცოცხლის ხე უფრო ადვილად გასარჩევი იქნება. უპირველეს ყოვლისა, გერბი ფარია და გვთავაზობენ ასევე რამდენიმე ვარიანტს — ფრანგულს, ნორმანულს და აზიურს. არის იდეა სადევიზე ბაფთისაც, რომელსაც გაუკეთდება წარწერა — „ტფილისის უნივერსიტეტი — Universitas Tfilisiensis“. ესკიზები გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“ უკვე იყო დაბეჭდილი.

რაც შეეხება დროშას, ამ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია, რა გადაწყვეტილებას მივიღებთ გერბთან დაკავშირებით, ანუ, როგორ გერბსაც მივიღებთ, ისეთივე დროშა შეიძლება გვქონდეს. ვფიქრობ, რომ აუცილებელია უნივერსიტეტის სიმბოლიკის დაზუსტება, რადგან თუ ის სიტყვიერად არ იქნება აღწერილი და დამტკიცებული დროთა განმავლობაში დიმიტრი შევარდნაძისეული

არტეფაქტი უნივერსიტეტის ცხოვრებიდან შეიძლება საერთოდ გაქრეს,“ — განაცხადა ზურაბ გაიპარაშვილმა.

აღსანიშნავია, რომ დღემდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ოფიციალურად დამკიცებული სიმბოლიკა არ ჰქონია. არსებობს მხოლოდ უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს 1918 წლის თებერვლის სხდომის ოქმი უნივერსიტეტის ბეჭდის დამტკიცების თაობაზე. წლების განმავლობაში იცვლებოდა უნივერსიტეტის ემბლემა. თავდაპირველად, დიმიტრი შევადნაძისეული ბეჭდის მიხედვით შექმნილი გამოსახულება შეცვალა საბჭოთა სიმბოლიკამ, მოგვიანებით — სტილიზებულმა ირმების გამოსახულებამ. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან კვლავ გამოჩნდა საუნივერსიტეტო ბეჭდვით პროდუქციაზე შევარდნაძისეული არტეფაქტი. რაც შეეხება უნივერსიტეტის დროშას, იგი მხოლოდ ბოლო პერიოდში გამოჩნდა, ისიც არაოფიციალური — დროშა ხან ცისფერია, ხან — თეთრი.

თსუ-ის სენატმა უნივერსიტეტის სიმბოლიკის შექმნის საკითხი უკვე განიხილა და მიიღო გადაწყვეტილება — „უნივერსიტეტის დროშა უნდა გამოხატავდეს, რომ ივანე ჯავახიშვილისა და მის თანამოაზრეთა მიერ 1918 წელს დაფუძნებული პირველი ქართული უნივერსიტეტი დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ცივილიზებულობის, დემოკრატიულობისა და თვითმყოფადობის სიმბოლოა“. ჰერალდიკის საბჭომ სიმბოლიკის სავარაუდო ესკიზები უსასყიდლოდ დაამზადა. მათი ნახვა უკვე შესაძლებელია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზეც. საბოლოოდ სიმბოლიკას ნორმატიული დოკუმენტით თსუ-ის სენატი დაამტკიცებს, გათვალისწინებული იქნება მოსაზრებებიც, რომელსაც საუნივერსიტეტო საზოგადოება გამოთქვამს.

„სწავლის ხელშეწყობის ფონდის“ პრეზენტაცია

საქველმოქმედო ორგანიზაცია „სწავლის ხელშეწყობის ფონდის“ პრეზენტაცია გაიმართა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ფონდის დამფუძნებლები არიან თსუ-ის პროფესორი, თბილისის მერი დავით ნარმანია, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტები და პროფესორები.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორებისა და სტუდენტების ინიციატივით შექმნილი საქველმოქმედო ფონდი ფაკულტეტის წარჩინებულ, მაგრამ ხელმოკლე სტუდენტებს დაეხმარება. ფონდში მობილიზებული თანხით, კომისიის გადაწყვეტილებით, წარმატებულ და ფინანსურად შეჭირვებულ სტუდენტებს დაუფინანსდებათ სწავლა, დაენიშნებათ სტიპენდია ან მათზე გაიცემა სხვა მატერიალური რესურსები. ფონდის პრეზენტაციას დაესწრნენ თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, თბილისის მერი დავით ნარმანია, ფაკულტეტის პროფესორები და სტუდენტები.

თსუ-ის რექტორის ვლადიმერ პაპავას განცხადებით, „ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორებისა და სტუდენტების გარკვეულმა ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება საქველმოქმედო ფონდის შექმნის შესახებ. ეს ფონდი საკმაოდ დიდი ამოცანების გადაწყვეტას იღებს საკუთარ თავზე. ყველაფერი მოზიდული რესურსების რაოდენობაზე იქნება დამოკიდებული. ამ ფონდის დაფუძნებით ყველას ეძლევა შესაძლებლობა — დაეხმაროს ნიჭიერ და ხელმოკლე სტუდენტებს. იმედია, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ინიციატივას სხვა ფაკულტეტებიც გაიზიარებენ“.

„აქამდე რამდენიმე ჩემი კოლეგა საკუთარი ხელფასიდან და დანაზოგიდან ახერხებდა ნიჭიერი, მაგრამ ხელმოკლე სტუდენტების დახმარებას — ხან თანხით, ხან სახელმძღვანელოებით. ეს იყო ინდივიდუალური შემთხვევები. იმისათვის, რომ ეს შემთხვევები ინსტიტუციონალური ყოფილიყო, დავაფუძნეთ საქველმოქმედო ფონდი, რომელშიც ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი და სტუდენტები გავერთიანდით. ვფიქრობთ, ძალიან კარგ საქმეს ვაკეთებთ იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც მონდომებულნი არიან ისწავლონ, განვითარდნენ, ჩამოყალიბდნენ პროფესიონალებად. პროცესი უკვე დაიწყო — ფონდში პირველი შენატანები გაკეთდა; იანვრისთვის უკვე შევძლებთ რამდენიმე სტუდენტის დაფინანსებას“, — აღნიშნა თსუ-ის პროფესორმა, თბილისის მერმა დავით ნარმანიამ.

„სწავლის ხელშეწყობის ფონდის“ მიზანია თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის სოციალური გარემოს ჩამოყალიბება, რაც უზრუნველყოფს განათლების მიღების ხელმისაწვდომობას ფინანსური და მატერიალური მხარდაჭერის გზით. ფონდში გაწევრიანება შეუძლია ნებისმიერ ადამიანს, რომელსაც სურვილი აქვს დაეხმაროს სოციალურად დაუცველ წარმატებულ სტუდენტებს.

ფონდი შეეცდება ფიზიკური პირების, პირთა ჯგუფების, ბიზნეს ორგანიზაციების, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზებული წარმონაქმნების, ადგილობრივი მართვისა და თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის მობილიზებას, რათა მოხდეს ხელმოკლე და სოციალურად დაუცველი წარმატებული სტუდენტებისათვის კონკრეტული ჰუმანიტარული ან გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა.

იუბილე

ავთანდილ გიორგობიანის ცხოვრების გზა

ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს ეროვნული აკადემიისა და ინფორმატიზაციის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ავთანდილ გიორგობიანი 80 წლისაა.

ავთანდილ გიორგობიანი დაიბადა 1934 წლის 27 სექტემბერს. 1954 წელს სწავლა განაგრძო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1959 წელს სოფლის მეურნეობის ეკონომიკის სპეციალობით.

ბატონ ავთანდილს მიმდინარე წელს დაბადების მეოთხმოცე წლისთავზე შრომითი საქმიანობის 55 წელიც შეუსრულდა. ბუნებრივია, საგაზეთო სტატიის ფორმატი არ მოგვცემს იმის საშუალებას, რომ მკითხველს სრულად გავაცნოთ მისი 55 წლიანი მოღვაწეობა, ამიტომ მისი საქმიანობის მხოლოდ ძირითად ასპექტებს შევეხებით პრაქტიკული, სასწავლო-აღმზდელობითი, სამეცნიერო-კვლევითი და საზოგადოებრივი საქმიანობის ჭრილში.

1959 წლიდან ბატონი ავთანდილი იყო საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს (ცსს) ბიუჯეტების განყოფილებაში უფროსი ეკონომისტის თანამდებობაზე, ხოლო მექანიზებული აღრიცხვის განყოფილებაში უფროს ინჟინერ-ეკონომისტის თანამდებობაზე. 1961-1962 წლებში ამავე განყოფილების გამგის თანამდებობაზე. 1960-1961 წლებში კი იგი პარალელურად სწავლობს მოსკოვის ეკონომიკურ-სტატისტიკურ ინსტიტუტთან არსებული მექანიზებული აღრიცხვის უმაღლეს სკოლაში, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ენიჭება გამოთვლითი ცენტრების დამპროექტებლის კვალიფიკაცია.

განსაკუთრებით დიდია მისი წვლილი სოფლის მეურნეობაში აღრიცხვის მექანიზაციის დანერგვისა და განვითარების საქმეში, რაც რაიონული საანგარიშო-მანქანათა სადგურების შექმნის გზით განხორციელდა. მისი ხელმძღვანელობით უმოკლეს ვადაში შეიქმნა 70-მდე ასეთი სადგური. აღნიშნული სამუშაოს წარმატებით შესრულებისათვის იგი დააჯილდოვეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

ბატონი ავთანდილი 1963 წელს მუშაობას იწყებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მასწავლებლის თანამდებობაზე. შემდგომ იკავებს — უფროსი მასწავლებლის, დოცენტის და პროფესორის თანამდებობებს.

უნივერსიტეტში მისი მონაწილობით შეიქმნა ინფორმატიკის ახალი მიმართულება — ეკონომიკური ინფორმატიკა და, შესაბამისად, კათედრაც. მას, როგორც ამ დარგის ერთადერთ სპეციალისტს, უნივერსიტეტის პარალელურად, საათობრივი ანაზღაურების წესით, სამუშაოდ იწვევენ სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლები. კერძოდ, მოსკოვის კოოპერაციული ინსტიტუტის თბილისის ფილიალი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2000 წელს კი, საქართველოს რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვების შედეგად, იგი სათავეში ჩაუდგა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კათედრას, რომელიც ამზადებდა ბუღალტრული აღრიცხვის, კონტროლის, ანალიზის და მენეჯმენტის სპეციალისტებს. იგი აქ მის ლიკვიდაციამდე (2008 წელი) მოღვაწეობდა.

1989 წელს გორის ეკონომიკური ინსტიტუტის (შემდგომში უნივერსიტეტი) მიერ გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე, ბატონი ავთანდილი სათავეში ჩაუდგა ტექნიკა-ტექნოლოგიის კათედრას და მისი სრული რეორგანიზაცია განახორციელა. მან შექმნა ეკონომიკური ინფორმაციის ავტომატიზებული დამუშავების კათედრა და უახლესი ტექნიკით აღჭურვილი შესაბამისი ლაბორატორიები. აღნიშნულ კათედრას იგი 17 წლის განმავლობაში ედგა სათავეში.

2006 წლიდან 2014 წლამდე, ასევე აკადემიური კონკურსის წესით, ბატონი ავთანდილს სუხიშვილის უნივერსიტეტში ეკავა სრული პროფესორის თანამდებობა.

რაც შეეხება მის სამეცნიერო-კვლევით მოღვაწეობას, მან ასახვა ჰპოვა 200-მდე გამოქვეყნებულ სამეცნიერო ნაშრომში (ათობით მონოგრაფია, სახელმძღვანელო, დამხმარე სახელმძღვანელო, მეთოდური მითითებები). მისი ნაშრომებში გამოკვლეულია ინფორმატიკისა და ინფორმაციოლოგიის აქტუალური პრობლემები. ბატონი ავთანდილ გიორგობიანის შრომები გამოქვეყნებულია ყოფილ საბჭოთა კავშირისა

და საზღვარგარეთის პრესტიჟულ ჟურნალებში. მონოგრაფიებიდან უნდა აღვნიშნოთ დეპონირებული ნაშრომი სახელწოდებით „Системный подход к исследованию эффективности и качества функционирования организационных АСУ“, „ინფორმაციოლოგიის საფუძვლები“ და სხვა.

სახელმძღვანელოებიდან და დამხმარე სახელმძღვანელოებიდან უნდა აღინიშნოს: პირველი ქართული სახელმძღვანელო ”გამოთვლითი მანქანებისა და პროგრამირების საფუძვლები” (თანაავტორები: ლ. ასათიანი, მ. კონიაშვილი), ”გამოთვლითი დანადგარების ეკონომიკა და ორგანიზაცია”, ”საინფორმაციო გამოთვლითი მომსახურების საწარმოთა ეკონომიკა”, ”ავტომატიზებული საინფორმაციო სისტემები და ტექნოლოგიები მიკრო და მაკრო ეკონომიკაში”, ”ავტომატიზებული სტატისტიკური ინფორმაციული სისტემები”, ”ეკონომიკური ინფორმაციის მანქანური დამუშავება ვაჭრობაში (ორ ნაწილად)”, ”ავტომატიზებული სისტემები და ტექნოლოგიები საბუღალტრო აღრიცხვაში და საბანკო საქმიანობაში”, ”გამოყენებითი ინფორმატიკა ეკონომიკაში, ბიზნესში, სამართალმცოდნეობაში, მედიცინაში” (თანაავტორები: მ. გიორგობიანი, გ. მეტეხელი), ”მენეჯმენტის საფუძვლები”, ”სარკინიგზო ტრანსპორტის მენეჯმენტი”, „ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების ეკონომიკური ეფექტიანობა”, ასევე პრაქტიკული სავარჯიშოები გამოთვლითი დანადგარების ეკონომიკაში და ორგანიზაციაში, სადიპლომო პროექტების ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშება და სხვა.

სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მის მიერ შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის და დაბადების მე-60 წლისთავზე იგი დაჯილდოვებული იქნა ივანე ჯავახიშვილის საიუბილეო მედლით, რასაც იგი ყველაზე მაღალ ჯილდოდ მიიჩნევს.

პროფესორი ავთანდილ გიორგობიანი წლების განმავლობაში საქართველოში ეკონომიკური ინფორმატიკის სპეციალობით ერთადერთი მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორი იყო.

აღსანიშნავია პროფესორ ავთანდილ გიორგობიანის მონაწილეობა საერთაშორისო (პოლონეთი, რუმინეთი, ბულგარეთი) სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და ფორუმებში, სადაც მის მიერ წაკითხულმა მოხსენებებმა მაღალი შეფასება დაიმსახურა, რაზედაც მეტყველებს მიღებული სერტიფიკატები და სხვადასხვა სახის სიგელები.

ბატონი ავთანდილი მუდამ იდგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ცხოვრების ეპიცენტრში. სუხიშვილის უნივერსიტეტში, ავთანდილ გიორგობიანი, გარდა სრული პროფესორის თანამდებობისა, აქტიურ მონაწილეობას იღებდა საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. კერძოდ, იგი იყო სამეცნიერო შრომების კრებულის მთავარი რედაქტორი, დოქტორანტურის განყოფილების უფროსი, მისი ხელმძღვანელობით სუხიშვილის უნივერსიტეტში შემუშავდა სადოქტორო და სამაგისტრო სასწავლო პროგრამები. საბჭოთა კავშირის დაშლამდე მონაწილეობას იღებდა ყოფილი სსრ კავშირის საკავშირო სასწავლო-მეთოდური სამმართველოს მუშაობაში ინფორმატიზაციის მიმართულებით.

ეკონომიკასა და ბიზნესში ინფორმაციული ტექნოლოგიების კათედრის გამგისა და ამავე კათედრის წევრთა სახელით პროფესორი
დ. სიჭინავა

ღვაწლი

მრავალი თაობის აღმზრდელ პედაგოგს 90 წელი უსრულდება

ათემატიკოსთა მრავალი თაობის აღმზრდელ პედაგოგსა და ცნობილ მეცნიერს ეთერ ალშიბაიას 90 წელი უსრულდება. მიუხედავად ამ ასაკისა, იგი კვლავ აგრძელებს ლექციების კითხვას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე; მონაწილეობს გეომეტრიის პროგრამებისა და ლექციების კურსების შექმნაში.

ქალბატონი ეთერი დაიბადა თბილისში. 1942 წელს წარჩინებით დაამთავრა ი. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის საცდელ-საჩვენებელი სკოლა და სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე განაგრძო. 1947 წელს უნივერსიტეტში გადაწყდა მათემატიკის კაბინეტის დაარსება. კაბინეტის პირველ ლაბორანტად ეთერ ალშიბაია დაინიშნა. ეთერ ალშიბაიას მიერ რუდუნებით შეგროვილი და მოწესრიგებული სასწავლო, მეთოდური და თვალსაჩინო მასალები მრავალი ათეული წელი ამდიდრებდა მომავალი მათემატიკოსების აღზრდა-განათლების პროცესს.

1949-1956 წლებში ეთერ ალშიბაია უკვე უმაღლესი მათემატიკის კათედრის ასისტენტია. 1952-1953 წლებში მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში იგი წარმატებით აბარებს საკანდიდატო მინიმუმის გამოცდებს და იღებს დისერტაციაზე სამუშაოდ დარჩენის წინადადებას. 1956-1973 წლებში ქალბატონი ეთერი უკვე ალგებრა-გეომეტრიის კათედრის უფროსი მასწავლებელია. სამეცნიერო მუშაობას განაგრძობს გერმანე ლაპტევის, სერგეი ფინიკოვის, პეტრე რაშევსკის ხელმძღვანელობით. 1972 წელს იცავს საკანდიდატო დისერტაციას, რომლის შედეგებზე შემდგომ რამდენიმე საკანდიდატო შრომა დაფუძნდა.

1973-2006 წლებში უკვე ალგებრა-გეომეტრიის კათედრის დოცენტის თანამდებობაზე ეწევა აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას. ქალბატონი ეთერი 34 სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორია. დაჯილდოვებულია ივანე ჯავახიშვილის მედლითა და საპატიო სიგელებით.

2006-2009 წლებში ეთერ ალშიბაია არჩეული იყო ალგებრა-გეომეტრიის მიმართულების ასოცირებულ პროფესორად. ამ პერიოდში გამოვიდა მისი ქართულენოვანი სახელმძღვანელო „დიფერენციალური გეომეტრია“.

2009 წლიდან, როგორც უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი, ატარებს ლექციებს მათემატიკისა და ელექტრონიკის მიმართულების სტუდენტებისთვის.

ფოტოდაზვერვა

მექანიკისა და მოლეკულური ფიზიკის განახლებული ლაბორატორიები

უკვე ერთი წელია, რაც ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მექანიკისა და მოლეკულური ფიზიკის ლაბორატორიები განახლდა. დანადგარების შესაძენად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან 150 000 ლარი გამოიყო, რომელიც ეტაპობრივად გაიხარჯება. მექანიკისა და მოლეკულური ფიზიკის ლაბორატორიების აღსაჭურვად უკვე გამოყენებულია 50 000 ლარი. ლაბორატორიის თანამშრომლები ვარაუდობენ, რომ დაფინანსების დარჩენილი ნაწილის გამოყენებას მომავალი წლიდან შეძლებენ და ახალი დანადგარებით ელექტრობისა და ოპტიკის ლაბორატორიების აღჭურვასაც მოახერხებენ.

ნატო ოგოლაძე

„მოლეკულური ფიზიკისა და მექანიკის ლაბორატორიების ახალი ამოცანების ქართულად თარგმნამ დიდი დრო წამართვა, თუმცა ახლა უკვე სტუდენტებისთვის ყველაფერი ხელმისაწვდომია. ამოცანები მალე განთავსდება თსუ-ის ვებ-გვერდზე, ჯერჯერობით სტუდენტებს ამობეჭდილ ეგზემპლარს ვატან ან ელ-ფოსტით ვუგზავნი — ასე უფრო მოსახერხებელია... ახალი დანადგარები რაც გვაქვს, ყველაფერი თანამედროვე ტექნოლოგიების მიხედვით არის გაკეთებული და სენსორებზეა აწყობილი. ხშირად ჩვენი წარმატებული სტუდენტები საზღვარგარეთ აგრძელებენ სწავლას და დანამდვილებით შემიძლიათ გითხრათ, რომ იქ სწორედ ამ ტიპის ხელსაწყოები დახვდებათ“, — განაცხადა ლაბორატორიის გამგემ იური პაპავამ.

მექანიკისა და მოლეკულური ფიზიკის ლაბორატორიებში სტუდენტები ცდების ჩატარებისას სპარკის სისტემის მინიკომპიუტერებს იყენებენ, რომელიც პროცესს მნიშვნელოვნად ამარტივებს და მეტ შესაძლებლობებსაც იძლევა.

„ლაბორატორია თავისთავად ცოდნის ათვისებაში გვეხმარება. რასაც თეორიულად ვსწავლობთ, ვაკეთებთ პრაქტიკულადაც. ვიღრმავებთ ცოდნას. მაგალითად, ამ კომპიუტერით უფრო მეტი რამის გაკეთება შეგვიძლია და უფრო სწრაფად, ვიდრე ხელით“, — გვითხრა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის II კურსის სტუდენტმა ლაშა ფანცხავამ.

„ეს ახალი დანადგარია, რომლის მეშვეობითაც ექსპერიმენტულად განისაზღვრება აბსოლუტური ნულის მნიშვნელობა. ჰაერით სავსე დახშულ სფეროს ვათავსებთ ცხელი წყლის აბაზანაში, სენსორებით ვზომავთ ტემპერატურასა და წნევას. შემდეგ ნელ-ნელა ვამატებთ ყინულს, ვაციებთ და წნევის ტემპერატურაზე დამოკიდებულების გრაფიკის აპროქსიმაციით ვსაზღვრავთ აბსოლუტური ნულის მიახლოებით მნიშვნელობას“, — აღნიშნა ჩვენთან საუბრისას ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტმა ბაჩანა ბერაძემ.

სტუდენტები ლაბორატორიის მუშაობაში უკვე პირველი კურსიდან ერთვებიან. იური პაპავას შეფასებით, ბოლო ორი წლის განმავლობაში თსუ-ში ჩარიცხულ პირველკურსელთა მომზადების დონე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

მექანიკის ლაბორატორიაში დავესწარით პირველკურსელების პრაქტიკულ მეცადინეობას, სადაც ახალ დანადგარებს შორის მოიპოვება ისეთი ხელსაწყოებიც, რომლებიც საშუალებას იძლევა აიწონოს შვიდი მემილიონედი გრამი, მაღალი სიზუსტით განისაზღვროს დრეკადი ტალღების სიჩქარე ზონარში მდგარი ტალღების დამზერით.

„ამ ცდაზე ზონრის ერთი ბოლო მიერთებულია ვიბრატორთან, რომლის რხევას ცვლადი სიხშირის გენერატორი განაპირობებს, მეორე ბოლოზე ჭოჭონაქის გავლით ჩამოკიდებულია ტვირთი. სიხშირის ცვლილებით ვიღებთ მდგარ ტალღებს (ერთ-, ორ-, სამ-, ოთხსეგმენტიანს). გენერატორის სიხშირე მეათედი ჰერცის სიზუსტით იზომება, რაც საშუალებას გვაძლევს მაღალი სიზუსტით განვსაზღვროთ ტალღების სიჩქარე“, — აღნიშნა ცდის ჩატარებისას პირველი კურსის სტუდენტმა გიორგი ნოზაძემ.

ახალი დანადგარების შეძენის მიუხედავად, ლაბორატორიის გამგე იური პაპავა ძველ ხელსაწყოებსაც ინახავს.

„ძველ ხელსაწყოებთან მუშაობა უფრო რთულია, რადგან ყველაფრის აწყობა ხელით გიწევს. ეს ეხმარება სტუდენტებს სპეციფიკური ჩვევების გამომუშავებაში. სხვათაშორის, დღემდე გამართულად მუშაობს ერთ-ერთი ჩემი წინამორბედის მიერ გაკეთებული რხევის შესასწავლი დანადგარი, რომელიც ზემოხსენებული აპარატურის ანალოგიურია. მან ვიბრატორად პირსაპარსის ძრავა გამოიყენა. მოწყობილობას სიზუსტე აკლია მაგრამ არ ვაპირებ მის მოშლას – პატივს მივაგებ მისი შემქმნელის ხსოვნას, თანაც სტუდენტებს ვაჩვენებ ტექნიკური პროგრესის ნიმუშს“, — გვითხრა იური პაპავამ.

მიუხედავად იმისა, რომ მექანიკისა და მოლეკულური ფიზიკის ლაბორატორიებში ახალი ხელსაწყოების შეძენის შემდეგ სტუდენტების სწავლის პროცესი გაცილებით ეფექტური გახდა, გარკვეული პრობლემები მაინც არსებობს. მაგალითად, ფართის სიმცირე. ერთ აუდიტორიაში განთავსებულია მოლეკულური ფიზიკის, ელექტრობისა და ოპტიკის ლაბორატორიები. ხოლო ლაბორატორიის ავარიულობასაც თუ გავითვალისწინებთ, სტუდენტებს საკმაოდ შეზღუდულ ვითარებაში უწევთ მუშაობა. ლაბორატორიის გამგეს ცდებისთვის აუცილებელი ყინულის „სესხებაც“ ფაკულტეტის დეკანატიდან უწევს. აღნიშნული აუდიტორია საერთოდ შეუფერებელია ოპტიკის ლაბორატორიისთვისაც, რადგან ხელსაწყოებისთვის აუცილებელია მყარი იატაკი (რაც არ არის). არსებობს დაბნელების პრობლემაც, რაც ხელს უშლის ცდების ეფექტიანად ჩატარებას.

გადაცემა ყველა უნივერსიტეტელისთვის

უყურეთ შაბათს, 22 ნოემბერს, 17 საათზე საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხის ეთერში გადაცემას „უნივერსიტეტი“

ცნობისთვის

TV

თსუ-ის ვებ-გვერდზე TSU.EDU.GE მარჯვენა ქვედა კუთხეში დაემატა უნივერსიტეტის გადაცემების ვიდეოჩანაწერების გვერდის აღმნიშვნელი პიქტოგრამა. ამ ღილაკზე ხელის დაჭერით

თქვენ შეგიძლიათ უყუროთ უნივერსიტეტის გადაცემებს

მოგვწერეთ:
facebook.com
Tsu/თსუ გადაცემა – უნივერსიტეტი

მთავარი რედაქტორი	ნინო კაკულია
მთავარი სპეციალისტი	მაია ტორაძე
ტექნიკური რედაქტორი	მანანა ჯურხაძე
ფოტოკორესპონდენტი	ანა ბოლქვაძე
კომპ. უზრუნველყოფა	ზაზა გულაშვილი

რედკოლეგიის წევრები:
რისმაგ გორდეზიანი, იაგო კაჭკაჭიშვილი, ნოდარ ხადური, ელენე ხარაბაძე, მანანა შამილიშვილი, თემურ ნადარეიშვილი, ლადო მინაშვილი, მორის შალიკაშვილი, ნინო ჩიხლაძე, დიანა ძიძიგური, არსენ გვენეტაძე, პაატა ტურავა

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 11°
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
tsunewspaper@tsu.ge
2 22 36 62